



ჯანმრთელობის კვლევის კავშირი

# ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში ქცევაზე ზედამხედველობის ინტეგრირებული კვლევა ბიომარკერის კომპონენტით

აივ ინფექციის მაღალი რისკის შემცველ სამიზნე ჯგუფებში -  
ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში  
სარისკო ქცევაზე ზედამხედველობის და  
აივ ინფექციის გავრცელების ტენდენციის შესწავლის მიზნით  
ბიომარკერული/ქცევის ზედამხედველობის კვლევა

კვლევის ანგარიში  
თბილისი, საქართველო  
2022

მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაციამ  
“ჯანმრთელობის კვლევის კავშირი”



დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის  
ეროვნული ცენტრი

## მადლიერების გამოხატვა

წინამდებარე კვლევა ჩატარდა შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ლაბორატორიული გამოკვლევები ჩატარდა კლინიკა „ნეოლაბის“ ბაზაზე.

კვლევის მონაწილეების ჩართვა და მონაცემების შეგროვება მიმდინარეობდა კლინიკა „ნეოლაბის“ თბილისის, ზუგდიდის და ბათუმის ფილიალებში და ზიანის შემცირების ქსელში გაერთიანებულ ორგანიზაციებში: კავშირი „ახალი ვექტორი“, სამედიცინო ფსიქოლოგიური კავშირი „ნაბიჯი მომავლისკენ“, კონსულტაციის ცენტრი „ახალი გზა“, ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია "ქსენონი" და კავშირი „იმედი“.

## სამუშაო ჯგუფი:

მაია ბუწაშვილი MD, MS, PhD

გიორგი კამკამიძე MD, MS, PhD

ემელი ანდერსონი MSPH, PhD(c)

მაია ქაჯაია MD, MS, PhD(c)

ლაშა გულბიანი MPH

გიგა აბაშიძე MD, MPH

მარიკა კოჭლამაზაშვილი MPH, PhD(c)

თინათინ აბუიანიძე MD, MPH, PhD

გიორგი ყანჩელაშვილი MPH, PhD(c)

სოფიო ადამია MPH

ირმა კირთაძე MD, PhD

მაკა გოგია MD, MPH

დავით ბალიაშვილი MD, MS, MPH, PhD

ნიკა ვაშაკიძე

ნიკოლოზ ჭელიძე

თინა კამკამიძე

## შინაარსი

ტერმინები და აბრევიატურები.....	3
კვლევის მოკლე ანგარიში.....	4
შესავალი.....	4
მეთოდები.....	4
შედეგები.....	5
დასკვნები და რეკომენდაციები.....	14
შესავალი.....	19
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	22
კვლევის მეთოდები.....	23
კვლევის დიზაინი.....	23
კვლევის ადგილი.....	23
შენარჩევის ზომა.....	23
კვლევის მონაწილეების შერჩევა.....	24
მონაცემების შეგროვება.....	29
ქცევითი კომპონენტი.....	29
ბიომარკერული კომპონენტი.....	30
კვლევის ეთიკა.....	32
მონაცემთა ანალიზი.....	32
შედეგები.....	34
კვლევაში მონაწილეთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები.....	34
ნარკოტიკების მოხმარების ისტორია.....	35
ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევა.....	41
სქესობრივი ქცევა.....	53
HIV, HBV და HCV გავრცელება.....	64
ცოდნა და დამოკიდებულება C ჰეპატიტის შესახებ.....	66
ცოდნა და დამოკიდებულება აივ/შიდსზე და საკუთარი რისკის შეფასება.....	71
პრევენციული და სამკურნალო პროგრამებით სარგებლობა და სოციალური ზეგავლენა.....	80
მონაწილეთა განაწილება სარისკო საინექციო პრაქტიკის, აივ და C ჰეპატიტის სტატუსის მიხედვით.....	89
2017 და 2022 წლის კვლევების მონაცემების შედარება.....	94
გამოყენებული ლიტერატურა.....	109
დანართი 1. ცხრილები.....	111
დანართი 2. კითხვარი.....	243

## ტერმინები და აბრევიატურები

აივ	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
არვ	ანტირეტროვირუსული თერაპია
ნიმ	ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები
სგცი	სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია
შიდსი	შემძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი
ჯანმო	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
Anti-HCV	C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულები
CI	სარწმუნოების ინტერვალი
GHRN	საქართველოს ზიანის შემცირების ქსელი
HBV	B ჰეპატიტის ვირუსი
HCV	C ჰეპატიტის ვირუსი
HCV PCR	C ჰეპატიტის ვირუსის განსაზღვრა პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით
NSP	ნემსების და შპრიცების პროგრამა
OR	შანსების თანაფარდობა
OST	ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია
<i>p</i>	ალბათობის მაჩვენებელი
RR	ფარდობითი რისკი
RDS	რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევა
RNA	რნმ - რიბონუკლეინის მჟავა
RODS	ოპიოიდებზე დამოკიდებულების სწრაფი სკრინინგი
UNAIDS	გაეროს შიდსის პროგრამა
$\chi^2$	ხი კვადრატი
95% CI	სარწმუნოების 95%-იანი ინტერვალი

## კვლევის მოკლე ანგარიში

### შესავალი

საქართველო წარმოადგენს აივ-ის დაბალი გავრცელების ქვეყანას, თუმცა არსებობს აივ ინფექციის ახალი შემთხვევების რაოდენობის ზრდის რისკი, რასაც განაპირობებს ქვეყანაში ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებელთა მაღალი რიცხვი და ინტენსიური მიგრაცია მეზობელ ქვეყნებთან. აივ ინფექციის მაღალი კონცენტრაცია საკვანძო პოპულაციებში, მათ შორის ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებლებში, წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას საქართველოში და ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას 2030 წლისთვის შიდსის ეპიდემიის დასრულების მისაღწევად.

საკვანძო პოპულაციებში რეკომენდირებულია ბიომარკერული ქცევითი კვლევების პერიოდულად ჩატარება, რათა შეფასდეს აივ პრევალენტობა, განისაზღვროს აივ ინფექციის გავრცელებისთვის ხელშემწყობი ქცევითი ფაქტორები და შეფასდეს ინტერვენციების/პროგრამების ეფექტურობა, რომლებიც ხორციელდება ამ პოპულაციებში აივ ინფექციის პრევენციისთვის.

წინამდებარე ანგარიში აღწერს ქცევაზე ზედამხედველობის ინტეგრირებულ კვლევას ბიომარკერის კომპონენტით (IBSS) საქართველოს 7 ქალაქში, რომელიც ჩატარდა 2022 წელს. კვლევის ამოცანები იყო:

- ნიმ-ებში აივ ინფექციის, B ჰეპატიტის და C ჰეპატიტის გავრცელების შეფასება;
- აივ ინფექციასთან მიმართებით, ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული და სარისკო სქესობრივი ქცევების განსაზღვრა;
- ნარკოტიკების მოხმარების ტენდენციის შეფასება;
- ცოდნის, დამოკიდებულების და საკუთარი რისკის შეფასება აივ ინფექცია/შიდსზე და ჰეპატიტებზე;
- ნიმ-ების მიერ პრევენციული პროგრამებით სარგებლობის შეფასება.

### მეთოდები

კვლევის დიზაინი იყო ჯვარედინ-სექციური. კვლევა ჩატარდა საქართველოს შვიდ დიდ ქალაქში: თბილისში, გორში, რუსთავში, თელავში, ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში. კვლევის მონაწილეების შერჩევა განხორციელდა რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის (Respondent Driven Sampling, RDS) მეთოდით, რომელიც ფართოდ გამოიყენება რთულად მიღწევადი პოპულაციების კვლევაში ჩასართავად. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო ასაკი  $\geq 18$  წელი, ნარკოტიკების ინექციური მოხმარება ბოლო 30 დღის განმავლობაში, კვლევისთვის შერჩეულ ქალაქში ცხოვრება, შეკითხვებზე პასუხის გაცემის და კვლევაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობის დადასტურების უნარი.

პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა სპეციალურად შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით კვლევის მონაწილეთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების, ნარკოტიკების მოხმარების ისტორიის, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევების, სქესობრივი ცხოვრების ისტორიის, სარისკო სქესობრივი ქცევების, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის შესახებ ცოდნის, დამოკიდებულების და რისკის თვითშეფასების, B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პრაქტიკის და დამოკიდებულების, პრევენციული პროგრამებით სარგებლობის და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სოციალური ფაქტორების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. კვლევის თითოეული მონაწილისგან აღებულ იქნა სისხლის ნიმუში აივ ინფექციის, B და C ჰეპატიტების პრევალენტობის შესაფასებლად.

შეგროვილი მონაცემების შეყვანა და ანალიზი განხორციელდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS v22. ჩატარდა მონაცემების უნივარიაციული, ბივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზი.

### *შედეგები*

#### *ნარკოტიკების მოხმარების ისტორია*

- ნარკოტიკული საშუალებების პირველად მოხმარების საშუალო ასაკი არის 17 წელი. მონაწილეთა უმრავლესობამ (40.9%) ინექციურად მოხმარების პირველი შემთხვევა 15-19 წლის ასაკში აღნიშნა, 15 წლის ასაკამდე მხოლოდ - 2.7%-მა, ხოლო 56,4%-მა აღნიშნა პირველი ინექციური მოხმარება 20 წლის და უფროს ასაკში. რესპონდენტთა შორის ნარკოტიკული საშუალებების 15 წლამდე ასაკში მოხმარება, ინექციური თუ არაინექციური გზით, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით დაფიქსირდა თბილისში (16.1%), ქუთაისსა (14.8%) და ზუგდიდში (13.1%).
- გამოკითხულთა ორ მესამედზე მეტი (70.8%) თვლის, რომ წამალდამოკიდებულება მათ შორის, ვინც მიუთითა წამალდამოკიდებულება მაქსიმუმ 5 წელი, ან ფიქრობს, რომ არ არის დამოკიდებული (41%), შპრიცი/ნემსი ან სხვა საინექციო მასალა უფასოდ მიღებული აქვს 53.4%-ს, პრეზერვატივი - 46.1%-ს და საგანმანათლებლო-საინფორმაციო ბუკლეტი ან ბროშურა აივ-შიდსის პრევენციის შესახებ მიღებული აქვს 41.1%-ს.
- ბოლო თვეში, ყოველდღიურ ინექციას, რესპონდენტთა 26% აღნიშნავს, მათგან უმეტესობა ბათუმელები არიან.
- შერჩევის სამი მეოთხედი, ბოლო 6 თვის განმავლობაში, ნარკოტიკული საშუალებების ინექციური მოხმარების ჯგუფურ - საშუალოდ 3

ადამიანისგან შემდგარ პრაქტიკაზე მიუთითებს, რესპონდენტთა მხოლოდ ერთი მეოთხედი აღნიშნავს ინექციურად მოხმარების ინდივიდუალურ პრაქტიკას.

- რეგულარულ ჯგუფთან ინექციური მოხმარების პრაქტიკა შედარებით მაღალია რუსთავსა (74.1%) და ზუგდიდში (56.4%).
- ბოლო თვეში ინექციურად მოხმარებულ ნივთიერებათა შორის პირველ სამეულშია ჰეროინი, ბუპრენორფინი და მეთადონი.
- ბოლო 12 თვეში ცნს-ის დეპრესანტების ინექციური მოხმარება ყველაზე მეტად ზუგდიდში ფიქსირდება; ქუთაისში, ოპიოიდების მოხმარება სხვა ქალაქებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია, მაღალია სტიმულატორების და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ინექციური მოხმარება. ოპიოიდების ინექციური მოხმარება სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალია რუსთავში, თბილისში, ბათუმში და ზუგდიდში, ვიდრე სხვა ქალაქებში. სტიმულატორების ინექციური მოხმარება, თბილისთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალია რუსთავში, თელავში, ზუგდიდსა და ქუთაისში, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ინექციური მოხმარება სტატისტიკურად სარწმუნოდ წარმოდგენილია მხოლოდ ქუთაისში. სტიმულატორების და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ინექციური მოხმარება 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის უფრო მეტად დამახასიათებელია, ვიდრე უფროსი ასაკის მომხმარებლებისთვის.
- არაინექციური გზით მოხმარებულ ნარკოტიკებს შორის პრევალირებს კანაფის და მისი პროდუქტების მოხმარება, რომელსაც მოჰყვება მეთადონი (18.5%), დიაზეპამი (18%), კლონაზეპამი (14.5%), ბაკლოფენი (10.8%), გაბაპენტინი (10.2%), ბუპრენორფინი (8.7%) და პრეგაბალინი (6.5%). არაინექციურად მოხმარებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებებიდან (აფნ) რესპონდენტების 4.5% მოიხმარს სინთეზურ კანაბინოიდებს (ე.წ ბიომარიხუანა, სპაისები, შოკოლადი). სინთეზური სტიმულატორების (კრისტალი, აბაზანის მარილები, მეფედრონი, ბიო-MDMA) მოხმარება გამოვლინდა რესპონდენტთა 2%-ში, ხოლო სინთეზურ ჰალუცინოგენების (ბიო-LSD/NBOME) 1.4%-ში.
- გამოკითხულთაგან ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში ჰქონდა აღკვეთის მდგომარეობა ნარკოტიკის შეწყვეტის ან დოზის მკვეთრად შემცირების გამო. ამასთანავე, გამოკითხულ რესპონდენტთა დაახლოებით ერთ მეოთხედს გამოუვლინდა ოპიოიდების ჯგუფის პრეპარატებზე აქტიური დამოკიდებულება.

### *ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევები*

- ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევები უფრო ხშირად აღინიშნება ახალგაზრდა (≤35 წლის) ნიმ-ებში. ≤35 წლის მონაწილეების უფრო მეტი ნაწილი მოიხმარდა თავის ან სხვის მიერ გამოყენებულ შპრიცს/ნემსს/სხვა საინექციო საშუალებებს, სხვადასხვა საზიარო ნივთებს (ბოთლი, კოვზი, ჭურჭელი და სხვ.) და ნარკოტიკების მოხმარებისას ნაკლებად იყენებდა სტერილურ ნემსებს.
- ≤35 წლის მონაწილეების უფრო ნაკლები რაოდენობა სარგებლობს ნემსების და შპრიცების პროგრამით.
- ზედოზირების შემთხვევები უფრო ხშირად დაფიქსირდა ახალგაზრდა მონაწილეებში.
- ალკოჰოლის მოხმარება ზრდის ნარკოტიკების ინექციური გზით გამოყენებასთან დაკავშირებულ სარისკო ქცევებს. ალკოჰოლის მოხმარებელი ნიმ-ები უფრო ხშირად იყენებენ სხვის ან თავის მიერ ნახმარ საინექციო საშუალებებს და გამოყენებამდე უფრო იშვიათად ასუფთავებენ ადრე გამოყენებულ ნემსს/შპრიცს/სხვა საინექციო საშუალებას.
- ნემსების და შპრიცების პროგრამით სარგებლობა ამცირებს ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ სარისკო ქცევების რაოდენობას. ნიმ-ები, რომლებიც სარგებლობდნენ ნემსების და შპრიცების პროგრამით, ბოლო თვეში და ნარკოტიკის ბოლო მოხმარებისას, უფრო ნაკლებად მოიხმარდნენ მათ მიერ გამოყენებულ ნემსს/შპრიცს/სხვა საინექციო საშუალებას. ასევე, პროგრამით მოსარგებლე ნიმ-ების უფრო ნაკლები რაოდენობა იყენებს საზიარო ნივთებს (კოლბა, კოვზი, ბოთლი და სხვ.).
- ბოლო წლის განმავლობაში ზედოზირება ნიმ-ების 10%-ში დაფიქსირდა, 25.5% კი შეესწრო ზედოზირების შემთხვევას, რომელთა შორის 63%-ში ნალოქსონის გამოყენება, ხოლო 19%-ში სასწრაფო დახმარების გამოძახება მოხდა. როგორც გამოკითხული ნიმ-ები აღნიშნავენ, 16 შემთხვევაში სასწრაფო დახმარების სერვისმა ზედოზირების შესახებ შეატყობინა პოლიციას.
- ზედოზირების შემთხვევები და იმ ნიმ-ების რაოდენობა, ვინც შეესწრო ზედოზირების შემთხვევას, ყველაზე დაბალია გორში.
- ზედოზირების შემთხვევები უფრო ხშირად დაფიქსირდა ≤35 წლის მონაწილეებში.



- ზედოზირების შემთხვევების მიხედვით, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა ნემსების და შპრიცების პროგრამით მოსარგებლე და არამოსარგებლე ნიმ-ებს შორის.
- ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი ნიმ-ების უფრო მეტმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ოდესმე მოუხმარია უკვე გამოყენებული საინექციო საშუალება, ნემსების და შპრიცების პროგრამით მოსარგებლე პირებთან შედარებით (სხვისი გამოყენებული 33.7% vs 26.4%; თავისი გამოყენებული 52.8% vs 39.6%).
- 35 წელზე მეტი ასაკის ნიმ-ების მიერ ნარკოტიკის სახლში გაკეთების პრაქტიკა უფრო მაღალია,  $\leq 35$  წლის ნიმ-ებთან შედარებით, რომლებიც ნარკოტიკის გამოყენებას ამჯობინებენ მანქანაში, სხვა ადგილებში ან „ყველგან, სადაც შესაძლებელია“.
- კვლევაში მონაწილეთა 47.7% აღნიშნავს, რომ ბოლო გამოყენებისას ნემსი თავსახურით გადააგდო ნაგავში, 34.2%-მა ნემსი გადალუნა/გადატეხა და გადააგდო ნაგავში, მცირე ნაწილმა კი თავსახურის გარეშე გადააგდო ნაგავში ან დაწვა ღუმელში.

#### *სქესობრივი ქცევა*

- რესპონდენტების უმრავლესობას (75.7%) პირველი სქესობრივი კავშირი ჰქონდა 18 წლამდე ასაკში.
- ბოლო 12 თვის განმავლობაში ერთ ან მეტ ფასიან სქესობრივ პარტნიორთან სექსი ჰქონდა ნიმ-ების 10%-ზე მეტს.
- ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივი გამოიყენა საკვლევი სუბიექტების მხოლოდ 31.4%-მა.
- თავისივე სქესის სქესობრივი პარტნიორი ოდესმე ჰყოლია გამოკითხულთა 1.3%-ს და მათ შორის მხოლოდ 36%-მა გამოიყენა პრეზერვატივი ბოლო ჰომოსექსუალური კონტაქტის დროს.
- კვლევის მონაწილე ნიმ-ების 6.5%-ს ჰქონია ანალური სექსი ნებისმიერ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში და მათგან მხოლოდ 46.6%-მა გამოიყენა პრეზერვატივი ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს.
- გამოკითხული ნიმ-ების ნახევარზე მეტი (58.3%) მხოლოდ თვითონ, 0.9%-ში მხოლოდ სქესობრივი პარტნიორი და 2.9% -ში ორივე (თვითონ და თავისი სქესობრივი პარტნიორი) იმყოფებოდნენ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს.

- შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივი გამოიყენა კვლევაში მონაწილე ნიმ-ების 71.9%-მა.
- ბოლო 1 წლის განმავლობაში, შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან პრეზერვატივი არასდროს გამოუყენებია რესპონდენტების 8.8%-ს და ყოველთვის იყენებდა მხოლოდ 46.4%.
- ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივი გამოიყენა გამოკითხულთა 88.7%-მა.
- ბოლო 1 წლის განმავლობაში ფასიან სქესობრივ პარტნიორთან პრეზერვატივს ყოველთვის იყენებდა გამოკითხული ნიმ-ების მხოლოდ 58.8%.
- ბოლო 1 წლის განმავლობაში პრევენციული პროგრამებით მოსარგებლე რესპონდენტების უფრო მაღალმა პროპორციამ გამოიყენა პრეზერვატივი ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს, ვიდრე მათ, ვისაც აღნიშნული სერვისი არ მიუღია (43.4% vs 31.6, შესაბამისად).
- რესპონდენტების უფრო დიდმა ნაწილმა გამოიყენა პრეზერვატივი შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სექსის დროს, რომელთაც ბოლო 1 წლის განმავლობაში ისარგებლეს პრევენციული პროგრამებით, ვიდრე მათ, ვისაც აღნიშნული პროგრამებით არ უსარგებლია (81.8% vs 72.7%, შესაბამისად).
- პრევენციული პროგრამებით სარგებლობა არ იყო ასოცირებული ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივის გამოყენების ალბათობასთან.
- ახალგაზრდა ნიმ-ებში ( $\leq 35$  წლის) უფრო მეტად აღინიშნებოდა სარისკო სქესობრივი ქცევები, უფრო მაღალი ასაკის ( $>35$  წელი) ნიმ-ებთან შედარებით, კერძოდ:
  - ახალგაზრდა ნიმ-ებში შედარებით დაბალი იყო პრეზერვატივის გამოყენების ალბათობა ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს.
  - ანალური სექსის პრაქტიკა სამჯერ უფრო მაღალი იყო  $\leq 35$  წლის ასაკის ნიმებში,  $>35$  წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით (12.9% vs 4.8%, შესაბამისად).
  - ორჯერ მეტი ახალგაზრდა ასაკის ( $\leq 35$  წელი) ნიმ-ი აღნიშნავდა ბოლო ერთი წლის მანძილზე შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორის ყოლას, 35 წელს გადაცილებულ ნიმ-ებთან შედარებით.

- ფასიანი სქესობრივი კავშირების ალბათობა უფრო მაღალი იყო ახალგაზრდა ასაკის ნიმ-ებში (25.2%), 35 წელს გადაცილებულ ნიმ-ებთან შედარებით (8.7%).
- ალკოჰოლის მოხმარება ასოცირებული იყო სარისკო სქესობრივ ქცევასთან. კერძოდ, ნიმ-ები, რომლებიც ბოლო 1 თვის განმავლობაში ალკოჰოლს მოიხმარდნენ კვირაში ერთხელ ან მეტჯერ, ნაკლებად იყენებდნენ პრეზერვატივს შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტის დროს, ვიდრე ნიმ-ები რომლებსაც არცერთხელ ან იშვიათად მიუღიათ ალკოჰოლი (66.1% vs 79.8%, შესაბამისად).

*HIV, HBV და HCV ინფექციები (გავრცელება, მკურნალობის ისტორია, ვაქცინაცია)*

- კვლევაში ჩართული ნიმ-ების 0.9% აივ დადებითია. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ზუგდიდში დაფიქსირდა (2.5%).
- C ჰეპატიტის ანტიხეულების გავრცელებაა 58.1%. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ზუგდიდში (76%), ხოლო ყველაზე დაბალი ქუთაისში (46%).
- ნიმ-ების 32.1% დადებითია HCV რნმ-ზე, ანუ აღნიშნება ქრონიკული C ჰეპატიტი.
- ნამკურნალები და SVR მიღწეული ნიმ-ების 13% აღმოჩნდა რეინფიცირებული.
- 2.5%-ს აქვს ქრონიკული B ჰეპატიტი (HBsAg +).
- HBV ვაქცინაციის მაჩვენებელი, ისევე როგორც ვაქცინაციის ჩატარების სურვილი არის ძალიან დაბალია მაღალი რისკის ჯგუფში.
  - მხოლოდ 7.5%-მა აღნიშნა, რომ აცრილია HBV-ზე.
  - HCV ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში ნამკურნალებ ნიმ-თაგან მხოლოდ 10.6% იყო ვაქცინირებული B ჰეპატიტზე (*აღსანიშნავია, რომ HCV ელიმინაციის პროგრამა მოიცავს B ჰეპატიტზე უფასო ვაქცინაციას*).
  - არავაქცინირებულ ნიმ-თაგან მხოლოდ 27.8%-მა გამოთქვა სურვილი ჩაუტარდეს HBV ვაქცინაცია.
- გამოკითხულთა 19.4%, ვინც აღნიშნა, რომ ნამკურნალებია C ჰეპატიტზე არ აღმოჩნდა HCV მკურნალობის პროგრამაში რეგისტრირებული.

- საპატიმროში ყოფნა ასოცირებულია HCV მკურნალობის ალბათობასთან - HCV ნამკურნალებ პაციენტთა პროცენტული წილი 2-ჯერ მაღალია პატიმრობის ისტორიის მქონე ნიმ-ებში.
- საპატიმროში მოხვედრის ჯერადობა ასოცირებულია HCV მკურნალობასთან - HCV მკურნალობის მაჩვენებელი უფრო მაღალია ერთზე მეტი პატიმრობის ისტორიის მქონე რესპონდენტებში მხოლოდ 1 პატიმრობის ისტორიის მქონე რესპონდენტებთან შედარებით.

*ცოდნა აივ ინფექციის შესახებ და ტესტირების ისტორია*

- მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ აივ ინფექცია შეიძლება გადაეცეს კოლოს კბენის შედეგად (16.5%).
- უმრავლესობა (92.8%) ფიქრობს, რომ აივ-ით ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს სხვის მიერ გამოყენებული ნემსით, ხოლო 84.9%-ის აზრით, საზიარო საინექციო ნივთების (ჭურჭელი, კოვზი, ბამბა/ფილტრი ან წყალი, რომელთანაც სხვას ჰქონია შეხება) გამოყენებით.
- მონაწილეთა 53% აივ-ზე ინფორმაციის წყაროდ ასახელებს მეგობრებს/ნაცნობებს/ნათესაებს/კოლეგებს, 46.6% - არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO-ს) წარმომადგენლებს/სოციალურ მუშაკებს, 43.3% - ტელევიზიას, 27.9% - ინტერნეტს, 16.3% - ჯანდაცვის მუშაკებს და 14.1% - დაბეჭდილ საინფორმაციო მასალებს (ბუკლეტები, ფლაერები და სხვა).
- მონაწილეთა უმრავლესობის (87.6%) თქმით, დადებითი აივ ტესტის პასუხის შემთხვევაში შეატყობინებს მეუღლეს/რეგულარულ პარტნიორსა და იმ პირებს, ვისთან ერთადაც მოიხმარენ ნარკოტიკს.
- მონაწილეთა 85.8%-ს ოდესმე ჩაუტარებია აივ-ზე გამოკვლევა, ხოლო ბოლო ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ 44.6%-ს.
- ნემსების და შპრიცების პროგრამით მოსარგებლე ნიმ-ების უფრო მეტმა ნაწილმა (96.7%) აღნიშნა, რომ ოდესმე გაუკეთებია აივ-ზე გამოკვლევა, ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ნიმ-ებთან შედარებით (89.3%).
- ნიმ-ების 3.3%-ს არ სურს აივ-ზე გამოკვლევის ჩატარება, რადგან ეშინიათ, რომ ამის შესახებ გაიგებს პოლიცია.

*მკურნალობის/ზიანის შემცირების პროგრამების ხელმისაწვდომობა და სამკურნალო/პრევენციული პროგრამებით მოცვა*

- პრევენციული პროგრამების მინიმალური პაკეტით<sup>1</sup> მოცული იყო ნიმ-ების 29.5%, ხოლო სრული პაკეტით - 30.4%.
- ნიმ-ების 62.9%-ს უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე არ მიუღია კვალიფიციური საგანმანათლებლო ინფორმაცია შიდა შესახებ და 59.9%-ს არ მიუღია საინფორმაციო ბროშურა/ლიფლეტი/ბუკლეტი შიდა შესახებ.
- ნიმ-ების მიერ ნემსის პარტნიორები და მეუღლე/მეგობრები დასახელდნენ ისეთ ადამიანებად, რომელთაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა მათზე, ნარკოტიკის გაგრძელების ან შეწყვეტის მხრივ.
- კვლევაში მონაწილე ნიმ-ების 62.3%-ს არასოდეს ჩაუტარებია მკურნალობა ან მიუღია სპეციფიკური დახმარება ნარკოტიკის პრობლემური მოხმარების გამო.
- რესპონდენტების უმრავლესობა (83.2%), რომლებიც ამჟამად მკურნალობენ (ან უმკურნალიათ ბოლო 12 თვის განმავლობაში) არიან მეთადონით/სუბოქსონით ჩანაცვლების პროგრამის მოსარგებლები. სამკურნალო პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისზე მოდის (32.6%).
- ნიმ-ების 44.3%-ს არ ჰქონდა მკურნალობის ჩატარების სურვილი, 10.8%-ისთვის კი მკურნალობის ვერ/არ ჩატარების მიზეზს წარმოადგენდა საკმარისი თანხის უქონლობა ან მკურნალობის მაღალი ფასი.
- ბოლო 1 წლის მანძილზე, ქვეყანაში არსებული პრევენციული პროგრამების ფარგლებში ნიმ-ების მიერ მიღებული სერვისები განსხვავებულია ქალაქების მიხედვით. ყველაზე მაღალი პროცენტულობით სტერილური საინექციო ინსტრუმენტები მიღებული აქვთ გორში მცხოვრებ ნიმ-ებს (79.2%), მაშინ როცა ყველაზე მეტად პროგრამის ფარგლებში პრეზერვატივები მიღებული აქვთ თელავსა და ბათუმში მცხოვრებელ ნიმ-ებს.
- აივ/შიდას შესახებ მიღებული კვალიფიციური საგანმანათლებლო ინფორმაციითა და საინფორმაციო მასალით თელავი ლიდერობს (66% და 67.9%, შესაბამისად) (დიაგრამა I3).

<sup>1</sup> პროგრამებით მინიმალური მოცვა: იცის სად შეიძლება აივ-ზე ტესტირება და პრევენციული პროგრამის ფარგლებში ბოლო 1 წლის განმავლობაში მიღებული აქვს უფასოდ მინიმუმ ერთი სერვისი: სტერილური საინექციო მოწყობილობები (ნემსი/შპრიცი/პეპელა) ან პრეზერვატივი ან საინფორმაციო მასალა ან კვალიფიციური საგანმანათლებლო ინფორმაცია შიდას შესახებ.

- პრევენციული პროგრამებით მოცვის<sup>2</sup> დიაპაზონი განსხვავებულია ქალაქების მიხედვით. კერძოდ, თელავი ლიდერობს პრევენციული პროგრამებით სრული და მაქსიმალური მოცვის მაჩვენებლით (72.6% და 57.0%, შესაბამისად), ხოლო გორი ლიდერობს მინიმალური მოცვის მაჩვენებლით (71.1%). განსაკუთრებით დაბალია პრევენციული პროგრამებით მინიმალური მოცვის მაჩვენებელი რუსთავში (1.5%).
- საქართველოში არსებული ნემსების და შპრიცების პროგრამის შესახებ ცნობიერება ასევე მაღალია 35 წელზე მეტი ასაკის ნიმ-ებში.
- დასაქმებული ნიმ-ებში უფრო მაღალია პრევენციული პროგრამებით მოცვა.

---

<sup>2</sup> პროგრამებით მოცვა: იცის სად შეიძლება აივ-ზე ტესტირება და პრევენციული პროგრამის ფარგლებში ბოლო 1 წლის განმავლობაში მიღებული აქვს უფასოდ: სტერილური საინექციო მოწყობილობები (ნემსი/შპრიცი/პეპელა) და პრეზერვატივი.

## დასკვნები და რეკომენდაციები

- აივ ცოდნის დონე მაღალია, თუმცა კვლავ რჩება ნიმ-ების გარკვეული სეგმენტი, რომელსაც არასწორი ინფორმაცია აქვს აივ-ის გადაცემის გზებზე (მაგალითად, ნაწილს ჯერ კიდევ სჯერა, რომ აივ შეიძლება გადაეცეს კოლოს კბენით, საკვების მიღებით და ა.შ.). შესაბამისად, აივ ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულებით საგანმანათლებლო აქტივობები უნდა გაძლიერდეს.
- გამოკითხული ნიმ-ების ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ არასდროს მიუღია საგანმანათლებლო მასალა აივ ინფექციაზე.
- ზიანის შემცირების სერვისის ბენეფიციარები 4-ჯერ მეტად აღნიშნავენ, რომ მიუღიათ აივ საგანმანათლებლო მასალა, ვიდრე ისინი, ვისაც ეს სერვისი არ მიუღია.
- ინექციური ნარკოტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევა (მაგალითად, საინექციო მოწყობილობების გაზიარება) უფრო მეტად არის გავრცელებული 35 წლამდე ასაკის ნიმ-ებში. ასევე, ამ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებში ნაკლებია ნემსების და შპრიცების პროგრამის (NSP) სერვისების გამოყენება. ახალგაზრდებში მაღალია ასევე ზედოზირების შემთხვევების სიხშირე. შესაბამისად, ახალგაზრდა ასაკი უნდა იყოს განსაკუთრებული სამიზნე საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვის დროს.
- ნიმ-ებში ალკოჰოლის გამოყენება ზრდის სარისკო ქცევების რისკს. კერძოდ, ალკოჰოლის ჭარბად მოხმარებლებში მაღალია ნახმარი საინექციო საშუალებების გამოყენების მაჩვენებელი. ასევე, ნიმ-ები, რომლებიც ალკოჰოლს მოიხმარენ, ნაკლებად ასუფთავებენ გამოყენებულ ნემსებს/შპრიცებს. შესაბამისად, რეკომენდებულია ნიმ-ების საგანმანათლებლო აქტივობებში ალკოჰოლის მოხმარების მავნე შედეგებზე ყურადღების გამახვილება, რასაც ორი მიმართულებით ექნება მნიშვნელობა: ალკოჰოლის გამოყენების, როგორც ჯანმრთელობაზე პირდაპირი მავნე ზემოქმედების მქონე ფაქტორის პრევენცია (მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ უმრავლესობა ინფიცირებულია ჰეპატიტების ვირუსებით), ასევე ალკოჰოლის, როგორც ნარკოტიკების მოხმარების სარისკო ქცევის რისკ-ფაქტორის პრევენცია.
- NSP პროგრამებში ჩართულობა ამცირებს სარისკო ქცევებს ნიმ-ებში. ამ პროგრამის ბენეფიციარები ნაკლებად იყენებენ უკვე გამოყენებულ საინექციო საშუალებებს.

- სამწუხაროდ, 2017 წლის შემდეგ გაზრდილია ნიმ-ების სარისკო ქცევის სიხშირე. მომატებულია გამოყენებული საინექციო საშუალებების მოხმარების პრაქტიკა. სავარაუდოდ, სარისკო ქცევის შემთხვევების მომატების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს კოვიდ-პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები. 2022 წლის კვლევის თანახმად გაზრდილია NSP პროგრამიდან სტერილური საინექციო მასალების მიღების მაჩვენებელი, რაც გამოყენებული საინექციო საშუალებების ხელახლა გამოყენების მატებასთან წინააღმდეგობაში მოდის.
- ნიმ-ების უმრავლესობა (85%) ამბობს, რომ სტერილურ ნემსს/შპრიცს ყიდულობს აფთიაქში, 57% იღებს ნემსების და შპრიცების პროგრამიდან, ხოლო ნაწილი ნაცნობ/მეგობრებისგან. აღსანიშნავია, რომ როგორც ნიმ-ებთან, ასევე ზიანის შემცირების სერვისების მიმწოდებლებთან კომუნიკაციით იკვეთება, რომ ნიმ-ებს არ აკმაყოფილებთ პროგრამის ფარგლებში მიწოდებული შპრიცების ხარისხი. შესაბამისად, ამჯობინებენ აფთიაქებში შეძენას. რეკომენდებულია სახარჯი მასალების (მათ შორის შპრიცების და პრეზერვატივების) ხარისხით ნიმ-ების კმაყოფილების და მისი სარისკო ქცევებთან ასოციაციის კვლევის დაგეგმვა და განხორციელება.
- სისხლის გზით გადამდები ინფექციების კონტროლის თვალსაზრისით საგანგაშოა ნიმ-ების მიერ გამოყენებული საინექციო მასალების გადაყრასთან დაკავშირებული ინფორმაცია. კერძოდ, მიღებული პრაქტიკაა გამოყენებული ნემსის მოთავსება ნაგავში თავსახურის ან მის გარეშე, ან გადაგდებამდე გადალუნვა/გადატეხვა. ყოველივე ეს მნიშვნელოვან რისკს უქმნის როგორც დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს, ასევე სხვა მოქალაქეებსაც, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ნაგავი გაფანტულია სხვადასხვა ადგილებში. შესაბამისად, საკმაოდ ხშირია მოქალაქეების (მათ შორის ბავშვების) მიმართვიანობა კლინიკებში სისხლის გზით გადამდებ ინფექციებზე გამოსაკვლევად სწორედ გაფანტული ნემსებით კანის მთლიანობის დარღვევის ფაქტების გამო. უნდა გაუმჯობესდეს ნიმ-ების ინფორმირებულობა გამოყენებული საინექციო საშუალებების გარშემომყოფთათვის რისკის საკითხზე და მათთან სწორად მოპყრობის წესების შესახებ.
- ნიმ-ების დიდმა ნაწილმა (77.2%) იცის სად მიმართოს სუფთა ნემსის/შპრიცის მისაღებად. თუმცა ამ მაჩვენებლის გაზრდა მნიშვნელოვანია, რათა მეტ მომხმარებელს ჰქონდეს ინფორმაცია ამ შესაძლებლობის შესახებ, რაც ნიმ-ებში აივ პრევენციული პროგრამების მოცვის გაზრდას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, ნიმ-ების



ინფორმირებულობის გაზრდა პრევენციული პროგრამების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია, რისი ერთ-ერთი მეთოდია თანასწორთა განათლების პროგრამების გაძლიერება და მეტი ბენეფიციარი ნიმ-ის ჩართვა თანასწორთა განათლების პროცესში.

- პრევენციული პროგრამების როგორც სრული, ასევე მინიმალური მოცვის მაჩვენებლები განსხვავდება ქალაქების მიხედვით. მნიშვნელოვანია ამ განსხვავებების მიზეზების უფრო ღრმა შესწავლა და ზიანის შემცირების ცენტრებს შორის გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა მიმართულებით.
- ნიმ-ებში პრეზერვატივების გამოყენების მაჩვენებელი არასახარბიელოა. პრევენციული პროგრამების ბენეფიციარები მეტად მოიხმარენ პრეზერვატივს, თუმცა ეს მაჩვენებელი მაინც არ არის საკმარისი. შესაბამისად, პრევენციული პროგრამების ბენეფიციარებისთვის უსაფრთხო სექსის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.
- სქესობრივი ქცევა უფრო სარისკოა ახალგაზრდა ნიმ-ებში (მათ შორის შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტები, პრეზერვატივის ნაკლებად გამოყენება და ა.შ), რაც ამ ასაკობრივ ჯგუფებში სქესობრივი განათლების განსაკუთრებულ საჭიროებაზე მიუთითებს.
- განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პრაქტიკულად არ გაზრდილა იმ ნიმ-ების პროპორცია, ვინც ყოველთვის იყენებს პრეზერვატივს და არ შემცირებულა იმ პირთა პროცენტი, ვინც არასოდეს იყენებს პრეზერვატივს. შესაბამისად, აშკარაა საგანმანათლებლო აქტივობების გადახედვის და გაძლიერების საჭიროება.
- მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 2015 წლიდან მიმდინარეობს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომლის მთავარი ამოცანაა C ჰეპატიტის ვირუსით აქტიური ინფექციის პრევალენტობის მკვეთრი შემცირება, საკვლევ პირთა საერთო რაოდენობის 18.6% და HCV ანტისხეულების მქონეთა 32.1% კვლავ რჩება ვირუსის რნმ-ზე დადებითი, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია იმ ქვეყნისთვის, რომელსაც მიზნად ამ ვირუსის ელიმინაცია აქვს დასახული.
- ეს მაჩვენებელი ნიშნავს, რომ საქართველოში ნიმ-ების 18.6% საჭიროებს ანტივირუსულ მკურნალობას. მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი ნიმ-ების მკურნალობის პროგრამაში ჩართვის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის მკურნალობის დეცენტრალიზაციის პროცესის გაგრძელებით, რაც, სხვადასხვა

ბიუროკრატიული ბარიერის და კოვიდ პანდემიის გამო 2019 წლის შემდეგ შეჩერებულია. HCV მკურნალობის ინტეგრაცია ზიანის შემცირების სერვისებთან განხორციელდა მხოლოდ 4 ცენტრში და უნდა გაფართოვდეს სხვა ცენტრებშიც. ასევე, მკურნალობის პროცესში უნდა მოხდეს ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრების ჩართვაც, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მკურნალობის მოცვას.

- შემფოთებას იწვევს რეინფექციის მაჩვენებელი - განკურნებულთა 13% კვლავ HCV რნმ-დადებითია. აშკარაა, რომ არსებობს ვირუსის გადაცემის პრევენციული ღონისძიებების გაუმჯობესების საჭიროება, რათა მიღწეულ იქნას ქვეყანაში C ჰეპატიტის ელიმინაციის მიზანი და პროგრამის ფარგლებში წარმატებულად ნამკურნალევი პაციენტების რეინფიცირება ავიცილოთ თავიდან. უნდა გაიზარდოს რეინფექციის კვლევაზე ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ქალაქში. მნიშვნელოვანია, რომ საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვისას გამახვილდეს ყურადღება რეინფექციის რისკზე.
- საყურადღებოა, რომ ნიმ-ების მიერ გადმოცემული C ჰეპატიტის მკურნალობის ისტორია რამდენადმე განსხვავდება (აღმატება) მკურნალობის პროგრამაში ჩართვის რეალური მაჩვენებლისგან, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ათწლეულების მანძილზე C ჰეპატიტის მქონე ადამიანებს უტარდებოდათ მკურნალობა ე.წ. „ჰეპატოპროტექტორებით“ და ეს ადამიანები მცდარად მიიჩნევენ, რომ ამ დაავადებაზე ნამკურნალევი არიან. შესაძლოა, მცირე ნაწილს ელიმინაციის პროგრამის დაწყებამდე, ინტერფერონით თერაპია აქვს ჩატარებული, თუმცა ასეთი ადამიანების პროცენტული წილი ძალიან დაბალი იქნება, რადგან ინტერფერონზე ხელმისაწვდომობა საქართველოში უკიდურესად დაბალი იყო ფასის გამო. ეს მიგნება გათვალისწინებული უნდა იყოს C ჰეპატიტზე საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვის დროს, რათა ინფიცირებულ პირებს სათანადოდ განემარტოთ, რას ნიშნავს რეალურად C ჰეპატიტზე ანტივირუსული მკურნალობა.
- შემამფოთებლად დაბალია B ჰეპატიტზე ვაქცინაციის მოცვა ნიმ-ებში, მათ შორის C ჰეპატიტზე ნამკურნალევი საკვლევ პირებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში C ჰეპატიტის მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს უნდა ჩაუტარდეს B ჰეპატიტზე ვაქცინაცია, ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალი უნდა იყოს. შესაბამისად, ელიმინაციის პროგრამის პროვაიდერებს კიდევ ერთხელ უნდა მიეცეს მითითება/რეკომენდაცია, რომ გააუმჯობესონ B ჰეპატიტზე ვაქცინაციის მაჩვენებელი, განსაკუთრებით ისეთი მაღალი რისკის მქონე

პირებში, როგორც ნიმ-ებია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ დაინერგოს B ჰეპატიტზე ვაქცინაცია C ჰეპატიტის არმქონე ნიმ-ებშიც, კერძოდ, ზიანის შემცირების ცენტრებსა და ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრებში.

- საინტერესოა ფაქტი, რომ B ჰეპატიტზე აუცრელი ნიმ-ების მხოლოდ 27%-ს სურს აცრა. ეს მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ამ საკითხზე ნიმ-ებთან საგანმანათლებლო აქტივობა დაბალია. შესაბამისად, უკიდურესად მნიშვნელოვანია სასწრაფოდ შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამა B ჰეპატიტის ვაქცინაციის შესახებ როგორც ნიმ-ებთან მომუშავე ორგანიზაციების თანამშრომლების, ასევე ბენეფიციარებისთვის.

## შესავალი

აივ ინფექცია/შიდსი კვლავ რჩება მსოფლიო ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად. დადგენილია, რომ 2021 წელს გლობალურად 38.4 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა აივ ინფექციით, რომელთაგანაც მხოლოდ 2021 წელს დაავადდა 1.5 მილიონი, ხოლო გარდაიცვალა 650 000 ადამიანი [1,2]. აივ-ის გავრცელების ერთ-ერთ წყაროს ინექციური ნარკოტიკების მოხმარება წარმოადგენს, რა დროსაც ინფიცირების შანსი 35 ჯერ იზრდება. გლობალურად, აივ-ის ახალი შემთხვევების 10% ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებზე მოდის [3].

2020 წლის დეკემბერში გაეროს შიდსის პროგრამამ (UNAIDS) გამოაქვეყნა ახალი ამბიციური მიზნები ე.წ. “95-95-95 სამიზნეები“, რომლის მიხედვითაც 2025 წლისთვის აივ ინფექციით მცხოვრები ადამიანების 95%-მა უნდა იცოდეს თავისი აივ-სტატუსი, აივ ინფექციის დიაგნოზის მქონე პირების 95%-მა უნდა მიიღოს ანტირეტროვირუსული თერაპია და მათ შორის, ვინც იმყოფება ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე, 95%-ში მიღწეული უნდა იყოს ვირუსული სუპრესია [4].

COVID-19-ის პანდემიამ შეაფერხა აივ ინფექციის მკურნალობის და პრევენციის სერვისები, რამაც ბევრ ქვეყანაში დაავადების ახალი შემთხვევების ზრდა გამოიწვია. მსოფლიოში ყოველდღიურად 4000 ადამიანი, მათ შორის 1100 ახალგაზრდა (15-დან 24 წლამდე ასაკის) ინფიცირდება აივ-ით. იმ შემთხვევაში, თუ გაგრძელდება მიმდინარე ტენდენცია, 2025 წელს მივიღებთ 1.2 მილიონ ახალ შემთხვევას, რაც სამჯერ მეტია UNAIDS-ის სამიზნე რაოდენობაზე (370 000 ახალი შემთხვევა) [3].

აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ახალი აივ ინფექციის და შიდსით გამოწვეული სიკვდილობის შემთხვევები კვლავ იზრდება. დადგენილია, რომ აივ ინფექციის ახალი შემთხვევების წლიური რაოდენობა 43%-ით, ხოლო შიდსით გამოწვეული სიკვდილობა 32%-ით გაიზარდა 2010-დან 2020 წლამდე. აღნიშნულ რეგიონში აივ ინფექცია კონცენტრირებულია საკვანძო პოპულაციებში და მათ სქესობრივ პარტნიორებში. ზრდასრულ მოსახლეობაში აივ ინფექციის ახალი შემთხვევების 43% გვხვდება ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში [5].

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში აივ ინფექციის 2,2 მილიონზე მეტი ახალი შემთხვევა დაფიქსირდა ევროპის რეგიონში. მხოლოდ 2020 წელს 104 765 ადამიანს დაუდგინდა აივ ინფექციის დიაგნოზი. აივ ინფექციის ახალი შემთხვევების დიდი ნაწილი (81%) აღინიშნება აღმოსავლეთ ევროპაში, 15% დასავლეთ ევროპასა და 4% ცენტრალურ ევროპაში [6].

საქართველო წარმოადგენს აივ-ის დაბალი გავრცელების ქვეყანას (0.4% დადგენილი აივ პრევალენტობა ზრდასრულ მოსახლეობაში), თუმცა არსებობს აივ/შიდსის ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკი, რასაც განაპირობებს ქვეყანაში ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებელთა მაღალი რიცხვი და ინტენსიური მიგრაცია მეზობელ ქვეყნებთან [7]. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის 2022 წლის 31 ოქტომბრის მონაცემების მიხედვით, საქართველოში აივ-ით ინფიცირების 9651 შემთხვევა არის დაფიქსირებული, საიდანაც დაახლოებით 75% მამაკაცია. ინფიცირებულებიდან თითქმის ნახევარს (49.1%) განუვითარდა შიდსი, ხოლო 20.9% გარდაიცვალა. 2022 წელს ახალი შემთხვევების რაოდენობა წინა წელთან შედარებით დაახლოებით სამჯერ შემცირდა. აივ-ის შემთხვევების 34.4% ინექციური ნარკოტიკების მოხმარებლებში ფიქსირდება [8]. საქართველოში აივ ტესტირების და მკურნალობის კასკადის მონაცემების მიხედვით აივ სტატუსის შესახებ იცის აივ ინფიცირებულთა 88%-მა, მათგან 71% იმყოფება ანტირეტროვირუსულ თერაპიაზე და მკურნალობაზე მყოფთაგან 68%-მა მიაღწია ვირუსულ სუპრესიას [9].

ზოგად პოპულაციაში აივ ინფექციის დაბალი გავრცელების მიუხედავად, ინფექციის მაღალი კონცენტრაცია საკვანძო პოპულაციებში, მათ შორის ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებლებში, წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას საქართველოში და ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას 2030 წლისთვის აივ/შიდსის ეპიდემიის დასრულების მისაღწევად. საკვანძო პოპულაციებში რეკომენდირებულია ბიომარკერული ქცევითი კვლევების პერიოდულად ჩატარება, რათა შეფასდეს აივ პრევალენტობა, განისაზღვროს აივ ინფექციის გავრცელებისთვის ხელშემწყობი ქცევითი ფაქტორები და შეფასდეს ინტერვენციების/პროგრამების ეფექტურობა, რომლებიც ხორციელდება ამ პოპულაციებში აივ ინფექციის პრევენციისთვის.

საქართველოში, ქვევაზე ზედამხედველობის ინტეგრირებული კვლევები ბიომარკერის კომპონენტით (IBSS) ნიმ-ებში ტარდება 2002 წლიდან. ბოლო კვლევა ჩატარდა 2017 წელს, საქართველოს 7 ქალაქში, სადაც მონაწილეობდა 2050 ნიმ-ი. აღნიშნული კვლევის შედეგების თანახმად, 2017 წელს ნიმ-ებში აივ პრევალენტობის მაჩვენებელი იყო 2.3%, ხოლო C ჰეპატიტის პრევალენტობის მაჩვენებელი 63.2%-ს შეადგენდა [10].

აივ ინფექციის გადაცემის მსგავსი გზები აქვს B და C ჰეპატიტების ვირუსებს. ეს ინფექციები საქართველოსთვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით ნიმ-ებში. ქვეყანაში 2015 წლიდან მიმდინარეობს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომელიც, გარდა HCV ინფექციის დიაგნოსტიკის და ანტივირუსული მკურნალობის კომპონენტისა (რაც,

თავისთავად, პოპულაციაში ვირუსის გავრცელების შემცირების მიზანსაც ემსახურება), ითვალისწინებს კონკრეტულ პრევენციულ აქტივობებსაც სხვადასხვა პოპულაციურ ჯგუფებში, მათ შორის ნიმ-ებში [11,12]. შესაბამისად, HCV ინფექციის გავრცელების პრევენციული ღონისძიებები მნიშვნელოვანწილად ემსახურება აივ ინფექციის გავრცელების პრევენციასაც.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ ქვეყანა ემზადება B ჰეპატიტის მკურნალობის და პრევენციის მიმართულებით ფართომასშტაბიანი აქტივობებისთვის, განსაკუთრებით საკვანძო პოპულაციებში. შესაბამისად, ამ დაავადების გავრცელების, ცოდნის დონის და დამოკიდებულების შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ B ჰეპატიტზე კვლევა და ამ ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ისტორიის და ვაქცინის მიმართ დამოკიდებულების შეფასება IBSS კვლევის ახალი კომპონენტია, რომელიც არ იყო ჩატარებული წინამორბედი IBSS კვლევების ფარგლებში.

წინამდებარე ანგარიში აღწერს ქვევაზე ზედამხედველობის ინტეგრირებულ კვლევას ბიომარკერის კომპონენტით (IBSS) საქართველოს 7 ქალაქში, რომელიც ჩატარდა 2022 წელს.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებლებში (ნიმ) აივ ინფექციის გავრცელების ტენდენციის და სარისკო ქცევების შეფასება.

კვლევის ამოცანები:

1. ნიმ-ებში აივ ინფექციის, B ჰეპატიტის და C ჰეპატიტის გავრცელების შეფასება;
2. აივ ინფექციასთან მიმართებით, ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული და სარისკო სქესობრივი ქცევების განსაზღვრა;
3. ნარკოტიკების მოხმარების ტენდენციის შეფასება;
4. ცოდნის, დამოკიდებულების და საკუთარი რისკის შეფასება აივ ინფექცია/შიდსზე და ჰეპატიტებზე;
5. ნიმ-ების მიერ პრევენციული პროგრამებით სარგებლობის შეფასება.

## კვლევის მეთოდები

### კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი იყო ჯვარედინ-სექციური, რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის (Respondent Driven Sampling, RDS) მეთოდის გამოყენებით. კვლევა მოიცავდა ქცევით და ბიომარკერულ კომპონენტებს. ქცევითი კომპონენტის ფარგლებში კვლევის მონაწილეებს ჩაუტარდათ პირისპირ გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. ბიომარკერული კვლევის კომპონენტი მოიცავდა გამოკითხული პირების სისხლის გამოკვლევას აივ ინფექციაზე, B და C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციებზე.

### კვლევის ადგილი

კვლევა განხორციელდა საქართველოს შვიდ დიდ ქალაქში: თბილისში, გორში, რუსთავში, თელავში, ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში.

### შენარჩევის ზომა

შენარჩევის ზომა თითოეული ქალაქისთვის განისაზღვრა ნიმ-ებში 2017 წელს ჩატარებული ქცევაზე ზედამხედველობის ინტეგრირებული კვლევის შენარჩევის რაოდენობებთან ზუსტი შესაბამისობით. კვლევაში მონაწილე ნიმ-ების მინიმალურ რაოდენობად განისაზღვრა 2000 ადამიანი, მათ შორის თბილისში 380 ნიმ-ი და დანარჩენ ქალაქებში 270 ნიმ-ი (თითო ქალაქში). საბოლოოდ, კვლევაში ჩართული ნიმ-ების საერთო რაოდენობა იყო 2005 ადამიანი, ხოლო ქალაქების მიხედვით მონაწილეთა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისი - 380 მონაწილე, ზუგდიდი - 275 მონაწილე, ხოლო ყველა დანარჩენი ქალაქი - 270 მონაწილე (ცხრილი 1).

### ცხრილი 1. კვლევის მონაწილეთა რაოდენობა ქალაქების მიხედვით

ქალაქი	მონაწილეთა რაოდენობა
თბილისი	380
ზუგდიდი	275
ბათუმი	270
ქუთაისი	270
გორი	270
თელავი	270
რუსთავი	270
<b>სულ</b>	<b>2005</b>



## კვლევის მონაწილეების შერჩევა

### კვლევის მონაწილეების შერჩევის კრიტერიუმები

პოტენციური საკვლევი სუბიექტების შერჩევა და კვლევაში ჩართვა ხდებოდა ჩართვის და გამორიცხვის შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ჩართვის კრიტერიუმები:

- ასაკი 18 წელი ან მეტი
- ნარკოტიკების ინექციური მოხმარება ბოლო 30 დღის განმავლობაში
- კვლევისთვის შერჩეულ ქალაქში ცხოვრება
- ქართულ ენაზე შედგენილ კითხვარზე პასუხის უნარი
- კვლევაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობის სურვილი და უნარი, კერძოდ, კვლევისთვის სპეციალურად შემუშავებული ინფორმირებული თანხმობის ფორმის დადასტურება ხელმოწერით
- თანხმობა კვლევის ორივე კომპონენტში (კითხვარის შევსება და ვენური ან კაპილარული სისხლის შეგროვება აივ-ინფექციაზე, B და C ჰეპატიტებზე ტესტირებისთვის) მონაწილეობაზე.

გამორიცხვის კრიტერიუმები:

- მიმდინარე კვლევაში უკვე მონაწილეობის მიღება
- უარი კვლევის რომელიმე კომპონენტში მონაწილეობაზე
- ინფორმირებული თანხმობის უუნარობა (მათ შორის ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამო)
- მოქმედი კუპონის არქონა

### კვლევის მონაწილეების რეკრუტმენტი

მთელს მსოფლიოში, ნარკოტიკების ინექციური მოხმარებლები, სხვა საკვანძო პოპულაციების მსგავსად, წარმოადგენენ სტიგმატიზებულ ჯგუფებს, რაც ართულებს მათ მიმართ წვდომას ჩვეულებრივი პოპულაციური შერჩევის მეთოდების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, შემუშავდა სტატისტიკურად ვალიდური შერჩევის მეთოდები საკვანძო პოპულაციებისთვის. ერთ-ერთი ამგვარი მეთოდია რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევა (Respondent-driven Sampling, RDS), რაც გულისხმობს კვლევის მონაწილეების რეკრუტირებას სხვა მონაწილეების მიერ. RDS მეთოდი ეფუძნება სოციალური ქსელის თეორიას და მოიცავს არა-ალბათური ე.წ. „თოვლის გუნდის“ მეთოდით შერჩევას მათემატიკურ მოდელირებასთან ერთად, რაც შენარჩევის შეწონვის და რეპრეზენტატულ ნიმუშთან შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მიახლოების საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ RDS მეთოდოლოგიას აქვს შეზღუდვები, როგორცაა შერჩევის ცდომილება, ის ფართოდ გამოიყენება მთელს მსოფლიოში რთულად მიღწევადი პოპულაციების კვლევაში ჩასართავად.

RDS მეთოდით შერჩევა დავიწყეთ საწყისი სუბიექტების ე.წ. „მარცვლების“ მიზანმიმართული შერჩევით, რომლებიც წარმოადგენდნენ სამიზნე პოპულაციას და კვლევის პირველ მონაწილეებს. კვლევაში ჩართვის და გამორიცხვის კრიტერიუმების გარდა, „მარცვლების“ შერჩევის დროს ხდებოდა დამატებითი ფაქტორების გათვალისწინება. კერძოდ, „მარცვალს“ უნდა ჰქონოდა წვდომა ნარკოტიკის მომხმარებელ სხვადასხვა ჯგუფთან, რაც უზრუნველყოფდა შენარჩევის მრავალფეროვნებას. „მარცვლების“ შერჩევისას ასევე გათვალისწინებული იყო განსხვავებული ასაკობრივი, სოციალური და გეოგრაფიული მახასიათებლები.

თითოეულ ქალაქში კვლევის დაწყებამდე შეირჩა 3-7 „მარცვალი“, შეძლებისდაგვარად განსხვავებული მახასიათებლების (ასაკის, სქესის, ნარკოტიკის მომხმარებელთა ჯგუფებთან კავშირის, საცხოვრებელი უბნის) მიხედვით. მარცვლების შერჩევა განხორციელდა საქართველოს ზიანის შემცირების ქსელში გაერთიანებული ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც ნიშნებთან მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ და მათი ნდობით სარგებლობენ. იმისათვის, რომ მხოლოდ ზიანის შემცირების ცენტრების ჩართვით ჩვენს საკვლევ ჯგუფში ჭარბად არ ყოფილიყო წარმოდგენილი სერვისების ბენეფიციარი მომხმარებლები და ამით არ მიგველო სარისკო ქცევების ნაკლებად შეფასება (underestimation), „მარცვლების“ შერჩევა განხორციელდა ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“-ს მიერ, რომელსაც ნიშნებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

**ცხრილი 2. „მარცვლების“ სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები ქალაქების მიხედვით**

მახასიათებლები	თბილისი	გორი	რუსთავი	თელავი	ბათუმი	ზუგდიდი	ქუთაისი
<b>ასაკობრივი ჯგუფები</b>							
18-24	0	0	0	0	0	0	0
25-30	1	0	0	0	1	1	0
31-40	2	1	2	0	2	5	1
41+	4	2	1	3	2	1	2
<b>სქესი</b>							
მამრობითი	7	3	3	3	4	7	3
მდედრობითი	0	0	0	0	1	0	0
<b>ეროვნება</b>							
ქართველი	6	3	3	3	3	7	3
სხვა	1	0	0	0	1	0	0
უარი პასუხზე	0	0	0	0	1	0	0

**განათლების დონე**

საშუალო ან პროფესიული სასწავლებელი	4	3	3	1	5	2	0
არასრული უმაღლესი	1	0	0	0	0	0	0
უმაღლესი	2	0	0	2	0	5	3
<b>ოჯახური მდგომარეობა</b>							
დაქორწინებულები	6	2	0	3	0	4	3
განქორწინებულები/განცალკევები	1	1	2	0	3	1	0
თ მცხოვრები	0	0	0	0	1	0	0
ქვრივი	0	0	0	0	1	0	0
არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	0	0	1	0	1	2	0
<b>დასაქმების სტატუსი</b>							
მუდმივი სამუშაო	1	1	1	3	0	1	1
პერიოდული სამუშაო	1	2	0	0	1	3	0
უმუშევარი	5	0	2	0	4	3	2
<b>ყოველ თვიური შემოსავალი</b>							
<300	2	0	2	0	3	0	0
300-700	1	3	0	2	2	4	1
700-1000	0	0	1	0	0	1	0
>1000	3	0	0	1	0	2	1
უარი პასუხზე	1	0	0	0	0	0	1
<b>სულ</b>	<b>7</b>	<b>3</b>	<b>3</b>	<b>3</b>	<b>5</b>	<b>7</b>	<b>3</b>

შერჩეული „მარცვლების“ კვლევაში ჩართვა ხდებოდა სპეციალურად შემუშავებული ინფორმირებული თანხმობის ფორმაზე ხელის მოწერის შემდეგ. კვლევაში ჩართვის შემდეგ, „მარცვლები“ მონაწილეობდნენ ქცევით (ინტერვიუება) და ბიომარკერულ (სისხლის ნიმუშის აღება) კომპონენტებში. მას შემდეგ, რაც სრულდებოდა ზემოთ აღნიშნული პროცედურები, თითოეულ „მარცვალს“ ეძლეოდა სპეციალური, უნიკალური კოდის მქონე სამი კუპონი, რომ კვლევაში ჩასართავად მოეზიდა სამი ნიმ-ი თავისი სოციალური ქსელიდან. „მარცვლებს“ უტარდებოდათ დეტალური ინსტრუქტაჟი, თუ როგორ მოეზიდათ კვლევის პოტენციური მონაწილეები. ყველა კუპონს ჰქონდა სერიული ნომერი და მითითებული იყო კვლევის ჩატარების ადგილი და ინფორმაცია ფულადი ჯილდოს შესახებ. „მარცვლები“ თავიანთ თანასწორებს სთავაზობდნენ კვლევაში მონაწილეობას და მათ, ვინც დათანხმდებოდა, გადასცემდნენ კუპონს, რომელიც

უნდა წარმოედგინათ კვლევაში ჩასართავად. საწყისი მარცვლების მიერ რეკრუტირებული სამი ნიმ-იდან თითოეული მათგანი, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა კვლევაში, წარმოადგენდა რეკრუტმენტის პირველ ტალღას. აღნიშნულ მონაწილეებსაც ეძლეოდათ კუპონები, რათა კვლევაში ჩასართავად მოეზიდათ სამი სხვა ნიმ-ი თავიანთი სოციალური ქსელიდან, რომლებიც წარმოადგენენ რეკრუტმენტის მეორე ტალღას. მეორე ტალღის მონაწილეებსაც, ანალოგიურად, ეძლეოდათ სამი კუპონი, რათა მოეზიდათ სამი სხვა ნიმ-ი და ეს პროცესი გრძელდებოდა მანამ, სანამ არ იქნა მიღწეული კვლევის მონაწილეების სასურველი რაოდენობა. რეკრუტირების კუპონების გაცემა წყდებოდა რესპონდენტების სასურველი რაოდენობის მიღწევამდე ცოტა ხნით ადრე. შენარჩევის სასურველი ზომის მიღწევა მოხერხდა კვლევისთვის შერჩეულ შვიდივე ქალაქში. „მარცვლებიდან“ წამოსული ტალღების რაოდენობა განსხვავებული იყო ქალაქების მიხედვით. ტალღების მინიმალური რაოდენობა იყო რუსთავში (6 ტალღა), ხოლო მაქსიმალური - თელავში (14 ტალღა) (ცხრილი 3).

**ცხრილი 3. ინფორმაცია რეკრუტირების შესახებ**

კვლევის არეალი	ტალღების მაქსიმალური რაოდენობა	გაცემული კუპონების ჯამური რ-ბა	დაბრუნებული კუპონების რ-ბა	“მარცვლების” მიერ რეკრუტირებულ რესპოდენტთა რ-ბა
თბილისი	11	571	380	373 (7)
გორი	10	808	276	267 (3)
რუსთავი	6	517	270	267 (3)
თელავი	14	763	270	267 (3)
ბათუმი	8	564	270	265 (5)
ზუგდიდი	9	535	275	268 (7)
ქუთაისი	7	801	270	267 (3)

კვლევის მონაწილეთა რეკრუტმენტი ითვალისწინებდა ორმაგ წამახალისებელ სისტემას: პირველადი ჯილდო კვლევაში მონაწილეობისთვის და მეორადი ჯილდო კვლევაში სხვა პირების რეკრუტირებისთვის. პირველადი ჯილდო შეადგენდა 20 ლარს (დაახლოებით 7 აშშ დოლარი), ხოლო მეორადი ჯილდო - 10 ლარს (დაახლოებით 3.5 აშშ დოლარი) კვლევაში ყოველი ახალი რესპონდენტის ჩართვისთვის.

კუპონებთან დაკავშირებული მონაცემების შეყვანა ხდებოდა სპეციალურად კვლევისთვის შემუშავებულ კუპონების მართვის კომპიუტერულ პროგრამულ სივრცეში.

კვლევაში ჩართვამდე, თითოეული პოტენციური მონაწილე გადიოდა ვერიფიკაციის პროცედურას, რაც იძლეოდა საშუალებას შეგვემოწმებინა, რომ ნამდვილად აკმაყოფილებდა ინდივიდი კვლევაში ჩართვის კრიტერიუმებს.

აღნიშნული პროცედურა მოიცავდა პოტენციურ საკვლევ სუბიექტთან არაოფიციალურ გასაუბრებას ნარკოტიკის ფასების, მათი ჟარგონული სახელწოდებების, ნარკოტიკის მომზადების და ინექციის სხვადასხვა ტექნიკის შესახებ. გარდა ამისა, ხდებოდა ინექციური ნარკოტიკების მოხმარების დამადასტურებელი ობიექტური ნიშნების შეფასება.

ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად კვლევის პოტენციური მონაწილეების გარკვეულ ნაწილს (სულ 42 პირი) უარი ეთქვა კვლევაში მონაწილეობაზე, რადგან ვერ აკმაყოფილებდნენ კვლევაში ჩართვის კრიტერიუმებს. ორმა პოტენციურმა საკვლევმა სუბიექტმა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ აკმაყოფილებდა კვლევაში ჩართვის კრიტერიუმებს.

კვლევაში ჩართვის დროს თითოეულ მონაწილეს ენიჭებოდა 15-ნიშნა უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც ფიქსირდებოდა მონაცემთა

საიდენტიფიკაციო ბაზაში სუბიექტის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით.

აღნიშნული უნიკალური კოდის გენერირება ხდებოდა საკვლევ სუბიექტის სახელის, გვარის, დედის და მამის სახელის, დაბადების ადგილის, სქესის და ა.შ. მონაცემების მიხედვით.

## მონაცემების შეგროვება

შვიდივე ქალაქში მონაცემების შეგროვება (საველე სამუშაოები) მიმდინარეობდა 2022 წლის 1 მაისიდან 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

### ქვევითი კომპონენტი

მონაცემების შეგროვება განხორციელდა ინდივიდუალური, პირისპირ ინტერვიუების საშუალებით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა 2017 წლის IBSS კვლევის ფარგლებში ნიმ-ების ქვევის შესასწავლად შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარი. მიმდინარე კვლევის საველე სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნული კითხვარი ადაპტირდა დარგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და დაემატა გარკვეული შეკითხვები, მაგალითად, B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პრაქტიკის და დამოკიდებულების და სასჯელსრულებაში ყოფნასთან დაკავშირებული სარისკო ქვევის შესაფასებლად. ნიმ პოპულაციის ზომის განსაზღვრის კვლევა ჩატარდა ქვევაზე ზედამხედველობის კვლევასთან ერთად, შესაბამისად, კითხვარი მოიცავდა ნიმ პოპულაციის ზომის შეფასების კითხვებს.

ოპოიდებზე დამოკიდებულების ხარისხის შესაფასებლად კითხვარი მოიცავდა ოპოიდური დამოკიდებულების სწრაფ სკრინინგ ტესტს (RODS) [13], რომელიც მოწოდებულია კლინიკურ და კვლევით გარემოში ოპოიდური დამოკიდებულების იდენტიფიცირებისთვის. ტესტი მოიცავს 8 კითხვას, საიდანაც პირველი კითხვით დგინდება ოდესმე მოხმარებული კონკრეტული ოპოიდი; შემდეგი შვიდი კითხვით ფასდება ოპოიდების მოხმარებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური, ქვევითი და კოგნიტური ცვლილებები. RODS-ის სკრინინგის ინსტრუმენტი გამოირჩევა მაღალი მგრძობელობით (0.97) და სპეციფიკურობით (0.76); წინასწარ განჭვრეტის პოზიტიური (0.69) და ნეგატიური მაჩვენებლით (0.98). კონკორდანტული ანალიზით დგინდება, რომ აქვს ზომიერი სადიაგნოსტიკო თანხმობის კოეფიციენტი ( $\kappa=0.67$ ) და გამოირჩევა ძლიერი შიდა თანმიმდევრულობითა ( $\alpha = .92$ ) და კითხვათაშორისი კორელაციით (0.66 - 0.87). RODS-ის სკრინინგის ინსტრუმენტით შეფასება შეესაბამება ნივთიერებებზე დამოკიდებულების დიაგნოზს ფსიქიკური აშლილობების დიაგნოსტიკის და სტატისტიკის სახელმძღვანელოს მე-4 გამოცემით (DSMIV) [14]. მიმდინარე კვლევის ფარგლებში მოხდა კითხვარის შემოკლება და ამოღებულ იქნა ბოლო, მე-8 კითხვა, რომელიც ეხება ოპოიდების მოხმარების გამო მნიშვნელოვანი მოვლენის/აქტივობის (ექიმთან ვიზიტი, ოჯახის წევრთან/მეგობართან დაკავშირებული აქტივობა) გაცდენას. შესაბამისად, ინსტრუმენტი მოიცავდა 7 კითხვას, ნაცვლად რვისა. დამოკიდებულების დიაგნოზი ისმება თუ პირველ კითხვაზე და შემდეგი კითხვებიდან მინიმუმ სამზე პასუხი დადებითია (ანუ ჯამში ოთხზე მეტი დადებითი პასუხია საჭირო ოპოიდებზე დამოკიდებულების განსაზღვრად).

კვლევის მონაწილეებს ინტერვიუს უტარებდნენ სპეციალურად ამ კვლევისთვის გადამზადებული ინტერვიუერები. ინტერვიუერები შეირჩნენ ა/ო „ჯანმრთელობის კვლევის კავშირის“ და ზიანის შემცირების ქსელში გაერთიანებული ორგანიზაციების თანამშრომლებისგან, რომლებსაც ჰქონდათ ნიმ-ებთან მუშაობის და მსგავსი კვლევების ჩატარების გამოცდილება. კვლევის დასაწყისში ყველა ინტერვიუერმა გაიარა ორდღიანი ტრენინგი, რომელიც მოიცავდა ინსტრუქტაჟს, პრაქტიკულ სამუშაოს და კვლევის ყველა პროცედურის პილოტირებას, როგორცაა, საკვლევი პირების კვლევაში ჩართვა, ინფორმირებული თანხმობის მოპოვება, ინტერვიუს ჩატარება და ა.შ. ტრენინგის განმავლობაში ყველა ინტერვიუერს მიეცა საშუალება, განეხილა კვლევის პროტოკოლი და ინსტრუმენტები.

ინტერვიუერები პირისპირ ინტერვიუებს ატარებდნენ პრივატულ გარემოში კონფიდენციალობის სრული დაცვით. ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 30-40 წუთს. საკვლევი სუბიექტებისგან მონაცემების შეგროვება ხდებოდა შემდეგ საიტებზე: კლინიკა ნეოლაბში (თბილისის, ბათუმის და ზუგდიდის ფილიალები), ასევე, საქართველოს ზიანის შემცირების ქსელში გაერთიანებულ ორგანიზაციებში, კერძოდ, კავშირი „ახალი ვექტორი“ (თბილისის და რუსთავის ფილიალები), კავშირი "იმედი" (ბათუმი), სამედიცინო ფსიქოლოგიური კავშირი "ნაბიჯი მომავლისკენ" (გორის და თელავის ფილიალები), ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია "ქსენონი" (ზუგდიდი) და ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი "ახალი გზა" (ქუთაისი).

გამოკითხვის შედეგად კვლევის მონაწილეებისგან ხდებოდა შემდეგი სახის ინფორმაციის შეგროვება: სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები; ნარკოტიკების მოხმარების ისტორია და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევები; სქესობრივი ცხოვრების ისტორია და სარისკო სქესობრივი ქცევები; ცოდნა, დამოკიდებულება და რისკის თვითშეფასება აივ ინფექციასა და C ჰეპატიტზე; დამოკიდებულება და პრაქტიკა B ჰეპატიტის ვაქცინაციასთან დაკავშირებით; პრევენციული პროგრამებით სარგებლობა; სოციალური ზეგავლენა ნარკოტიკების მოხმარებაზე.

#### ბიომარკერული კომპონენტი

კვლევის ბიომარკერული კომპონენტი მოიცავდა სისხლის ნიმუშის ტესტირებას აივ-ზე, B ჰეპატიტის ვირუსზე და C ჰეპატიტის ვირუსზე.

აივ ინფექციაზე სკრინინგისთვის გამოიყენებოდა სწრაფი ტესტები (On Site HIV1/2 Ab Plus Combo Rapid test, CTK Biotech) ან იმუნოფერმენტული ანალიზი (Abbott, HIV Ag/Ab Combo Reagent Kit, ARCHITECT i1000SR). აივ ინფექციაზე კონფირმაციული ტესტირება ტარდებოდა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში.



C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულებზე სკრინინგი ტარდებოდა სწრაფი ტესტებით (On Site HCV Ab Plus Combo Rapid test, CTK Biotech) ან იმუნოფერმენტული ანალიზით (ELISA HCV Ab – CVAB, Diagnostic BioProbes Srl- Dia-pro). C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის კონფირმაცია ტარდებოდა კლინიკა ნეოლაბში, სისხლში C ჰეპატიტის ვირუსის რნმ-ს აღმოჩენით პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით (PCR) (HCV Real-TM Quant Dx, Sacace Biotechnologies).

B ჰეპატიტის ვირუსის ანტიგენზე სკრინინგი ტარდებოდა სწრაფი ტესტებით (On Site HBs Ag Combo Rapid test, CTK Biotech). სკრინინგ ტესტზე დადებითი შედეგის კონფირმაცია ტარდებოდა კლინიკა ნეოლაბში იმუნოფერმენტული ანალიზით (ELISA HBsAg one Version ULTRA, Diagnostic BioProbes Srl- Dia-pro; Abbott, HBs Ag Qual II Reagent Kit, ARCHITECT i1000SR). ქცევითი კომპონენტის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს სთხოვდნენ აივ-ზე, C და B ჰეპატიტებზე ტესტირებისთვის ნებაყოფლობით სისხლის ნიმუშების ჩაბარებას, რომელიც ინტერვიუს ჩატარების ადგილზევე იყო ორგანიზებული ყველა ქალაქში. საკვლევი სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში, პრე-ტესტ კონსულტირების შემდეგ, გამოცდილი ექთანნი იღებდა სისხლის სინჯს 3-5 მლ-ის ოდენობით.

სისხლის ნიმუშები იგზავნებოდა კლინიკა ნეოლაბის თბილისის ფილიალის ლაბორატორიაში. თუკი სისხლის ტრანსპორტირება ვერ ხერხდებოდა იმავე დღეს, ხდებოდა აღებული ნიმუშების ცენტრიფუგირება და შრატი ინახებოდა მაცივარში 4-8°C-ზე. ლაბორატორიული გამოკვლევები ხორციელდებოდა ე.წ. რესპონდენტზე ბმული ანონიმური ტესტირების მეთოდით. კვლევის ყველა მონაწილეს ჰქონდა უნიკალური საიდენტიფიკაციო 15-ნიშნა კოდი, რომელიც ფიქსირდებოდა როგორც კითხვარზე, ასევე სისხლის სინჯის შემცველ სინჯარაზე. კონფირმაციული ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეტყობინება მონაწილისთვის ხდებოდა 1 კვირის ვადაში.

კვლევის მონაწილეები, რომლებსაც კონფირმაციული ტესტირებით დაუდასტურდათ აივ ინფექცია, B ჰეპატიტი ან C ჰეპატიტი, რეფერირდებოდნენ შესაბამის სადიაგნოსტიკო და სამკურნალო დაწესებულებებში.



## კვლევის ეთიკა

კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. თითოეულ მონაწილეს მიეწოდებოდა ინფორმაცია კვლევის მიზნის, ამოცანების, მეთოდების, პროცედურების, რისკებისა და სარგებლის შესახებ. ყველა სუბიექტი, რომელიც თანხმდებოდა კვლევაში მონაწილეობაზე, ხელს აწერდა ინფორმირებული თანხმობის ფორმას და მხოლოდ ამის შემდეგ ერთვებოდა კვლევაში. დაცული იყო ანონიმურობის პრინციპი. მონაწილეთა ვინაობა არ ფიქსირდებოდა, მთელს დოკუმენტაციაზე მხოლოდ რესპონდენტის 15-ნიშნა კოდი იყო აღნიშნული. აივ ინფექციაზე, C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაზე და B ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაზე დადებითი სკრინინგ ტესტის შემთხვევაში, კონფიდენციალური ტესტირებისთვის ხდებოდა მონაწილის საიდენტიფიკაციო მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) მოპოვება.

კვლევის დაწყებამდე, კვლევის პროტოკოლი და ინსტრუმენტები განიხილა და დაამტკიცა ჯანმრთელობის კვლევის კავშირის ეთიკურმა კომისიამ (IRB00009520; IORG005619).

## მონაცემთა ანალიზი

მონაცემების შეყვანა, მართვა და სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური პაკეტის SPSS v22 გამოყენებით. აღწერითი სტატისტიკური მეთოდები იქნა გამოყენებული სამიზნე პოპულაციებში შესწავლილი ცვლადების დასახასიათებლად. ბივარიაციული ანალიზით ერთმანეთს შედარდა სხვადასხვა საკვლევი ჯგუფი, სადაც სტუდენტის t-ტესტი იქნა გამოყენებული რაოდენობრივი ცვლადების შესადარებლად, ხოლო ხი-კვადრატ ტესტი - კატეგორიზებული ცვლადების შესადარებლად. ლოჯისტიკური რეგრესიის მოდელი იქნა გამოყენებული მულტივარიაციული ანალიზისთვის ზოგიერთი გამოსავლის ცვლადის დამოუკიდებელი პრედიქტორების გამოსავლენად. შერჩეული ინდიკატორების შედარება განხორციელდა 2017 წლის IBSS კვლევის მონაცემებთან. ნიმ-ების სოციალური ქსელების სტრუქტურები და რეკრუტირების მონაცემები გაანალიზდა ქსელების ვიზუალიზაციის სპეციალური პროგრამის (NetDraw 2.179) გამოყენებით.

კვლევის შედეგად მიღებული მაჩვენებლების გამოთვლა ასევე განხორციელდა რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის ანალიზის მოდიფიცირებული (RDS-MOD) მეთოდით (Respondent Driven Sampling - modified), რომელიც დაფუძნებულია ცალკეული ნორმალიზებული წონების განსაზღვრაზე კვლევის თითოეული მონაწილესათვის [15]. ამ მიდგომით დაანგარიშებულია პოპულაციის პარამეტრების დაზუსტებული მახასიათებლები (სიხშირეები და 95% სარწმუნობის ინტერვალები). ეს მეთოდი ახდენს RDS მონაცემების კონვერტაციას კლასტერულ მონაცემებში, რათა გათვალისწინებული იყოს მონაწილეთა კვლევაში ჩართვის დროს მონაწილეთა შორის არსებული კავშირების ასპექტი. ზემოაღნიშნული მეთოდის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ტეილორის

სერიათა გაწრფივების (Taylor series linearization) ტექნოლოგიის გამოყენება სარწმუნოების ინტერვალების გამოთვლის პროცესში. ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა, გამოვიყენოთ ზოგადი ტიპის (არა მარტო RDS-ზე სპეციალიზირებული) სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამები რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის გზით მოპოვებული მონაცემების დამუშავებისათვის. ჩვენს მიერ ამ მიზნით გამოყენებული იყო სტატისტიკური სისტემის - R -ის 4.1-1 ვერსიის პროგრამული მოდული “Survey”, რომელიც მოწოდებულია კომპლექსური შენარჩევების დამუშავებისათვის. კვლევის თითოეული მონაწილეს შესაბამისი წონების გათვლა ეფუძნებოდა იმ დაშვებას, რომ რეკრუტერის მიერ მონაწილის რეკრუტირება დამოუკიდებელ მოვლენას წარმოადგენს და რეკრუტირების ალბათობა პროპორციულია რეკრუტერის ინდივიდუალური ქსელის ზომისა. ეს დაშვება დამუშავებულია და მისი მართებულობა დამტკიცებულია წინა კვლევებით [16]. განხორციელდა კვლევაში ჩართვის ჯაჭვის მონაცემების კონვერტაცა კლასტერებში მარცვლების მონაცემების ამოღებით მონაცემთა სიმრავლიდან და ამის შედეგად „დაწყვეტილი“ შტოები განხილულ იქნა როგორც კლასტერები [15]. RDS-MOD მიდგომა აგენერირებს RDS II მეთოდით [17] მიღებული შედეგების ანალოგიურ მაჩვენებლებს და ე.წ. ანალიზური გზით ითვლის მაჩვენებლებსა და სარწმუნოების ინტერვალებს (ცხრილები 1.3.1-1.3.1.0)

## შედეგები

### კვლევაში მონაწილეთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2005-მა ნიმ-მა (თბილისი - 380, დანარჩენ ქალაქებში - 270 თითოეულ ქალაქში). რესპონდენტების 70.4% (n=1412) პირველად მონაწილეობდა ქცევაზე ზედამხედველობის კვლევაში. მსგავსი ტიპის კვლევაში ერთხელ მონაწილეობა მიღებული აქვს მონაწილეთა 16.7%-ს (n=334), ორჯერ - 6.1%-ს (n=122), ხოლო 2-ზე მეტად - 5.5%-ს (n=110). მათ შორის, ვისაც ჰქონდა მსგავს კვლევაში მონაწილეობა მიღებული, 94.8%-მა (n=480) აღნიშნა, რომ გაიგო აივ-ზე გამოკვლევის შედეგი. ნიმ-ების 4%-ს (n=80) მიღებული აქვს მონაწილეობა Lite-BSS-ში (ცხრილი Q1).

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობის ასაკი 40 წელს აღემატება (n=1267, 63.2%), 3% 18-24 წლისაა (n=60), 7.4% - 25-31 წლამდე (n=149), ხოლო 26.4% - 31-41 წლამდე (n=529). რესპონდენტთა 98.6% მამაკაცია (n=1977). ნიმ-ების 91.1% ქართველია (n=1826), ხოლო 3.8% სხვა ეროვნების (n=76). რესპონდენტთა უმრავლესობას (n=1212, 60.4%) მიღებული აქვს საშუალო განათლება. ნიმ-ების ნახევარზე მეტი უმუშევარია (n=1177, 58.7%), პერიოდული სამუშაო აქვს 23%-ს (n=461), ხოლო მუდმივად დასაქმებული არის მხოლოდ 13.1% (n=262). რესპონდენტთა 22%-ის (n=441) ყოველთვიური საშუალო შემოსავალი 500-დან 700 ლარამდე მერყეობს, 100-დან 300 ლარამდე აქვს ნიმ-ების 18.4%-ს (n=369), ხოლო 1000 ლარი და მეტი აქვს 17.5%-ს (n=351). ნიმ-ების 49.1% (n=985) დაოჯახებულია, 22.3% (n=448) - განქორწინებული, ხოლო 25.8% (n=517) არასდროს ყოფილა დაქორწინებული. რესპონდენტების 42.5% (n=853) ცხოვრობს მეუღლესთან ერთად, 30.7% (n=615) - მშობლებთან ან ნათესავებთან, ხოლო 18.8% (n=377) მარტო ცხოვრობს (ცხრილი A1).

კვლევაში მონაწილე ნიმ-ების 51.3%-ს (n=1029) აქვს მოხდელი სასჯელი ციხეში ან კოლონიაში. ნიმ-ების 6.4% (n=66) იყო არასრულწლოვანი (<18 წლის), როდესაც პირველად მოხვდა საპატიმროში, 52.4% (n=539) - 18-31 წლამდე ასაკის, ხოლო 19.4% (n=200) - 30 წელზე უფროსი. პატიმრობაში მყოფთა 71.4%-ს (n=735) სასჯელი მოხდელი აქვს 1 წელზე მეტი ხნის წინ. ბოლო პატიმრობისას, ნიმ-ების 28%-მა (n=288) 2 წელზე მეტი ხანი გაატარა საპატიმროში, 20.3%-მა (n=209) - 1-2 წელი, ხოლო 16.3%-მა (n=168) 3-6 თვე (ცხრილი A1).


იმ ნიმ-ების 22.5% (n=232), ვისაც ოდესმე მოუხდია სასჯელი საპატიმროში, აცხადებს, რომ პატიმრობაში ყოფნისას მოიხმარდა ნარკოტიკს. ბოლოს 12 თვის განმავლობაში ადმინისტრაციული სასჯელი ნარკოტიკების მოხმარების გამო ერთხელ მიღებული აქვს ნიმ-ების 5.5%-ს (n=57). ბოლო 12 თვის განმავლობაში ნიმ-ების 3.9% (n=40) მოხვდა წინასწარი დაკავების საკანში ნარკოტიკის მოხმარების გამო, ხოლო საპატიმროში იჯდა - 1.7% (n=17). ნიმ-ების 16.9%-მა

(n=174) ნარკოტიკული საშუალება ციხიდან გამოსვლიდან 1 დღეში მოიხმარა, ხოლო 20.1%-მა (n=207) - 2-15 დღეში.

### ნარკოტიკების მოხმარების ისტორია

კვლევაში მონაწილეთა 62.2%-მა (n=1,248) ნარკოტიკული საშუალებები ცხოვრებაში პირველად, მოზარდობის პერიოდში, 15-19 წლის ასაკში გასინჯა. ნარკოტიკული საშუალებების პირველად გასინჯვას ადგილი ჰქონდა, როგორც ინექციური ასევე არაინექციური გზით (დალევა-ჩაყლაპვით ან მოწევით). ნარკოტიკული საშუალებების პირველად მოხმარების მედიანურმა ასაკმა ყველა ქალაქში შეადგინა 17 წელი (SD 3.97) გარდა გორისა, სადაც მედიანური ასაკი 18 წელია. რესპონდენტთა შორის ნარკოტიკული საშუალებების 15 წლამდე ასაკში მოხმარება, ინექციური თუ არაინექციური, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით დაფიქსირდა თბილისში (16.1%), ქუთაისსა (14.8%) და ზუგდიდში (13.1%). ინექციური მოხმარების დაწყების ასაკის მედიანა მთელი შერჩევითვის 20 წელია, თუმცა მონაწილეთა უმრავლესობამ (40.9%) ინექციურად მოხმარების პირველი შემთხვევა 15-19 წლის ასაკში აღნიშნა. ინექციური მოხმარების გამოცდილება, 15 წლის ასაკამდე, გამოკითხულთა მხოლოდ 2.7%-მა აღნიშნა. შერჩევაში მონაწილე ქალაქების მიხედვით, ცხოვრებაში პირველად ინექციური მოხმარების მედიანური ასაკი, 19 წელსა (რუსთავი და ზუგდიდი) და 21 წელს შორის მერყეობს (ქუთაისი). 15 წლამდე ასაკში, ნარკოტიკული საშუალებების ინექციურად მოხმარების შედარებით მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ზუგდიდში (რესპონდენტთა 5.1%), თბილისსა (4.5%) და გორში (3.7%) (დიაგრამა B1).

**დიაგრამა B1. ნარკოტიკის ინექციური გზით პირველად მოხმარების ასაკის სიხშირული განაწილება ქალაქების ჭრილში**



გამოკითხულთა ორ მესამედზე მეტი (70.8%) თვლის, რომ წამალდამოკიდებულია. მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ბათუმში (ცხრილი B1).

რესპონდენტთა მეოთხედი (516; 25.7%) თვლის, რომ არ არის ნარკოტიკზე დამოკიდებული, თუმცა მათ შორის ვინც თვლის, რომ წამალდამოკიდებულია (1,420; 70.8%), დამოკიდებულების ხანგრძლივობა მერყეობს საკმაოდ დიდი დიაპაზონით, მინიმუმ - 6 თვიდან მაქსიმუმ - 48 წლამდე (ცხრილი B1).

**ცხრილი B1. რესპონდენტთა მიერ აღქმული წამალდამოკიდებულების გავრცელება და ხანგრძლივობა, ქალაქების ჭრილში**

ქალაქები	ფიქრობს, რომ წამალდამოკიდებულია (%)	წამალდამოკიდებულების ხანგრძლივობის მედიანა წლებში
თბილისი	74.2	15.0
გორი	60.4	10.0
რუსთავი	78.5	20.0
თელავი	42.6	13.0
ბათუმი	97.4	10.0
ზუგდიდი	79.6	10.0
ქუთაისი	61.5	10.0


მათ ვინც მიუთითებს წამალდამოკიდებულებას მაქსიმუმ 5 წელს ან ფიქრობს, რომ არ არის დამოკიდებული (822; 41%), შპრიცი/ნემსი ან სხვა საინექციო მასალა უფასოდ მიღებული აქვს 439 (53.4%) რესპონდენტს, პრეზერვატივი - 379-ს (46.1%) და საგანმანათლებლო-საინფორმაციო ბუკლეტი ან ბროშურა შიდსზე - 338-ს (41.1%).

შერჩევის სამი მეოთხედი, ბოლო 6 თვის განმავლობაში, ნარკოტიკული საშუალებების ინექციური მოხმარების ჯგუფურ პრაქტიკაზე მიუთითებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 24% ინექციურ მოხმარებას არარეგულარულ ჯგუფთან და ორჯერ მეტი კი (48.7%; 977) ერთსადაიმავე ადამიანებთან ერთად, ანუ რეგულარულ ჯგუფთან ერთად აღნიშნავს. რესპონდენტთა, მხოლოდ, ერთი მეოთხედი (25.8%; 518) აღნიშნავს ინექციურად მოხმარების ინდივიდუალურ პრაქტიკას. ქალაქების ჭრილში რეგულარულ ჯგუფთან ინექციური მოხმარების პრაქტიკა შედარებით მაღალია რუსთავსა (74.1%; 200) და ზუგდიდში (56.4%; 155), ხოლო ინდივიდუალური მოხმარების პრაქტიკა დაფიქსირდა - თელავსა (38.5%; 104) და ქუთაისში (34.1%; 92). რესპონდენტთა უმრავლესობა (16.2%; 325) ინექციურ მოხმარებას, საშუალოდ 3 ადამიანისგან შემდგარ, რეგულარულ ჯგუფთან ერთად მიუთითებს. ქალაქების მიხედვით განსხვავებულია ჯგუფის წევრთა საშუალო რაოდენობა, რომელიც 3-დან (ბათუმი) 4-მდე (თელავი) მერყეობს.

ბოლო თვის განმავლობაში, რესპონდენტთა მესამედი (32.4%; 649) აღნიშნავს თვეში რამდენჯერმე ინექციური გზით ნარკოტიკების მოხმარებას, 6.1% (123) კი - დღეში რამდენჯერმე ინექციას.

ნარკოტიკების დღეში რამდენჯერმე ინექციურ მოხმარებას ყველაზე მეტად რუსთაველი რესპონდენტები (25.2%; 68) აღნიშნავენ, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი თელავში (3.3%; 9). ყოველდღიური და დღეში რამდენჯერმე ინექციებით გამოირჩევა 25 წლის და მეტი ასაკის მომხმარებლები, 24 წლამდე მომხმარებლებისთვის უპირატესად კვირაში 2-3 ჯერ ინექციებია დამახასიათებელი (დიაგრამა B2).

**დიაგრამა B2. ინექციათა სიხშირე ასაკის ჭრილში**



ბოლო თვის განმავლობაში ნარკოტიკული საშუალებების არაინექციური მოხმარება აღნიშნა რესპონდენტების 81.6%-მა (1,637). არაინექციური გზით მოხმარებულ ნარკოტიკებს შორის პრევალირებს კანაფის და მისი პროდუქტების მოხმარება, ოპიოიდური ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებების (მეთადონის) და არაბარბიტურატი საძილეების მოხმარება. ვინც აღნიშნა ბოლო თვეში არაინექციური გზით მოხმარება, მათგან 55.5%-მა (1,111) მოიხმარა კანაფის პროდუქტები (მარიხუანა, ჰაშიში, ანაშა), რომელსაც მოჰყვებოდა მეთადონი (18.5%; 371), დიაზეპამი (18%; 360), კლონაზეპამი (14.5%; 290), ბაკლოფენი (10.8%; 217), გაბაპენტინი (10.2%; 204), ბუპრენორფინი (8.7%; 174) და პრეგაბალინი (6.5%; 130). არაინექციურად მოხმარებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებებიდან (აფნ) რესპონდენტებს შორის ყველაზე გავრცელებულია სინთეზური კანაბინოიდების მოხმარება (ე.წ ბიომარიხუანა, სპაისები, შოკოლადი), რომლებსაც რესპონდენტების 4.5% (90) მოიხმარს. ასევე დაფიქსირდა სინთეზური სტიმულატორების (კრისტალი, აბაზანის მარილები, მეფედრონი, ბიო-MDMA) მოხმარება რესპონდენტთა 2%-ში, ხოლო სინთეზურ ჰალუცინოგენებს (ბიო-LSD/NBOME) 1.4% მოიხმარს (ცხრილი B2).




**ცხრილი B2. ბოლო თვეში არაინექციურად მოხმარებული ფსიქოაქტიური საშუალებების სიხშირული განაწილება ქალაქების ჭრილში**

ქალაქები	კანაფის პროდუქტები	მეთა დონი	დიაზეპამი	კლონაზეპამი	ბაკლოფენი	გაბაპენტინი	ბუპრენორფინი	პრეგაბალინი
თბილისი	15.9	16.7	19.2	19.7	19.8	26.5	17.8	21.5
გორი	19.4	15.4	18.1	11.7	13.4	7.4	47.1	5.4
რუსთავი	11.3	15.4	18.3	11.7	3.2	3.4	5.2	0.8
თელავი	15.3	11.9	20.3	7.6	19.4	18.1	6.9	1.5
ბათუმი	20	16.4	14.4	16.6	1.8	3.9	10.3	6.9
ზუგდიდი	3.6	14	2.2	10.3	15.7	6.4	3.4	6.9
ქუთაისი	14.5	10.2	7.5	22.4	26.7	34.3	9.2	56.9
საქართველო*	55.5	18.5	18	14.5	10.8	10.2	8.7	6.5

ბოლო თვეში ინექციურად მოხმარებულ ნივთიერებათა შორის პირველ სამეულშია ჰეროინი, ბუპრენორფინი და მეთადონი (დიაგრამა B3). დაახლოებით იგივე სურათია ბოლო ჯერზე ინექციისას მოხმარებული ნივთიერებების შემთხვევაშიც, შესაბამისად მაღალი მაჩვენებლებით პრევალირებს სუბოქსონი (663; 33.1%) და ჰეროინი (603; 30.1%). გაცილებით ნაკლები მაჩვენებლებით დაფიქსირდა ისეთი საშუალებების ბოლო ჯერზე ინექციით მოხმარება, როგორცაა მეთადონი (259; 12.9%), სუბუტექსი (163; 8.1%), ამფეტამინი (112; 5.6%), ეფედრონი (93; 4.6%). ბოლო თვეში, ყოველდღიურ ინექციას, მთელი შერჩევიდან 523 რესპონდენტი აღნიშნავს (26%).


**დიაგრამა B3. ბოლო თვეში ინექციურად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალებები**



ბოლო თვეში, ყოველდღიურ ინექციას უმეტესად ბათუმელი რესპონდენტები აღნიშნავენ, თუმცა რუსთაველი რესპონდენტების მეტი წილი დღეში რამდენჯერმე ინექციას აღნიშნავს, სხვა ქალაქების რესპონდენტებისგან

განსხვავებით (დიაგრამა B4) ქალაქებს შორის ეს განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა.

**დიაგრამა B4. ბოლო თვეში ნარკოტიკული საშუალებების ინექციურად მოხმარების სიხშირე ქალაქების ჭრილში**




ბოლო 12 თვეში, ოპიოიდების ჯგუფის ინექციურად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალებების სურათიც არ განსხვავდება ბოლო თვეში ინექციურად მოხმარებული სურათისგან და ყველაზე ხშირად, ინექციურად მოხმარებული ოპიოიდების ჯგუფის ნარკოტიკებიდან ჰეროინი (54.7%) და ბუპრენორფინი (სუბუტექსი, სუბოქსონი) (51.9%) იყო დასახელებული, რომელსაც მოსდევს მეთადონი (36.5%), ოპიუმი (8%), მორფი (5%).

რაც შეეხება ბოლო თვეში ინექციურ მოხმარებას, სურათი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალაქებს შორის. კერძოდ კი, ოპიოიდების ინექციური მოხმარება სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალია რუსთავში (OR = 3.1, 95% CI:1.8-5.6), თბილისში (OR = 0.2, 95% CI:0.2-0.3), ბათუმში (OR = 2.8, 95% CI:1.6-4.8) და ზუგდიდში (OR = 1.8, 95% CI:1.1-2.8), ვიდრე სხვა ქალაქებში (დიაგრამა B5).




**დიაგრამა B5. ბოლო თვეში ინექციური გზით ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ქალაქების მიხედვით**



სტიმულატორების ინექციური მოხმარება, თბილისთან შედარებით (OR = 0.2, 95% CI:0.1-0.3) სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალია რუსთავში (OR = 0.4, 95% CI:0.3-0.6), თელავში (OR = 0.6, 95% CI:0.4-0.8), ზუგდიდსა (OR = 0.4, 95% CI:0.3-0.6) და ქუთაისში (OR = 2.1, 95% CI:1.5-2.9), ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ინექციური მოხმარება სტატისტიკურად სარწმუნოდ წარმოდგენილია მხოლოდ ქუთაისში (OR = 29.1, 95% CI:6.9-121.9).

სტიმულატორების (OR = 1.7, 95% CI:1.4-2.1) და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (OR = 5.4, 95% CI:2.9-10.4) ინექციური მოხმარება 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის უფრო მეტად დამახასიათებელია, ვიდრე უფროსი ასაკის მოხმარებლებისთვის (დიაგრამა B56).

**დიაგრამა B6. ბოლო თვეში ინექციური გზით ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ასაკობრივ ჯგუფში**




ოპიოიდების ჯგუფის ნარკოტიკების რეგულარული მოხმარების ეპიზოდები (ყოველდღიური ინექცია/მოხმარება) ბოლო 12 თვიდან ერთი კვირის ან მეტის და ერთი თვის ან მეტის განმავლობაში, ყოველი გამოკითხული 10 რესპონდენტიდან 4-მა აღნიშნა (42.8%). რეგულარულად მოხმარებულ ოპიოიდებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა ჰეროინი (30.1%), სუბოქსონი (28.9%), მეთადონი (27.7%) და სუბუტექსი (9.3%). დამოკიდებულების შეფასება ჩატარდა ინექციური ნარკოტიკების მოხმარებლებში, რომელთაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ოპიოიდური ჯგუფის ნივთიერებების მოხმარება დაადასტურეს. მთლიანი შერჩევის 97%-მა (1,943 რესპონდენტი) ოპიოიდების ჯგუფის ნარკოტიკების მოხმარება ბოლო 12 თვის განმავლობაში დააფიქსირა, რომელთა დადებითი პასუხების რაოდენობა, სულ მცირე 6-ს შეადგენდა. RODS-ის გაანგარიშებით გამოვლინდა, რომ 753 (38.7%) რესპონდენტს აღენიშნება ოპიოიდების ჯგუფის ნივთიერებებზე დამოკიდებულება. შერჩევის ნახევარზე მეტმა (55%) აღნიშნა, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში ჰქონდა ალკოჰოლის მდგომარეობა ნარკოტიკის შეწყვეტის ან დოზის მკვეთრად შემცირების გამო. ამასთანავე, გამოკითხულ რესპონდენტთა დაახლოებით ერთ მეოთხედს გამოუვლინდა ოპიოიდების ჯგუფის პრეპარატებზე დამოკიდებულება (იგულისხმება ბოლო ერთი თვის განმავლობაში დღეში მინიმუმ ერთხელ მოხმარება).

#### ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევა

კვლევაში მონაწილეთა 40.3%-ის (n=808) თქმით, მოუხმარია თავისი გამოყენებული ნემსი/შპრიცი/სხვა საინექციო საშუალება, ხოლო 24.4%-ს (n=490) - სხვისი გამოყენებული (დიაგრამა C1).

**დიაგრამა C1. სხვის მიერ გამოყენებული საინექციო საშუალებების მოხმარების პრაქტიკა**



ნიმ-ების 2.4%-მა (n=25) ბოლოს ნარკოტიკი მოიხმარა სხვის მიერ გამოყენებული, გასუფთავებული ნემსით/შპრიცით/სხვა საინექციო საშუალებით, ხოლო 1.6%-მა (n=16) გასუფთავების გარეშე მოიხმარა. რესპონდენტების 14.8%-მა (n=153) ბოლოს ნარკოტიკი მოიხმარა მისივე გამოყენებული საინექციო საშუალებით. ნიმ-ების 4.8%-ის (n=50) თქმით, ბოლო გაკეთებისას, 1-4-მა ადამიანმა გამოიყენა საზიარო საინექციო საშუალება. კვლევაში მონაწილეთა 3.1% (n=32) აღნიშნავს, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ხანდახან იყენებდა სხვის მიერ გამოყენებულ ნემსს, 1.7%-მა (n=18) მხოლოდ ერთხელ მოიხმარა, ხოლო 87.0%-ს (n=897) არასდროს გამოუყენებია. ნიმ-ების 23.9%-ის (n=246) თქმით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ნარკოტიკის გაკეთებისას ხანდახან იყენებდა თავისივე გამოყენებულ ნემსს/შპრიცს/სხვა საინექციო საშუალებას, 7.5%-მა (n=77) მხოლოდ ერთხელ გამოიყენა, 1.8% (n=19) თითქმის ყოველთვის მოიხმარდა, ხოლო 61.9%-ს (n=638) არასდროს გამოუყენებია. რესპონდენტების 64.2% (n=224) აღნიშნავს, რომ ბოლო ერთ თვეში, თავის ან სხვის მიერ გამოყენებულ ნემსს/შპრიცს/სხვა საინექციო საშუალებას ყოველთვის ასუფთავებდა, სანამ გამოიყენებდა. მონაწილეთა 94.8% (n=308) აღნიშნულ ნივთებს მხოლოდ წყლის გამოყენებით ასუფთავებდა. ნიმ-ების 36.1% (n=30) ფიქრობს, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში, საზიარო ნემსი/შპრიცი/სხვა საინექციო საშუალება ერთხელ მაინც გამოიყენა მეგობართან ერთად, ხოლო 24.1%-მა (n=20) გამოიყენა ნარკომომხმარებლების ჯგუფიდან რომელიმე პირთან ერთად. რესპონდენტების 17.0%-ის (n=341) თქმით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ხანდახან სარგებლობდა წინასწარ შევსებული შპრიცით, 8.0%-მა (n=161) მხოლოდ ერთხელ

გამოიყენა, 2.2% (n=44) თითქმის ყოველთვის იყენებდა, ხოლო 68.4%-ს (n=1373) არასდროს გამოუყენებია (ცხრილი C1).


კვლევაში მონაწილეთა 21.8% (n=438) აღნიშნავს, რომ ნარკოტიკის ბოლო მოხმარებისას ისარგებლა წინასწარ შევსებული შპრიცით. ნიმ-ების 3.1%-ის (n=62) თქმით, ბოლოს ნარკოტიკი გამოიყენა მას შემდეგ, რაც ის შეივსო წამლის ხსნარით სხვისი ნახმარი შპრიციდან (მიუხედავად იმისა, თავიდან შეივსო, თუ ბოლოდან). მონაწილეთა 1.6%-მა (n=33) ბოლოს სხვის მიერ შპრიცში დატოვებული ნარკოტიკი მოიხმარა. კვლევაში მონაწილეთა 19.7%-მა (n=395) ბოლოს გამოიყენა საზიარო დიდი ბოთლი, კოვზი, მოსახარში ჭურჭელი/შუშა/კოლბა, ბამბა/ფილტრი, წყალი, რომელშიც შესაძლოა მოხვედრილიყო სხვის მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი. ნიმ-ების 20.0%-მა (n=400) ბოლოს გამოიყენა კონტეინერიდან ნარკოტიკის ხსნარი, რომელიც მისი თანდასწრების გარეშე მომზადდა (ცხრილი C1).

*ახალი, სტერილური ნემსის/შპრიცის/სხვა საინექციო საშუალების მოხმარება*

გამოკითხული ნიმ-ების უმრავლესობამ (88%) აღნიშნა, რომ გამოიყენა სტერილური აღჭურვილობა ნარკოტიკის ბოლო ინექციის დროს. აღნიშნული ინდიკატორი უფრო მაღალი იყო ქალებში (92.9%) მამაკაცებთან შედარებით (87.9%). ბოლო ინექციის დროს სტერილური საინექციო აღჭურვილობის გამოყენება, ასევე, უფრო მაღალი იყო ახალგაზრდა (<25 წელი) ნიმ-ებს შორის უფროსი ასაკის ნიმ-ებთან შედარებით (≥25 წელი) (90% vs. 87.9%) (ცხრილი C1).

ბოლო 30 დღის განმავლობაში კვლევაში მონაწილეთა 53.0%-ს (n=1063) მიუღია ნემსების და შპრიცების პროგრამიდან ახალი ნემსები. ნიმ-ების 77.3%-მა განაცხადა, რომ ახალი ნემსები ბოლო 30 დღის განმავლობაში მიიღო ავთიაქიდან (დიაგრამა C2).

**დიაგრამა C2. ახალი, სტერილური ნემსის მიღების წყაროები**




კვლევაში მონაწილეთა 47.7% (n=956) აღნიშნავს, რომ ბოლოს, ნემსის თავსახურით გადაადგდო გამოყენებული ნემსი ნაგავში, 34.2%-მა (n=686) ნემსი გადალუნა/გადატეხა და გადაადგდო ნაგავში, 5.2%-მა (n=104) გადაადგდო ნაგავში ნემსის თავსახურის გარეშე, ხოლო 5.0%-მა (n=101) დაწვა ლუმენში. ნიმ-ების 78.7%-ის (n=1578) თქმით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ყოველთვის იყენებდა ახალ, სტერილურ ნემსს/შპრიცს/სხვა საინექციო საშუალებას, 15.0% (n=301) თითქმის ყოველთვის იყენებდა, 3.4% (n=68) ხანდახან, ხოლო 0.9%-ს (n=18) არასდროს გამოუყენებია. მონაწილეთა 99.7% (n=1999) ფიქრობს, რომ საჭროების შემთხვევაში იშოვის ახალ, სტერილურ შპრიცებს და ნემსებს. ნიმ-ების 85.7% (n=1714) სტერილურ ნემსს/შპრიცს ყიდულობს აფთიაქში, 57.6% (n=1151) ნემსების და შპრიცების პროგრამიდან იღებს, 19.6% (n=392) - მეგობრებისგან, 6.9% (n=138) - ნარკოტიკების მომხმარებლებისგან, 2.5% (n=50) - ნარკოტიკების გამსაღებლისგან, ხოლო 1.0% (n=20) - ოჯახისგან/ნათესავებისგან (ცხრილი C1).

*ინექციური ნარკოტიკით ზედოზირების შესახებ ინფორმაცია*

ნიმ-ების 16.4%-მა (n=329) აღნიშნა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნარკოტიკი მოიხმარა საქართველოს სხვა ქალაქ(ებ)ში, ხოლო 9.8%-ის (n=196) თქმით, ნარკოტიკი მოუხმარია სხვა ქვეყანაში. კვლევაში მონაწილეთა 10.1%-ს (n=202) ჰქონია ზედოზირების შემთხვევა საქართველოში (დიაგრამა C3), ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საიდანაც 43.1%-ს (n=87) მეგობრებმა გაუკეთეს ნალოქსონი, 23.3%-ს (n=47) გადაუდებელი სასწრაფო დახმარება ჩაუტარდა შემთხვევის ადგილზე, ხოლო 6.9%-ს (n=14) სტაციონარული მკურნალობა ჩაუტარდა.

**დიაგრამა C3. ინექციური ნარკოტიკით ზედოზირების შემთხვევები**



რესპონდენტების 25.5%-ის (n=511) თქმით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საქართველოში, შესწრება სხვისი ზედოზირების შემთხვევას, საიდანაც 63.0%-მა (n=322) მეგობრებთან ერთად გამოიყენა ნალოქსონი, ხოლო 19.4%-მა (n=99) გადაუდებელი სასწრაფო დახმარება გამოიძახა. იმ ნიმ-ების 16.0% (n=36), ვინც შეესწრო სხვისი ზედოზირების შემთხვევას, აღნიშნავს, რომ სამედიცინო პერსონალმა ზედოზირების შესახებ შეატყობინა პოლიციას (ცხრილი C1).


*ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ადგილების შესახებ*

ნარკოტიკული საშუალების გაკეთების ადგილის შეფასების მიზნით, საკვლევ სუბიექტებს ჰკითხეს, ტერიტორიულად ყველაზე ხშირად სად იკეთებდნენ ნარკოტიკულ ნივთიერებას. გამოკითხულთა უმრავლესობამ (81.4%) დაასახელა ბინა. მანქანაში გაკეთების პრაქტიკა აღნიშნა 17.2%-მა, არასაცხოვრებელ სივრცეში (გარაჟი, სარდაფი, სხვენი, ლიფტი, მშენებლობა, მიტოვებული სახლი, ნანგრევები) გაუკეთებია რესპონდენტთა 12.5%-ს, ხოლო 13.3%-ს გაუკეთებია ნარკოტიკი ყველგან, სადაც კი შესაძლებელი ყოფილა. საკვლევ სუბიექტების ძალიან მცირე პროცენტს გაუკეთებია ნარკოტიკი ქუჩაში (3.6%), სადარბაზოში (3.6%), ღია სივრცეში (ტყე, მდინარის ნაპირი, ზღვის ნაპირი) (6.4%) და იქვე, სადაც შეუძენიათ ეს ნივთიერება (1.8%).

*ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევა ქალაქების მიხედვით*

კვლევის ფარგლებში ჩატარდა მონაცემების ბივარიაციული ანალიზი ქალაქების მიხედვით. რეფერენს ქალაქად გამოვიყენეთ თბილისი. სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება თბილისსა და სხვა ქალაქებს შორის დაფიქსირდა რამდენიმე ცვლადში (ცხრილი C.2.1, C2.2, C2.3). სხვის მიერ გამოყენებული საინექციო საშუალების გაზიარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქუთაისსა (n=147, 54.4%; p<0.001) და გორში (n=103, 38.1%; p<0.001) (დიაგრამა C4).

**დიაგრამა C4. სხვის მიერ გამოყენებული საინექციო საშუალებების მოხმარების პრაქტიკა ქალაქების მიხედვით**



ნიმ-ების მიერ თავისი გამოყენებული საინექციო საშუალებების მოხმარების მაჩვენებელი ქალაქების მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდება: ქუთაისი—64.1% (n=173), ბათუმი—57.8% (n=156), თბილისი—45.0% (n=171), რუსთავი—39.6% (n=107), ზუგდიდი—38.2% (n=105), თელავი—28.5% (n=77) და გორი—7.0% (n=19). ბოლო ერთი თვის განმავლობაში, წინასწარ შევსებული შპრიცით სარგებლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ბათუმსა (n=165, 61.1%) და ქუთაისში (n=100, 37.0%). ბოლო ერთი თვის განმავლობაში თავისი გამოყენებული ნემსის/შპრიცის/სხვა საინექციო საშუალების ხელახლა გამოყენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, მათ შორის ვისაც ოდესმე მოუხმარია უკვე გამოყენებული საინექციო საშუალებები, დაფიქსირდა ქუთაისში (n=96, 52.5%; OR=2.01, 95% CI:1.33-3.05), ბათუმში (n=68, 38.2%), ზუგდიდსა (n=50, 37.3%) და თბილისში (n=67, 35.4%). ბოლო ერთი თვის განმავლობაში, იმ ნიმ-ების უმრავლესობა, ვინც ბოლო თვეში მოიხმარდა უკვე გამოყენებულ ნემსს/შპრიცს/სხვა საინექციო საშუალებას, აღნიშნულ საშუალებებს გამოყენებამდე ყოველთვის/ხანდახან ასუფთავებდა, ეს მაჩვენებელი ქალაქების მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდება: გორი-100% (n=16), ზუგდიდი-100% (n=51), ბათუმი-98.6% (n=70), რუსთავი-96.6% (n=28), ქუთაისი-93.8% (n=90), თელავი-84.2% (n=16) და თბილისი-80.6% (n=54).

ნარკოტიკის ბოლო მოხმარებისას გამოყენებული საზიარო დიდი ბოთლის, კოვზის, მოსახარში ჭურჭლის/შუშის/კოლბის, ბამბის/ფილტრის, წყლის, რომელშიც შესაძლოა მოხვედრილიყო სხვის მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი, გამოყენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა რუსთავსა (n=128, 47.4%;



OR=13.37, 95% CI:8.29-21.55) და თელავში (n=107, 39.6%; OR=9.74, 95% CI:6.03-15.74). ნარკოტიკის ბოლო მოხმარებისას ნარკოტიკის ხსნარის გამოყენების მაჩვენებელი, რომელიც კვლევაში მონაწილეთა დასწრების გარეშე მომზადდა, მერყეობს 7.6%-დან (ზუგდიდი, n=21) 31.9%-მდე (რუსთავი, n=86).


*ახალი, სტერილური საინექციო საშუალების მოხმარება*

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ახალი, სტერილური ნემსის/შპრიცის/სხვა საინექციო საშუალების გამოყენების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქუთაისში (n=249, 92.2%; OR=0.22, 95% CI:0.09-0.53). კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა ახალ, სტერილურ ნემსს/შპრიცს ყიდულობს აფთიაქში. ქალაქების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი 56.7%-სა (თელავი, n=152; p<0.001) და 96.7%-ს (რუსთავი, n=260; p<0.01) შორის მერყეობს. ნემსების და შპრიცების პროგრამიდან ახალი, სტერილური ნემსის/შპრიცის მიღების მაჩვენებლები, ქალაქების მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდება: თელავი-78.4% (n=210), გორი-72.9% (n=196), ბათუმი-65.9% (n=178), ზუგდიდი-61.8% (n=170), ქუთაისი-54.9% (n=147), რუსთავი-43.5% (n=117) და თბილისი-35.0% (n=133).

*ინექციური ნარკოტიკით ზედოზირების შესახებ ინფორმაცია*

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მონაწილეთა შორის ზედოზირების შემთხვევების მაჩვენებელი 5.9%-სა (გორი, n=16; OR=0.47, 95% CI:0.26-0.85) და 14.2%-ს (ზუგდიდი, n=39) შორის მერყეობს (დიაგრამა C5).

**დიაგრამა C5. ინექციური ნარკოტიკით ზედოზირების შემთხვევების განაწილება ქალაქების მიხედვით**



მონაწილეთა პროცენტი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ შეესწრნენ ზედოზირების შემთხვევას ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ქალაქების მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდება: რუსთავი-43.3% (n=117), ბათუმი-



28.9% (n=78), თბილისი-27.9% (n=106), ქუთაისი-21.9% (n=59), ზუგდიდი-19.3% (n=53), თელავი-18.9% (n=51) და გორი-17.4% (n=47).


*ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ადგილების შესახებ ქალაქების მიხედვით*

კვლევის შვიდივე ქალაქში, რესპონდენტების უმრავლესობა (ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო ზუგდიდში - 71.6% (OR 0.49; p<0.001)) ნარკოტიკს ინექციური გზით მოიხმარს სახლში (ცხრილი I3.2). ნარკოტიკული საშუალების გაკეთების ადგილის მიხედვით გამოკითხული სუბიექტების გადანაწილება ქალაქების მიხედვით შემდეგია: როგორც აღვნიშნეთ, ყველა ქალაქში ბინაში გაკეთების პრაქტიკა ყველაზე მაღალია. ამას მოჰყვება მანქანაში გაკეთების პრაქტიკა (ქუთაისში - 22.6% (n=61), ზუგდიდსა და ბათუმში 18.9% (n=52 და n=51), გორში - 17.8% (n=48), თელავში 13% (n=35) და რუსთავში 9.3% (n=25)). იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც ნარკოტიკის არასაცხოვრებელ სივრცეში მოხმარების გამოცდილება გააჩნია, 12.5%-ია და ყველაზე დაბალია თელავში - 5.2% (OR 0.29; p<0.001), ხოლო ყველაზე მაღალია ბათუმში - 21.1% (OR 1.43; p=0.08). ნარკოტიკი ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი ყოფილა, გაუკეთებია თბილისში მცხოვრები ნიმ-ების 20.3%-ს, რაც სხვა ქალაქში მაცხოვრებელ ნიმ-ებთან შედარებით ყველაზე მაღალია (ცხრილი I3.1).

*ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქვევა ასაკის მიხედვით*

კვლევის ფარგლებში ჩატარდა მონაცემების ბივარიაციული ანალიზი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. რეფერენს ჯგუფად გამოვიყენეთ  $\leq 35$  წელი. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება დაფიქსირდა ქვემოთ მოცემულ ცვლადებში. კვლევის შედეგების მიხედვით, სხვის მიერ გამოყენებული ნემსის/შპრიცის/სხვა საინექციო საშუალების მოხმარების მაჩვენებელი  $>35$  წლის (n=427, 27.2%) პირებში მაღალია  $\leq 35$  წლის (n=64, 14.7%) პირებთან შედარებით (OR=2.17, 95% CI:1.63-2.89) (დიაგრამა C6).

**დიაგრამა C6. სხვის მიერ გამოყენებული საინექციო საშუალებების მოხმარების პრაქტიკა ასაკის ჯგუფების მიხედვით**



კვლევაში მონაწილე >35 წლის (n=660, 42.0%) პირების უფრო დიდ ნაწილს გამოუყენებია თავისივე გამოყენებული ნემსი/შპრიცი/სხვა საინექციო საშუალება, ≤35 წლის (n=148, 34.0%) პირებთან შედარებით (OR=1.41, 95% CI:1.13-1.76). იმ ნიმუშებში, ვისაც ოდესმე მოუხმარია უკვე გამოყენებული საინექციო საშუალებები, ≤35 წლის მონაწილეების 20.3%-მა (n=35) და >35 წლის მონაწილეების 13.7%-მა (n=118) ბოლოს ნარკოტიკი გაიკეთა თავისი გამოყენებული ნემსით/შპრიცით/სხვა საინექციო საშუალებით (OR=0.62, 95% CI:0.41-0.95). ბოლო ერთი თვის განმავლობაში ნიმუშების მიერ, რომლებსაც ოდესმე მოუხმარიათ გამოყენებული საინექციო საშუალებები, გამოყენებული ნემსის/შპრიცის/სხვა საინექციო საშუალების მოხმარების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ≤35 წლის პირებში (n=84, 48.8%), >35 წლის (n=259, 30.2%) პირებთან შედარებით (p<0.001). ≤35 წლის ნიმუშების 29.9% (n=165) და >35 წლის მონაწილეთა 25.7% (n=403), ვისაც ოდესმე მოუხმარია გამოყენებული საინექციო საშუალებები, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ყოველთვის/ხანდახან სარგებლობდა წინასწარ შევსებული შპრიცით (იგულისხმება შპრიცი, რომელიც მისი დასწრების გარეშე შეივსო ნარკოტიკით) (OR=0.56, 95% CI:0.45-0.70). ≤35 წლის ნიმუშების 23.4%-მა (n=102) და >35 წლის მონაწილეთა 18.7%-მა (n=293) ბოლოს ნარკოტიკის გაკეთებისას გამოიყენა საზიარო დიდი ბოთლი, კოვზი, მოსახარში ჭურჭელი/შუშა/კოლბა, ბამბა/ფილტრი, წყალი, რომელშიც შესაძლოა მოხვედრილიყო სხვის მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი (OR=0.75, 95% CI:0.58-0.97) (ცხრილი C3).

*ახალი, სტერილური ნემსის/შპრიცის/სხვა საინექციო საშუალების მოხმარება*

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ახალი, სტერილური ნემსის/შპრიცის/სხვა საინექციო საშუალების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა  $\leq 35$  წლის ( $n=415$ , 95.4%) პირებში,  $>35$  წლის პირებთან ( $n=1532$ , 97.6%) შედარებით ( $OR=1.94$ , 95%  $CI:1.12-3.37$ ). ახალი, სტერილური ნემსის/შპრიცის ავთიაქში ყიდვის მაჩვენებელი მაღალია  $\leq 35$  წლის ასაკობრივ ჯგუფში ( $n=393$ , 90.6%),  $>35$  წლის ნიმ-ებთან ( $n=1321$ , 84.4%) შედარებით ( $p<0.01$ ). ნემსების და შპრიცების პროგრამიდან ახალი, სტერილური ნემსის/შპრიცის მიღების მაჩვენებლები ასაკის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:  $\leq 35$  წლის ნიმ-ები: 52.8% ( $n=229$ ) და  $>35$  წლის ნიმ-ები: 58.9% ( $n=922$ ) ( $OR=1.28$ , 95%  $CI:1.04-1.59$ ) (ცხრილი C3).

*ინექციური ნარკოტიკით ზედოზირება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით*

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ზედოზირების შემთხვევების მაჩვენებელი სტატისტიკურად სარწმუნოდ მეტია ახალგაზრდა ნიმ-ებში (12.9%,  $n=56$  და 9.3%,  $n=146$ , შესაბამისად) ( $OR=0.69$ , 95%  $CI:0.50-0.96$ ). ასეთივე ტენდენციაა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ზედოზირების შემთხვევის შემსწრე ნიმების შემთხვევაში ( $\leq 35$  წლის ნიმ-ებში 30.8% ( $n=134$ ) და  $>35$  წლის ნიმ-ებში 24.0% ( $n=377$ ) ( $p<0.01$ )) (ცხრილი C3).

*ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ადგილების შესახებ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით*

35 წელზე მეტი ასაკის ნიმ-ების მიერ ნარკოტიკის სახლში გაკეთების პრაქტიკა უფრო მაღალია, ვიდრე  $\leq 35$  წლამდე მონაწილეებში. თუმცა, სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია არ გამოვლინდა ( $p=0.093$ ). ასაკის მიხედვით განსხვავებულია პასუხები ნარკოტიკის მანქანაში, არასაცხოვრებელ სივრცესა და ყველგან მოხმარების შესახებაც. ზემოაღნიშნულ ადგილებში ნარკოტიკის გაკეთების პრაქტიკა  $\leq 35$  წლის ასაკის პირებში უფრო ხშირია,  $>35$  წელზე ასაკის ნიმ-ებთან შედარებით. კერძოდ,  $\leq 35$  წლის პირების 23.2% და  $>35$  წელზე პირების 15.5% ნარკოტიკს იკეთებს მანქანაში ( $OR 0.61$ ;  $p<0.001$ ). ასევე არასაცხოვრებელ სივრცეში ნარკოტიკის მოხმარების მხრივაც (18.6% vs 11.8%, შესაბამისად) ( $p=0.017$ ).

*ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევა ალკოჰოლის მოხმარების მიხედვით*


კვლევის შედეგების მიხედვით, ნიმ-ები რომლებიც მოიხმარდნენ ალკოჰოლს ( $n=211$ , 29.5%), უფრო ხშირად იყენებდნენ სხვის მიერ გამოყენებულ ნემსს/შპრიცს/სხვა საინექციო საშუალებას, იმ ნიმ-ებთან ( $n=280$ , 21.7%) შედარებით, რომლებიც იშვიათად/საერთოდ არ მოიხმარდნენ ალკოჰოლს ( $OR=1.51$ , 95%  $CI:1.22-1.85$ ). ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ნიმ-ების მიერ ადრე გამოყენებული ნემსი/შპრიცი/სხვა საინექციო საშუალების ხელახლა გამოყენების

მაჩვენებელი მაღალია ალკოჰოლის მომხმარებლებში (n=142, 38.2%), იმ ნიმ-ებთან შედარებით (n=201, 30.5%), ვინც იშვიათად/საერთოდ არ მოიხმარს ალკოჰოლს (OR=1.41, 95% CI:1.08-1.84). ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ალკოჰოლის მომხმარებელი ნიმ-ები (n=131, 89.1%) უფრო იშვიათად ასუფთავებდნენ ადრე გამოყენებულ საინექციო საშუალებებს გამოყენებამდე, იმ ნიმ-ებთან შედარებით (n=194, 96.0%), ვინც იშვიათად/საერთოდ არ მოიხმარს ალკოჰოლს (p=0.02). ალკოჰოლის მომხმარებელი ნიმ-ების უფრო მეტი ნაწილი (22.3% vs 18.1%) იღებს ახალ, სტერილურ ნემსს/შპრიცს მეგობრებისგან. ალკოჰოლის მომხმარებელი ნიმ-ების 10.7% (n=76) და იმ მონაწილეების 4.8% (n=62), ვინც იშვიათად/საერთოდ არ მოიხმარს ალკოჰოლს, ახალ, სტერილურ ნემსს/შპრიცს იღებს ნარკოტიკების მომხმარებლებისგან (p<0.001) (ცხრილი C4).

*ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევა ნემსების და შპრიცების პროგრამის მომსახურებით სარგებლობის მიხედვით*

ჩვენ შევისწავლეთ ნიმ-ების სარისკო ქცევა ნემსების და შპრიცების პროგრამით სარგებლობის მიხედვით. რეფერენს ჯგუფად გამოვიყენეთ მონაწილეთა ჯგუფი, რომელიც სარგებლობდა ნემსების და შპრიცების პროგრამით. სარისკო ქცევის სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია გამოვლინდა ზოგიერთ მაჩვენებელთან. მაგალითად, ნიმ-ების უფრო მეტმა ნაწილმა (n=98, 21.4%-მა), ვინც არ სარგებლობდა აღნიშნული პროგრამით, ბოლოს ნარკოტიკი გაიკეთა თავისი გამოყენებული ნემსით ან შპრიცით/სხვა საინექციო საშუალებით, პროგრამით მოსარგებლეს ნიმ-ებთან (n=55, 9.6%) შედარებით (OR=2.58, 95% CI:1.80-3.68). კვლევაში მონაწილეებმა (n=169, 37.0%), ვინც არ სარგებლობდა ნემსების და შპრიცების პროგრამით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში უფრო ხშირად გამოიყენეს თავისი გამოყენებული ნემსი/შპრიცი/სხვა საინექციო საშუალება, პროგრამით მოსარგებლეს მონაწილეებთან (n=174, 30.3%) შედარებით (OR=1.35, 95% CI:1.04-1.75). ნარკოტიკის ბოლო მოხმარებისას, კვლევაში მონაწილეებმა (n=229, 24.3%), ვინც არ სარგებლობდა ნემსების და შპრიცების პროგრამით, უფრო ხშირად გამოიყენეს საზიარო დიდი ბოთლი, კოვზი, მოსახარში ჭურჭელი/შუშა/კოლბა, ბამბა/ფილტრი, წყალი, რომელშიც შესაძლოა მოხვედრილიყო სხვის მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი, პროგრამით მოსარგებლეს ნიმ-ებთან (n=166, 15.6%) შედარებით (p<0.001) (დიაგრამა C7).

**დიაგრამა C7. საზიარო ნივთების (ბოთლი, კოფი, ჭურჭელი და სხვ.) მოხმარების პრაქტიკა ნემსების და შპრიცების პროგრამის მომსახურებით სარგებლობის მიხედვით**



ნემსების და შპრიცების პროგრამით სარგებლობის მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა ქვემოთ მოცემულ ცვლადებში. კვლევაში მონაწილეების უმრავლესობა (97%-ზე მეტი), როგორც NSP პროგრამის მონაწილეები, ისე არამონაწილეები, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ყოველთვის/ხანდახან იყენებდა ახალ, სტერილურ საინექციო საშუალებებს. პროგრამით მოსარგებლე ნიმ-ების 21.4%-მა (n=228) ბოლოს ნარკოტიკის გაკეთებისას ისარგებლა წინასწარ შევსებული შპრიცით, იმ ნიმ-ებთან (n=210, 22.3%) შედარებით, ვინც არ სარგებლობს პროგრამით. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნიმ-ებში ზედოზირების შემთხვევები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: ნემსების და შპრიცების პროგრამით მოსარგებლეები: n=111, 10.4% და დანარჩენი მონაწილეები: n=91, 9.7%. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ნემსების და შპრიცების პროგრამით მოსარგებლე მონაწილეები (n=285, 26.8%) უფრო ხშირად შეესწრნენ ზედოზირების შემთხვევას საქართველოში, დანარჩენ მონაწილეებთან შედარებით (n=226, 24.0%). მეთადონით/სუბოქსონით ჩანაცვლებაზე მყოფი ნიმ-ების უფრო მეტი რაოდენობა (n=236, 54.1%) სარგებლობს ნემსების და შპრიცების პროგრამით, დანარჩენ მონაწილეებთან (n=827, 52.7%) შედარებით, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს განსხვავებები არ არის სტატისტიკურად სარწმუნო.

ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი ნიმ-ების უფრო მეტმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ოდესმე მოუხმარია სხვისი (33.7% vs 26.4%) ან თავისი (52.8% vs 39.6%) გამოყენებული საინექციო საშუალება, ნემსების და შპრიცების პროგრამით მოსარგებლე პირებთან შედარებით.

## სქესობრივი ქცევა

### სქესობრივი პარტნიორის ტიპების განმარტება

**რეგულარული სქესობრივი პარტნიორი** – სქესობრივი პარტნიორი, რომელთანაც სქესობრივი ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდება ან გრძელდება ერთ წელზე ნაკლები დროის მანძილზე, მაგრამ არსებობს ურთიერთობის გაგრძელების განზრახვა.

**შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორი** – სქესობრივი პარტნიორი, რომელიც არ არის რეგულარული პარტნიორი და რომელთანაც სქესობრივი ურთიერთობა მყარდება მატერიალური ანაზღაურების გარეშე.

**ფასიანი სქესობრივი პარტნიორი** - სქესობრივი პარტნიორი, რომელთანაც სქესობრივი ურთიერთობა მყარდება მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ (პარტნიორს უხდის ან პარტნიორისგან იღებს ანაზღაურებას).

### სქესობრივი ცხოვრების ისტორია

რესპონდენტების უმრავლესობას (n=1518, 75.7%) პირველი სქესობრივი კავშირი ჰქონდა 18 წლამდე ასაკში. სქესობრივი ცხოვრების დაწყების საშუალო და მედიანური ასაკი 16 წელს შეადგენდა (მინიმალური ასაკი 13 წელი, მაქსიმალური ასაკი 33 წელი). გამოკითხულთა 84.7%-მა (n=1650) აღნიშნა, რომ ჰქონდა სექსი საპირისპირო სქესის პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში, რომელთაგანაც 15.5%-ს (n=225) ორი და 30.6%-ს (n=505) ორზე მეტი სქესობრივი პარტნიორი ჰყავდა. ბოლო 1 წლის მანძილზე მხოლოდ ერთი რეგულარული სქესობრივი პარტნიორი ჰყავდა რესპონდენტების 71%-ს (n=1174). (ცხრილი D1). ბოლო 1 წლის განმავლობაში ერთ ან მეტ ფასიან სქესობრივ პარტნიორთან სექსი ჰქონდა საკვლევი სუბიექტების 10%-ზე მეტს (n=172). შევითხვაზე, თუ რომელი იყო ბოლო სქესობრივი პარტნიორი, რესპონდენტების 77.8%-მა (n=1287) რეგულარული, 13.2%-მა (n=217) შემთხვევითი და 6.3%-მა (n=104) ფასიანი სქესობრივი პარტნიორი დაასახელა (ცხრილი D1).

ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივი გამოიყენა საკვლევი სუბიექტების მხოლოდ 31.4%-მა (n=629) (ცხრილი D1).

გამოკითხული ნიმ-ების ნახევარზე მეტმა (n=959, 58.3%) აღნიშნა, რომ მხოლოდ თვითონ, 0.9%-ის შემთხვევაში (n=15) - მხოლოდ სქესობრივი პარტნიორი და 2.9%-ში (n=48) - ორივე (თვითონ და თავისი სქესობრივი პარტნიორი) იმყოფებოდნენ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს (ცხრილი D1).

თავისივე სქესის სქესობრივი პარტიონი ოდესმე ჰყოლია საკვლევი სუბიექტების 1.3%-ს (n=25) და მათ შორის 32%-მა (n=8) განაცხადა, რომ აღნიშნული კავშირი



ბოლო 12 თვის განმავლობაში ჰქონდა. რესპონდენტების მხოლოდ 36%-მა (n=9) გამოიყენა პრეზერვატივი ბოლო ჰომოსექსუალური კავშირის დროს (ცხრილი D1).

რესპონდენტების უმრავლესობამ (n=16, 64%), რომელთაც ოდესმე ჰქონიათ ჰომოსექსუალური სქესობრივი კონტაქტი, არ გასცა პასუხი შეკითხვას, ჰქონიათ თუ არა თავისივე სქესის პარტნიორთან სქესობრივი კავშირი ნარკოტიკის სანაცვლოდ (ცხრილი D1).

კვლევის მონაწილე ნიმ-ების 6.5%-მა (n=131) აღნიშნა, რომ ჰქონია ანალური სექსი ნებისმიერ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში და მათგან მხოლოდ 46.6%-მა (n=61) გამოიყენა პრეზერვატივი ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს (ცხრილი D1).

საკვლევი სუბიექტების უმრავლესობას (n=1560, 77.8%) არ ჰქონია რაიმე სახის პრობლემა პრეზერვატივის შოვნასთან დაკავშირებით (ცხრილი D1).

#### *სქესობრივი ქცევა სხვადასხვა ტიპის სქესობრივ პარტნიორთან*

რეგულარული სქესობრივი პარტნიორი

გამოკითხულთა უმრავლესობას (n=1439, 74.1%) ჰყავდა რეგულარული სქესობრივი პარტნიორი ბოლო 12 თვის განმავლობაში (ცხრილი E1).

რესპონდენტების ნახევარზე მეტს (n=824, 57.3%) რეგულარულ პარტნიორთან 1-10 ჯერ, ხოლო 12.8%-ს (n=184) 10-ზე მეტჯერ ჰქონია სქესობრივი კონტაქტი ბოლო 1 თვის მანძილზე. რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივი გამოიყენა გამოკითხული ნიმ-ების მხოლოდ 29.3%-მა (n=422) (ცხრილი E1).

პრეზერვატივის გამოყენება ბოლო სქესობრივი კავშირის დროს, უმრავლეს შემთხვევაში (n=293, 69.6%) პარტნიორთან საერთო გადაწყვეტილების შედეგი იყო. რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან პრეზერვატივის გამოყენებაზე უარის თქმის მიზეზებს შორის თითქმის ორმა მესამედმა (n=606, 62.2%) დაასახელა, რომ არ თვლიდა საჭიროდ, ხოლო 20.4%-ის შემთხვევაში (n=199) მიზეზს წარმოადგენდა უარი პარტნიორის მხრიდან. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რესპონდენტების 38.6%-ს (n=555) არასოდეს გამოუყენებია პრეზერვატივი რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან, მაშინ როდესაც 12.8% (n=184) ყოველთვის და 11.5% (n=165) თითქმის ყოველთვის იყენებდა პრეზერვატივს აღნიშნული პერიოდის მანძილზე (ცხრილი E1).

გამოკითხული ნიმების მცირე ნაწილმა (n=51, 3.5%) აღნიშნა, რომ მათი რეგულარული სქესობრივი პარტნიორი იკეთებს ნარკოტიკს (ცხრილი E1).

### შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორი

გამოკითხული ნიმ-ების 25.8%-მა (n=498) განაცხადა, რომ ჰქონდა სექსი შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 1 წლის მანძილზე, რომელთაგანაც ბოლო შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან 36.1%-ს (n=180) ერთხელ, ხოლო 34.9%-ს (n=147) ერთზე მეტჯერ ჰქონდა სექსი ბოლო 1 თვეში (ცხრილი E1).

შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივი გამოიყენა კვლევაში მონაწილე ნიმ-ების 71.9%-მა (n=358). პრეზერვატივის გამოყენება 48.6%-ში (n=174) მხოლოდ რესპონდენტის, ხოლო 44.1%-ში (n=158) პარტნიორთან საერთო გადაწყვეტილების შედეგი იყო. პრეზერვატივის არ გამოყენების მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა „არ მომწონს პრეზერვატივის გამოყენება“ – 31.9% (n=38), რასაც მოჰყვებოდა „ხელმისაწვდომი არ იყო/არ მქონდა“ – 25.2% (n=30) და „არ ვთვლი, რომ საჭირო იყო“ – 24.4% (n=29). ბოლო 1 წლის განმავლობაში, შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან პრეზერვატივი არასდროს გამოუყენებია რესპონდენტების 8.8%-ს (n=44). დაბალი იყო შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის მანძილზე პრეზერვატივის „ყოველთვის გამოყენების“ მაჩვენებელი და მხოლოდ 46.4%-ს შეადგენდა (n=231) (ცხრილი E1).

გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა (42.6%, n=212) არ იცოდა იკეთებს თუ არა ნარკოტიკს მათი შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორი. მხოლოდ 6.2%-მა (n=31) განაცხადა, რომ მათი შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორი ინექციური ნარკოტიკის მომხმარებელია (ცხრილი E1).

### ფასიანი სქესობრივი პარტნიორი

უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ფასიანი სქესობრივი პარტნიორი ჰყოლია კვლევაში მონაწილე ნიმ-ების 12.3%-ს (n=238). მათ შორის, ვისაც ჰყოლია ფასიანი სქესობრივი პარტნიორი, 34.7%-ს (n=75, 34.7%) ერთხელ, 19.4%-ს (n=42) 2-ჯერ, ხოლო 12.5%-ს (n=27) 2-ზე მეტჯერ ჰქონდა სქესობრივი კავშირი ბოლო ფასიან სქესობრივ პარტნიორთან უკანასკნელი 1 თვის განმავლობაში (ცხრილი E1). მათ შორის, ვისაც ჰქონია ფასიანი სექსი ბოლო 1 წლის მანძილზე, თითქმის 15%-მა (n=34) განაცხადა, რომ ერთი ან მეტი ფასიანი სქესობრივი პარტნიორი ჰყოლია ბოლო 1 თვის მანძილზე, რომელთაგანაც სექსი ჰქონდა ფულის ან ნარკოტიკის მიღების მიზნით. გაცილებით მაღალი იყო კვლევის მონაწილეთა პროპორცია, რომელთაც ბოლო 1 თვის განმავლობაში ჰყოლია ერთი (n=99, 41.8%) ან ერთზე მეტი (n=80, 33.8%) ფასიანი სქესობრივი პარტნიორი, რომელთაც სექსის სანაცვლოდ მისცეს ფული ან ნარკოტიკი (ცხრილი E1).



ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივი გამოიყენა გამოკითხულთა 88.7%-მა (n=211). პრეზერვატივის გამოყენება ბოლო ფასიანი სქესობრივი კონტაქტის დროს 46.4%-ში (n=98) იყო პარტნიორთან საერთო გადაწყვეტილების, 32.2%-ში (n=68) - მხოლოდ რესპონდენტის გადაწყვეტილების, ხოლო 13.7%-ში (n=29) - მხოლოდ პარტნიორის გადაწყვეტილების შედეგი. გამოკითხული ნიმ-ების 8.8%-მა (n=21) განაცხადა, რომ არ გამოუყენებია პრეზერვატივი ბოლო ფასიანი სქესის დროს.

პრეზერვატივის გამოყენებაზე უარის თქმის მიზეზები შემდეგნაირად გადანაწილდა: 42.9%-ში (n=9) გამოკითხული ნიმ-ი არ თვლიდა საჭიროდ პრეზერვატივის გამოყენებას, 23.8%-ში (n=5) რესპონდენტს არ მოწონდა პრეზერვატივის გამოყენება და 19%-ში (n=4) კვლევის მონაწილეს არ უფიქრია პრეზერვატივის გამოყენებაზე. ბოლო 1 წლის განმავლობაში ფასიან სქესობრივ პარტნიორთან პრეზერვატივის ყოველთვის იყენებდა გამოკითხული ნიმ-ების მხოლოდ 58.8% (n=140) (ცხრილი E1).

ფასიანი სქესობრივი პარტნიორების მიერ ნარკოტიკის გამოყენების შესახებ არ იყო ინფორმირებული რესპონდენტების თითქმის ნახევარი (n=112, 47.1%). ფასიანი სქესობრივი პარტნიორების მიერ ინექციური ნარკოტიკების გამოყენება დაადასტურა რესპონდენტების 12.2%-მა (n=29) (ცხრილი E1).

*შემთხვევითი და ფასიანი სქესობრივი პარტნიორები ქორწინებაში მყოფ ნიმ-ებში*  
ქორწინებაში მყოფი ნიმ-ების 18.7%-ს (n=177) ჰყავდა შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორი და 5.7%-ს (n=54) ფასიანი სქესობრივი პარტნიორი ბოლო 12 თვის განმავლობაში (ცხრილი E1).


*სქესობრივი ცხოვრების ისტორია და პრეზერვატივის გამოყენება სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით*

გამოკითხულ ნიმ-ებს შორის, ბოლო 12 თვის განმავლობაში, საპირისპირო სქესის პარტნიორთან სქესობრივი კონტაქტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა გორში (n=158, 73.1%; OR=0.3; 95% CI:0.2-0.5; p<0.001) და ზუგდიდში (n=225, 81.8%; OR=0.6; 95% CI:0.4-0.9, p=0.02) (ცხრილი E2). აღნიშნული მაჩვენებელი, ასევე, უფრო დაბალი იყო 35 წელს გადაცილებულ ნიმ-ებში (n=1235, 81.0%), ახალგაზრდა (≤35 წლის) ნიმ-ებთან შედარებით (n= 415, 97.6%) (OR=0.1; 95% CI:0.5-0.2; p<0.001) (ცხრილი E3).

ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივის გამოყენების სიხშირე ყველაზე დაბალი იყო რუსთავში (n=53, 23.6%) (OR=0.3; 95% CI:0.2-0.5; p<0.001) და ყველაზე მაღალი ზუგდიდში (n=120, 53.3%; OR=1.3; 95% CI:0.9-1.9; p=0.07) (ცხრილი E2, დიაგრამა D1.1). აღნიშნული მაჩვენებელი სტატისტიკურად

სარწმუნოდ იყო დაკავშირებული რესპონდენტის ასაკთან, კერძოდ,  $\leq 35$  წლის ნიმ-ების 35.5%-მა, ხოლო  $>35$  წლის ნიმ-ების 47.3%-მა განაცხადა, რომ გამოიყენა პრეზერვატივი ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს (OR=0.6; 95% CI:0.5-0.7;  $p<0.001$ ) (ცხრილი E3). ასევე, ბოლო 1 წლის განმავლობაში პრევენციული პროგრამებით მოსარგებლე რესპონდენტების უფრო მაღალმა პროპორციამ განაცხადა, რომ გამოიყენა პრეზერვატივი ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს, ვიდრე მათ, ვისაც აღნიშნული სერვისი არ მიუღია (43.4% vs 31.6; OR=1.6; 95% CI:1.3-2.0;  $p<0.001$ ) (ცხრილი E5). ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივის გამოყენების მაჩვენებელი არ განსხვავდებოდა ნიმ-ების განათლების დონის, ასევე, მათ მიერ ბოლო 1 თვის განმავლობაში ნარკოტიკის და ალკოჰოლის მოხმარების სიხშირის მიხედვით (ცხრილები E6 და E7).

**დიაგრამა D1.1. გამოიყენა პრეზერვატივი ბოლო სქესობრივი კავშირის დროს**



თავისივე სქესის სქესობრივ პარტნიორთან ოდესმე სქესობრივი კავშირი ჰქონია ბათუმში გამოკითხული ნიმ-ების 7%-ს და ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ქალაქების მაჩვენებლებს ( $n=19$ ; OR=14.7; 95% CI:3.4-63.9;  $p<0.001$ ) (ცხრილი E2). ბათუმში გამოკითხული ნიმ-ების, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი თავისივე სქესის პარტნიორთან, მხოლოდ 42%-მა აღნიშნა, რომ გამოიყენა პრეზერვატივი ბოლო ჰომოსექსუალური კონტაქტის დროს. ჰომოსექსუალური კავშირის ალბათობა არ განსხვავდებოდა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (ცხრილი E3).

ანალური სექსის პრაქტიკა ნებისმიერ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში ყველაზე მაღალი იყო ბათუმში ( $n=76$ , 28.2%; OR=14.4; 95% CI:7.3-28.6;  $p<0.001$ ) (ცხრილი E2). აღნიშნული მაჩვენებელი სამჯერ უფრო მაღალი იყო  $\leq 35$  წლის ასაკის ნიმ-ებში,  $\geq 35$  წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით (12.9% vs 4.8%; OR=0.3; 95% CI:0.2-0.4;  $p<0.001$ ) (ცხრილი E3). ანალური სექსის ალბათობა

ბოლო 1 წლის მანძილზე, ასევე, შედარებით მაღალი იყო ნიმ-ებში, რომლებიც უფრო ხშირად მოიხმარდნენ ნარკოტიკს (7.4% vs 5.2%, OR=1.4; 95% CI:0.9-2.1; p=0.05) (ცხრილი E6). ანალური სექსის პრაქტიკა არ იყო სტატისტიკურად სარწმუნოდ ასოცირებული ნიმ-ების განათლების დონესთან და ბოლო 1 თვის განმავლობაში ალკოჰოლის მოხმარების სიხშირესთან (ცხრილები E4 და E7).

ანალური სექსის დროს პრეზერვატივის გამოყენების სიხშირე ქალაქების მიხედვით მერყეობდა 39.5%-დან (ბათუმი) 66.7%-მდე (ქუთაისი) (ცხრილი E2). ანალური სექსის დროს პრეზერვატივის გამოყენების ალბათობა უფრო მაღალი იყო 35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა აღნიშნული ასოციაცია სტატისტიკურად სარწმუნო არ აღმოჩნდა (53.6% vs 41.3%, OR=0.6; 95% CI:0.3-1.2; p=0.1) (ცხრილი E2). კვლევამ გამოავლინა, რომ პრევენციული პროგრამებით სარგებლობა მნიშვნელოვნად ზრდის ნიმ-ებში ანალური სექსობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენების ალბათობას. კერძოდ, პრეზერვატივის გამოყენება ბოლო ანალური სექსის დროს ორჯერ უფრო მაღალი აღმოჩნდა მათში, ვისაც უსარგებლია პრევენციული პროგრამებით ბოლო 1 წლის განმავლობაში (64.2% vs 31.6; OR=3.8; 95% CI:1.6-9.0; p=0.001) (ცხრილი E5). ანალური სექსის დროს პრეზერვატივის გამოყენება, ასევე, სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო ასოცირებული ბოლო 1 თვის მანძილზე ნარკოტიკის მოხმარების სიხშირესთან. კერძოდ, ნიმ-ებში, რომლებიც უფრო ხშირად მოიხმარდნენ ნარკოტიკს (კვირაში  $\geq 1$ ), უფრო მაღალი იყო პრეზერვატივის გამოყენების ალბათობა ანალური სექსობრივი კავშირის დროს, იმ ნიმებ-თან შედარებით, რომლებიც ნარკოტიკს თვეში ერთხელ ან რამდენჯერმე იკეთებდნენ (54.4 vs 30.8%, OR=2.6; 95% CI:1.2-5.9; p=0.01). (ცხრილი E6). ანალური სექსობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენების სიხშირე არ იყო დაკავშირებული ნიმ-ების განათლების დონესთან და ალკოჰოლის მოხმარების სიხშირესთან (ცხრილები E4 და E7).

პრეზერვატივის შოვნასთან დაკავშირებით, რაიმე სახის პრობლემა უფრო ხშირი იყო ახალგაზრდა ნიმ-ებში (3.0% vs 1.6%; OR= 0.5; 95% CI:0.2-1.0; p=0.05) (ცხრილი E2). ქალაქების მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო რუსთავში (4.1%; OR=4.0; 95% CI:1.2-12.6) (ცხრილი E2).


*სექსობრივი ქცევა რეგულარულ სექსობრივ პარტნიორთან სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით*

ბოლო 12 თვის განმავლობაში რეგულარულ სექსობრივ პარტნიორთან სექსობრივი კონტაქტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა ქუთაისში (n=170. 63.2%; OR=0.5; 95% CI:0.4-0.8, p<0.001) და გორში (n=143, 66.5%; OR=0.5; 95% CI:0.3-0.8; p=0.002). დანარჩენ ქალაქებში ამ მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნებოდა (ცხრილი E2). სტატისტიკურად უმნიშვნელო იყო, ასევე,

აღნიშნული მაჩვენებლის განსხვავება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის (ცხრილი E3).

რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივის გამოყენების მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო ქუთაისში (n=18, 10.6%; OR=0.2; 95% CI:0.1-0.3; p<0.001) და ყველაზე მაღალი ზუგდიდში (n=101, 49.3%; OR=1.7; 95% CI:1.2-2.4; p=0.003) (დიაგრამა D1.2). ნიმ-ებში პრეზერვატივის გამოყენების სიხშირე რეგულარულ პარტნიორთან ბოლო სექსის დროს, ასევე, საკმაოდ დაბალი იყო რუსთავში (n=36, 17.1%; OR=0.3; 95% CI:0.2-0.5; p<0.001) და ბათუმში (n=41, 19.1%; OR=0.4; 95% CI:0.2-0.6; p<0.001) (ცხრილი E2). რეგულარულ პარტნიორთან უკანასკნელი სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენების ალბათობა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (ცხრილი E3).

**დიაგრამა D1.2. გამოიყენა პრეზერვატივი რეგულარულ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირის დროს**



შეკითხვაზე, თუ რამდენად ხშირად იყენებდნენ პრეზერვატივს რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 1 წლის განმავლობაში, გორში გამოკითხული ნიმ-ების ყველაზე დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ არასდროს გამოუყენებია პრეზერვატივი რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან ამ პერიოდში (n=77, 53.8%, OR=1.8; 95% CI:1.2-2.7; p=0.004). აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო ბათუმში (n=41, 19.1%; OR=0.4; 95% CI:0.2-0.6; p<0.001) (ცხრილი E2).

სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდებოდა პრეზერვატივის „არასდროს გამოყენების“ მაჩვენებელი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, კერძოდ, 35 წელს გადაცილებული ნიმ-ების უფრო დიდ ნაწილს არასდროს გამოუყენებია პრეზერვატივი ბოლო 12 თვის მანძილზე, 35 წლამდე ასაკობრივ კატეგორიასთან შედარებით (41.0% vs 30.5%; OR=1.5; 95% CI:1.2-2.0; p<0.001) (ცხრილი E3).

ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი რეგულარული პარტნიორი ჰყავდა თელავში გამოკითხული ნიმ-ების ყველაზე დიდ პროპორციას ( $n=12$ , 6%;  $OR=2.6$ ; 95%  $CI:1.0-6.8$ ;  $p=0.04$ ) (ცხრილი E2). აღნიშნული მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (ცხრილი E3).

*სქესობრივი ქცევა შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით*


ბოლო 12 თვის განმავლობაში შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან სქესობრივი კონტაქტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა ბათუმში ( $n=105$ , 39%;  $OR=1.5$ ; 95%  $CI:1.0-2.0$ ;  $p=0.01$ ), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გორში ( $n=21$ , 9.9%;  $OR=0.2$ ; 95%  $CI:0.1-0.4$ ;  $p<0.001$ ) (ცხრილი E2). აღმოჩნდა, რომ დაბალი ასაკი მნიშვნელოვნად ზრდის შემთხვევითი სქესობრივი კავშირების ალბათობას ნიმ-ებში. კერძოდ, ორჯერ მეტი ახალგაზრდა ასაკის ( $\leq 35$  წელი) ნიმ-ი აღნიშნავდა ბოლო ერთი წლის მანძილზე შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორის ყოლას, 35 წელს გადაცილებულ ნიმ-ებთან შედარებით (45.0% vs 20.4%;  $OR=0.3$ ; 95%  $CI:0.2-0.3$ ;  $p<0.001$ ) და აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო აღმოჩნდა (ცხრილი E3). ნიმ-ებში ბოლო 12 თვის განმავლობაში შემთხვევითი სქესობრივი კავშირების ქონა არ იყო ასოცირებული განათლების დონესთან, ასევე, ბოლო 1 თვის განმავლობაში ნარკოტიკის და ალკოჰოლის მოხმარების სიხშირესთან (ცხრილები E4, E6 და E7).

შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივის გამოყენების მაჩვენებელი ქალაქების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, კერძოდ, ყველაზე დაბალი იყო ქუთაისში ( $n=48$ , 55.8%;  $OR=0.3$ ; 95%  $CI:0.1-0.5$ ;  $p<0.001$ ) და გორში ( $n=12$ , 57.1%;  $OR=0.2$ ; 95%  $CI:0.1-0.7$ ;  $p=0.01$ ), სადაც გამოკითხულთა ორ მესამედზე ნაკლები ადასტურებდა პრეზერვატივის გამოყენებას ბოლო შემთხვევითი სქესობრივი კავშირის დროს. აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო თბილისში (81.8%) და ბათუმში (81.0%) (ცხრილი E2, დიაგრამა D1.3). შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან პრეზერვატივის გამოყენების ალბათობა სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო ასოცირებული ალკოჰოლის მოხმარებასთან და პრევენციული პროგრამებით სარგებლობასთან. კერძოდ, ნიმ-ები, რომლებიც ბოლო 1 თვის განმავლობაში ალკოჰოლს მოიხმარდნენ კვირაში ერთხელ ან მეტჯერ, ნაკლებად იყენებდნენ პრეზერვატივს შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტის დროს, ვიდრე ნიმ-ები რომლებსაც არცერთხელ ან იშვიათად მიუღიათ ალკოჰოლი (66.1% vs 79.8%,  $OR=0.5$ ; 95%  $CI:0.3-0.7$ ;  $p<0.001$ ) (ცხრილი E7). იმ რესპონდენტების უფრო დიდმა ნაწილმა გამოიყენა პრეზერვატივი შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სექსის დროს, რომელთაც ბოლო 1 წლის განმავლობაში ისარგებლეს



პრევენციული პროგრამებით, ვიდრე მათ, ვისაც აღნიშნული პროგრამებით არ უსარგებლია (81.8% vs 72.7%; OR=1.6; 95% CI:1.1-1.7; p=0.04) (ცხრილი E5). ბოლო შემთხვევითი სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის მოხმარების სიხშირე არ განსხვავდებოდა ასაკობრივი ჯგუფების, განათლების დონის და ბოლო 1 თვის მანძილზე ნარკოტიკის მოხმარების სიხშირის მიხედვით (ცხრილები E3, E4, E6).

**დიაგრამა D1.3. გამოიყენა პრეზერვატივი შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირის დროს**



ბოლო 1 წლის განმავლობაში შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან პრეზერვატივის „არასდროს გამოყენების“ მაჩვენებელი სამჯერ მაღალი იყო 35 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტებში, ახალგაზრდებთან შედარებით (11.7% vs 4.2%, OR=3.0; CI:1.3-6.6; p=0.004) (ცხრილი E3). ქალაქებს შორის, აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო გორში (n=6, 28.6%, OR=3.2; 95% CI:1.0-10.0; p=0.04) და ყველაზე დაბალი - ქუთაისში (n=1, 1.2%; OR=0.1; 95% CI:0.01-0.7; p=0.02) (ცხრილი E2). შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში პრეზერვატივის „არასდროს გამოყენების“ მაჩვენებელი არ განსხვავდებოდა განათლების დონის და ბოლო 1 თვის განმავლობაში ნარკოტიკის მოხმარების სიხშირის მიხედვით (ცხრილები E4 და E6). ნიმ-ების უფრო მაღალმა პროპორციამ (10.9%), რომლებიც ალკოჰოლს კვირაში ერთხელ და მეტჯერ მოიხმარდნენ, დაასახელა, რომ არასდროს გამოიყენებია პრეზერვატივი შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 1 წლის განმავლობაში, იმ რესპონდენტებთან შედარებით, რომლებსაც ბოლო 1 თვის განმავლობაში არცერთხელ ან იშვიათად მიუღიათ ალკოჰოლი (7.7%). თუმცა, ზემოთ აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო არ აღმოჩნდა (ცხრილი E7). საკვლევ სუბიექტებში, რომლებსაც არ უსარგებლიათ პრევენციული პროგრამებით, უფრო მაღალი იყო პრეზერვატივის „არასდროს გამოყენების“ მაჩვენებელი, იმ პირებთან შედარებით, რომლებმაც ისარგებლეს აღნიშნული

პროგრამებით ბოლო 1 წლის განმავლობაში, მაგრამ ეს ასოციაცია სტატისტიკურად არასარწმუნო იყო (ცხრილი E5).

ინექციური ნარკოტიკის მომხმარებელ შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან სქესობრივი კავშირის ყველაზე მაღალი ალბათობა დაფიქსირდა რუსთავში (n=10, 23.8%; OR= 4.5; 95% CI:1.6-13.0; p<0.001), რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა სხვა ქალაქების მაჩვენებლებს (ცხრილი E2). შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორის მიერ ინექციური ნარკოტიკის გამოყენება არ იყო ასოცირებული გამოკითხული ნიმუშის ასაკთან (ცხრილი E3).


*სქესობრივი ქცევა ფასიან სქესობრივ პარტნიორთან სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით*

ბოლო 12 თვის განმავლობაში ფასიან სქესობრივ პარტნიორთან სქესობრივი კონტაქტი ჰქონდა ქუთაისში გამოკითხული ნიმუშის მნიშვნელოვნად დიდ ნაწილს, სხვა ქალაქებთან შედარებით (n=94, 34.9%; OR=5.8; 95% CI:3.7-9.0; p<0.001) (ცხრილი E2). ფასიანი სქესობრივი კავშირების ალბათობა უფრო მაღალი იყო ახალგაზრდა ასაკის ნიმუშში, კერძოდ, ≤35 წლის რესპონდენტების 25.2%-მა აღნიშნა, რომ ჰქონდა ფასიანი სექსი ბოლო 1 წლის მანძილზე, მაშინ როდესაც აღნიშნული სქესობრივი ქცევა დაფიქსირდა 35 წელს გადაცილებული ნიმუშის მხოლოდ 8.7%-ში (OR=0.3; 95% CI:0.2-0.3; p<0.001) (ცხრილი E3). ფასიანი სქესობრივი პარტნიორი, ასევე, ჰყავდა იმ ნიმუშის უფრო დიდ ნაწილს, რომლებიც ნარკოტიკს კვირაში ერთხელ და მეტჯერ მოიხმარდნენ (13.9 vs 8.9%; OR=1.5; 95% CI:1.1-2.1; p=0.0004) (ცხრილი E6). გარდა ამისა, ფასიანი სექსის ალბათობა ასოცირებული იყო ალკოჰოლის მოხმარების სიხშირესთან. კერძოდ, კვლევის მონაწილეები, რომლებიც ალკოჰოლს მოიხმარდნენ კვირაში ერთხელ და მეტჯერ, უფრო მეტად აღნიშნავდნენ ფასიანი სქესობრივი პარტნიორის არსებობას, მათთან შედარებით, რომლებსაც ბოლო 1 თვის განმავლობაში არცერთხელ ან იშვიათად მოუხმარიათ ალკოჰოლი (17.1% vs 7.7%; OR=1.4; 95% CI:1.4-2.5; p<0.001) (ცხრილი E7). ფასიანი სქესობრივი კავშირის ქონა ბოლო 1 წლის მანძილზე არ იყო სტატისტიკურად სარწმუნოდ ასოცირებული ნიმუშის განათლების დონესთან (ცხრილი E4).

ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივის მოხმარების სიხშირე მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ქალაქების მიხედვით და ვარირებდა 83.3%-სა და 93.5%-ს შორის (ცხრილი E2, დიაგრამა D1.4). ფასიანი სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენების უფრო მაღალი სიხშირე დაფიქსირდა ახალგაზრდა (≤35 წლის) ნიმუშში, >35 წლის ნიმუშთან შედარებით (94.4% vs 84.0%; OR=0.3; 95% CI:0.1-0.8; p=0.01) (ცხრილი E3). სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია არ გამოვლინდა

ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივის გამოყენების ალბათობასა და ნიმ-ების განათლების დონეს, ნარკოტიკის და ალკოჰოლის მოხმარების სიხშირეს და პრევენციული პროგრამებით სარგებლობას შორის (ცხილები E4, E5, E6 და E7).

**დიაგრამა D1.4. გამოიყენა პრეზერვატივი ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირის დროს**



ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში პრეზერვატივის „არასდროს გამოყენების“ მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო რუსთავში (13.3%, OR=1.4; 95% CI:0.2-10.0; p=0.7), თუმცა ეს განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო არ აღმოჩნდა (ცხრილი E2). განსხვავებული იყო აღნიშნული მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვითაც, მაგრამ სტატისტიკურად არასარწმუნო ( $\leq 35$  წლამდე ნიმების 1.9%-ს და  $>35$  წლის ნიმების 6.1%-ს არასდროს გამოუყენებია პრეზერვატივი ფასიანი სექსის დროს ბოლო 1 წლის მანძილზე) (ცხრილი E3). ფასიან სქესობრივ პარტნიორთან პრეზერვატივის „არასდროს გამოყენების“ მაჩვენებელი სტატისტიკურად სარწმუნოდ არ იყო ასოცირებული ნიმ-ების განათლების დონესთან, პრევენციული პროგრამებით სარგებლობასთან, ნარკოტიკის და ალკოჰოლის მოხმარების სიხშირესთან (ცხრილები E4, E5, E6 და E7).

ფასიანი სქესობრივი პარტნიორის მიერ ინექციური ნარკოტიკის მომხმარების ყველაზე მაღალი ალბათობა დაფიქსირდა თბილისში (15.6%) და ზუგდიდში (15.0%) (ცხრილი E2). ფასიანი სქესობრივი კავშირის ალბათობა ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელ პარტნიორთან არ იყო ასოცირებული გამოკითხული ნიმ-ების ასაკთან (ცხრილი E3).

*მულტივარიაციული ანალიზი*

პრეზერვატივის გამოყენება ბოლო შემთხვევითი სქესობრივი კავშირის დროს



მულტივარიაციული ანალიზი ჩატარდა ბოლო შემთხვევითი სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენების დამოუკიდებელი პრედიქტორების იდენტიფიცირების მიზნით, რომლის შედეგადაც, ალკოჰოლის მოხმარება ( $\geq$  კვირაში ერთხელ) და პრევენციული პროგრამებით სარგებლობა ბოლო 12 თვის განმავლობაში სტატისტიკურად სარწმუნოდ ასოცირებული აღმოჩნდა პრეზერვატივის მოხმარებასთან და შესაბამისად, წარმოადგენენ დამოუკიდებელ რისკ ფაქტორებს. (ცხრილი E8).

**ცხრილი E8. პრეზერვატივის გამოყენება ბოლო შემთხვევითი სქესობრივი კავშირის დროს, მულტივარიაციული ანალიზი**

მახასიათებლები	პრეზერვატივის გამოყენება ბოლო შემთხვევითი სქესობრივი კავშირის დროს				P	aOR; 95% CI
	გამოიყენა		არ გამოიყენა			
<b>ალკოჰოლის მოხმარება ბოლო 1 თვის განმავლობაში</b>						
არცერთხელ/იშვიათად	249	79.8	60	20.2	0.029	1.77 (1.06-2.96)
$\geq$ კვირაში ერთხელ	109	66.1	56	33.9		
<b>პრევენციული პროგრამებით სარგებლობა ბოლო 12 თვის განმავლობაში</b>						
უსარგებლია	184	81.8	41	18.2	0.04	1.63 (1.26-2.75)
არ უსარგებლია	104	72.7	39	27.3		

**HIV, HBV და HCV გავრცელება**


გამოკითხვის ჩატარებამდე მოხდა ბიოლოგიური მასალის (5 მლ ვენური სისხლი) აღება ნიმ-ებში C და B ჰეპატიტებსა და აივ ინფექციაზე ტესტირებისთვის. ივ ინფექციის პრევალენტობა კვლევის მონაწილეებს შორის იყო 0.9%. ყველა აივ დადებითი პირი იყო მამაკაცი და  $\geq 25$  წლის ასაკობრივ ჯგუფში (ცხრილი 1.1.1-A).

რესპონდენტთაგან ნახევარზე მეტი (58.1%, n=1164) სეროდადებითია C ჰეპატიტზე, ანუ აღმოაჩნდათ HCV ანტისხეულები. Anti-HCV გავრცელების კუთხით პროექტის სამიზნე ქალაქებს შორის ლიდერობს ზუგდიდი 76.7%-ით (n=211), შემდეგია გორი, ბათუმი, თბილისი, თელავი, რუსთავი და ქუთაისი 66.7% (n=180), 58.1% (n=157), 55.5% (n=211), 52.2% (n=141), 51.5% (n=139) და 46.3%-ებით (n=125), შესაბამისად (ცხრილი 1.1.1).

სკრინინგული კვლევის შემდეგ 873 Anti-HCV დადებით ნიმ-ში ჩატარდა HCV RNA კვლევა, რომლის შედეგადაც გამოკითხულ ნიმ-თა 32.1%-ში (n=280) გამოვლინდა აქტიური C ჰეპატიტი (დიაგრამა F1.1). ქრონიკული C ჰეპატიტის გავრცელება ყველაზე მაღალია ზუგდიდში (43.5%, n=74), რომელსაც მოყვება

ბათუმი (38.1%, n=37), რუსთავი (33.3%, n=42), გორი (30.0%, n=33), თბილისი (28.6%, n=56), ქუთაისი (24.4%, n=11) და თელავი (20.9%, n=27).

**დიაგრამა F1.1 HCV RNA კვლევის შედეგი**




რესპონდენტთა ერთ მესამედს (33.9%, n=680) აქვს C ჰეპატიტის მკურნალობის გამოცდილება. ამ ნიმ-ებს შორის 13%-ში (n=60) HCV RNA იყო დადებითი, ანუ გამოვლინდა რეინფექცია.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ასევე სკრინინგი B ჰეპატიტზე. გამოკითხულთა 2.5%-ს (n=51) აღმოაჩნდა B ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსის ზედაპირული ანტიგენი. HBsAg გავრცელება ქალაქების მიხედვით შემდეგნაირია: ზუგდიდი (4.8%, n=13), რუსთავი (3.3%, n=9), გორი (3.3%, n=9), თელავი (2.2%, n=6), თბილისი (2.1%, n=8), ბათუმი (1.5%, n=4), ქუთაისი (0.7%, n=2).

რესპონდენტთა მხოლოდ 7.5%-მა (n=151) უპასუხა, რომ აცრილია B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინით, რომელთაგან 63.6% (n=96) სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა ვაქცინაცია, 20.5%-ს (n=31) ციხეში, ხოლო 9.9%-ს (n=15) საზღვარგარეთ (დიაგრამა F1.2). კითხვაზე „გაქვთ თუ არა სურვილი ჩაიტაროთ B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა“ მხოლოდ 27.8% (n=392) პასუხობს დადებითად (ცხრილი 1.1.2).

## დიაგრამა F1.2. HBV ვაქცინაციის ადგილი



კვლევაში ჩართული ნიმ-ების 0.9% (n=19) აივ დადებითია. რაც შეეხება ქალაქების მიხედვით გავრცელებას, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ზუგდიდში დაფიქსირდა (2.5%, n=7), შემდეგია გორი (1.5%, n=4), ბათუმი (1.1%, n=3), თელავი (0.7%, n=2), თბილისი (0.5%, n=2) და რუსთავი (0.4%, n=1). ქუთაისში აივ ინფექციის შემთხვევა მიმდინარე კვლევის ფარგლებში არ დაფიქსირებულა.

მოხდა ასევე კონფექციის მაჩვენებლის შეფასება. HCV/HIV კონფექცია დადასტურდა 16 ნიმ-ში (0.8%), HCV და HBV კონფექცია 38 ნიმ-ში (1.9%), ხოლო HBV და HIV კონფექცია 2 (0.09%) ნიმ-ში (ცხრილი 1.1.1).

### ცოდნა და დამოკიდებულება C ჰეპატიტის შესახებ


კვლევის ფარგლებში მოხდა კვლევის მონაწილეთა შორის C ჰეპატიტის შესახებ ცოდნის და დამოკიდებულების შესწავლა. ერთ მეთედს (11.2%, n=225) არ სმენია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის შესახებ. კითხვაზე „იცით თუ არა სად შეიძლება ჩაიტაროთ C ჰეპატიტზე ტესტირება“ ნიმ-თა 88.6%-მა (n=1777) უპასუხა „დიახ“. რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (56.6%, n=1135) უკანასკნელი 2 წლის მანძილზე ჩატარებული აქვს ანალიზი C ჰეპატიტზე. კვლევის მონაწილე ნიმ-ების 56.9%-ს (n=1045) არასოდეს მიუღია მედიკამენტი C ჰეპატიტის სამკურნალოდ. C ჰეპატიტის მკურნალობაში ჩართული ნიმ-ების 4.2%-მა (n=33) დასრულებამდე შეწყვიტა მკურნალობა. მკურნალობის დასრულებამდე შეწყვეტის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად დასახელდა გვერდითი მოვლენები (42.4%, n=14). 50.1%-ს (n=1004) C ჰეპატიტზე მომსახურების მიღება (ტესტირება, კონფირმაცია, მკურნალობა) ურჩევნია მის ქალაქში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში, 51.4%-ს (n=1031) ზიანის შემცირების ცენტრში მის ქალაქში (ცხრილი 1.1.3).

უმრავლესობამ (98.0%, n=1744) იცის, რომ საქართველოში შესაძლებელია C ჰეპატიტის მკურნალობა უფასოდ. მონაწილეთა 11% (n=11), ვისაც არ აქვს მკურნალობის დასრულების შემდგომ მყარი ვირუსული პასუხის (SVR) შესაფასებელი ტესტი ჩატარებული, მიზეზად ასახელებს, რომ არ ჩათვალა საჭიროდ, ხოლო 6%-მა (n=6) თქვა, რომ ექიმს არ უთქვამს ამის შესახებ. C ჰეპატიტის მკურნალობის გამოცდილების მქონე ნიმ-თა 42.9% (n=340) იკეთებდა ნარკოტიკს მკურნალობის პარალელურად, 86.8%-მა (n=688) განაგრძო ნარკოტიკის გაკეთება მკურნალობის დასრულების/შეწყვეტის შემდეგ და 9.2%-მა (n=7) თქვა, რომ ჩატარებული აქვს განმეორებითი მკურნალობა C ჰეპატიტზე (ცხრილი 1.1.4).

### *C ჰეპატიტის სეროპრევალენტობასთან დაკავშირებული მახასიათებლები*


HCV სეროპრევალენტობა უფრო მაღალია მამრობითი სქესის (58.4% vs 35.7%;  $p<0.05$ ) და  $>35$  წლის ასაკის ნიმ-ებში (68.4% vs 20.7%;  $p<0.001$ ). Anti-HCV გავრცელება შეფასდა ასევე ქალაქების მიხედვით (დიაგრამა F1.3). სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება დაფიქსირდა თბილისსა (რეფერენს ქალაქი) და რამდენიმე სხვა ქალაქს შორის. ნიმ-ებში, რომლებიც უკანასკნელი 6 თვის მანძილზე ნარკოტიკს მართო იკეთებდნენ, HCV სეროდადებითობა შედარებით მაღალია, ვიდრე ნიმ-ებში, რომლებიც ერთი და იგივე მომხმარებლებთან ან სხვადასხვა მომხმარებლებთან ერთად იკეთებდნენ (65.4%, 57.8% და 50.7%, შესაბამისად) და აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა. ბოლო 12 თვის განმავლობაში ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკის ყოველდღიური მოხმარება ასოცირებულია anti-HCV მაღალ გავრცელებასთან (OR=1.72; 95% CI:1.43-2.07). HCV სეროპრევალენტობა მაღალია მათში, ვისაც გამოუყენებია მათ მიერ უკვე გამოყენებული ნემსი/შპრიცი/პეპელა (OR=1.36; 95% CI:1.13-1.64). აღმოჩნდა, რომ რესპოდენტებს შორის, რომლებსაც არ ჰქონიათ სექსი საპირისპირო სქესის პარტნიორთან ბოლო 12 თვის მანძილზე, მეტად არის გავრცელებული anti-HCV (72.6% vs 55.5%;  $p<0.001$ ). HCV სეროპრევალენტობა მაღალია ნიმ-ებში, ვისაც არ ჰყოლია ფასიანი სქესობრივი პარტნიორი ბოლო 12 თვის განმავლობაში (56.9% vs 42.7%;  $p<0.001$ ).

**დიაგრამა F1.3. Anti-HCV გავრცელება ქალაქების მიხედვით**



მათ შორის, ვისაც ოდესმე გამოუყენებია სხვის მიერ უკვე გამოყენებული ნემსი/შპრიცი/პეპელა, C ჰეპატიტის ანტისხეულების არსებობა 1.4-ჯერ მაღალია მსგავსი გამოცდილების არ მქონე ნიმ-ებთან შედარებით (75.9% vs 52.3%; OR=2.87; 95% CI:2.28-3.61). Anti-HCV გავრცელება მაღალია იმ ნიმ-ებში, ვისაც ოდესმე უმკურნალა ან მიუღია სპეციფიკური დახმარება ნარკოტიკების მოხმარების გამო (70.4% vs 50.7%; OR=2.30; 95% CI:1.90-2.79). პათიმრობის ისტორია ასოცირებულია anti-HCV მაღალ გავრცელებასთან (დიაგრამა F1.4). რესპოდენტთა 85.3%-ს (n=198), ვისაც საპათიმროში ყოფნისას მოუხმარია ნარკოტიკი, აღმოაჩნდა C ჰეპატიტის ანტისხეულები, ხოლო ვინც არ მოიხმარდა, მათ შორის 66.2%-ს (n=229, OR=2.97; 95% CI:1.94-4.55).

**დიაგრამა F1.4. საპათიმროში ყოფნის ისტორიის ასოციაცია anti-HCV გავრცელებასთან**




HCV გავრცელება სტატისტიკურად არ განსხვავდება ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისის მიმღებ და არ მიმღებ (75.7% vs 68.1%; p=0.15) და ნემსების და შპრიცების პროგრამის მოსარგებლე და არამოსარგებლე ნიმებში

(58.9% vs 57.3%; p=0.46). ნიმ-ებში, რომლებიც შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან არ იყენებდნენ პრეზერვატივს, anti-HCV გავრცელება უფრო მაღალია, თუმცა აღნიშნული განსხვავება არ არის სტატისტიკურად სარწმუნო. C ჰეპატიტის ანტიხეულუმის პრევალენტობა შედარებით მაღალია იმ რესპოდენტებში, ვისაც ჰყოლია მისივე სქესის სქესობრივი პარტნიორი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში (64.0% vs 57.9%; p=0.68) (ცხრილი 1.2.1).

*HCV რეინფექციასთან დაკავშირებული მახასიათებლები*

HCV რეინფექციის მაჩვენებელი შედარებით მაღალია ≤35 ასაკის მქონე რესპოდენტებში (10.8% vs 6.5%; p=0.15) (დიაგრამა F1.5). Anti-HCV გავრცელების მსგავსად, ნიმ-ებში, ვინც მარტო იკეთებს ნარკოტიკს, HCV რეინფექციის მაჩვენებელი შედარებით მაღალია იმ ნიმ-ებთან შედარებით, ვინც ერთი და იგივე მომხმარებლებთან ან სხვადასხვა მომხმარებლებთან ერთად იკეთებენ ნარკოტიკს (8.3%, 7.3% და 4.4%, შესაბამისად), თუმცა აღნიშნული განსხვავებები არ არის სტატისტიკურად სარწმუნო. რესპოდენტები, ვინც ბოლო 1 წლის მანძილზე ყოველდღე იკეთებდნენ ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკს, მეტად არიან რეინფიცირებულები (8.5% vs 5.4%; p=0.08). ნიმ-ებში, რომლებსაც ოდესმე გამოუყენებიათ სხვის მიერ უკვე გამოყენებული ნემსი/შპრიცი/პეპელა, C ჰეპატიტის რეინფექციის მაჩვენებელი შედარებით მაღალია (ცხრილი 1.2.2).


**დიაგრამა F1.5. HCV რეინფექცია ასაკის მიხედვით**



*HCV მკურნალობასთან დაკავშირებული მახასიათებლები*

HCV მკურნალობის მაჩვენებელი მაღალია >35 წლის რესპოდენტებში (40.7% vs 9.4% (p<0.001). C ჰეპატიტის მკურნალობის მაჩვენებელი შეფასდა ასევე ქალაქების მიხედვით (დიაგრამა F1.6). სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება დაფიქსირდა თბილისსა (რეფერენს ქალაქი) და რამდენიმე სხვა ქალაქს შორის.


**დიაგრამა F1.6 HCV მკურნალობის მაჩვენებელი ქალაქების მიხედვით**



HCV ელიმინაციის პროგრამაში გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ მათ შორის, ვინც აღნიშნა, რომ ნამკურნალევია C ჰეპატიტზე, 19.4% (149) არ იყო ნამკურნალევი. აღმოჩნდა, რომ პენიტენციურ სისტემაში ყოფნის გამოცდილება ზრდის C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამით სარგებლობის ალბათობას ნიმუშებში. კერძოდ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ნამყოფი ნიმუშები 2-ჯერ უფრო მეტად არიან ნამკურნალევი C ჰეპატიტზე (42.5% vs 24.6%; OR=0.44; 95% CI:0.36-0.53). მათ შორის, ვისაც ერთზე მეტჯერ აქვს სასჯელი მოხდილი, უფრო მაღალია C ჰეპატიტის მკურნალობის მაჩვენებელი, ვიდრე იმათში, ვისაც მხოლოდ ერთხელ აქვს სასჯელი მოხდილი (45.8% vs 37.0%; OR=1.44; 95% CI:1.11-1.86). ბოლო პაციენტობისას საპაციენტოში ერთ წელზე მეტის გატარება ასოცირებული აღმოჩნდა C ჰეპატიტის მკურნალობასთან (48.5% vs 38.8%;  $p < 0.01$ ). HCV მკურნალობის პროცენტი სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდება მეტადონის/სუბოქსონის ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისით მოსარგებლე ნიმუშებში, თუმცა სარწმუნოდ მაღალია მათში, ვისაც უკანასკნელი 30 დღის მანძილზე მიუღია სუფთა შპრიცი ნემსების და შპრიცების პროგრამის პროგრამის ფარგლებში (37.4% vs 29.9%; OR=0.71; 95% CI:0.52-0.86). C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში ჩართულობა სტატისტიკურად სარწმუნოდ ასოცირდება B ჰეპატიტის ვაქცინაციასთან (დიაგრამა 5). ნამკურნალევი პაციენტთა 10.6%-მა ( $n=72$ ) აღნიშნა, რომ აცრილია B ჰეპატიტის ვაქცინით განსხვავებით 6.0% ნიმუშისა ( $n=79$ ), ვინც არ არის (ან არ იცის, არის თუ არა) ვაქცინირებული (OR=0.53; 95% CI:0.38-0.74) (ცხრილი 1.2.3).



**დიაგრამა F1.7 HBV ვაქცინაციის ასოციაცია HCV მკურნალობის მაჩვენებელთან**



*მულტივარიაციული ანალიზი*

**HCV გავრცელება**

მულტივარიაციული ანალიზის შედეგად anti-HCV გავრცელების დამოუკიდებელ პრედიქტორებად განისაზღვრა ასაკი, საცხოვრებელი ქალაქი, ბოლო 12 თვის განმავლობაში ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკის ყოველდღიური მოხმარება, სხვის მიერ უკვე გამოყენებული ნემსის/შპრიცის/პეპელის გამოყენება, სპეციფიკური დახმარების მიღება ნარკოტიკების მოხმარების გამო და საპატიმროში ყოფნისას ნარკოტიკის მოხმარება (ცხრილი 1.2.5).

**HCV მკურნალობა**

მულტივარიაციული ანალიზი ჩატარდა ასევე HCV მკურნალობის დამოუკიდებელი პრედიქტორების იდენტიფიცირების მიზნით, რომლის შედეგადაც, ასაკი (>35 წლის) და საპატიმროში მოხვედრის რაოდენობა (>1) სტატისტიკურად სარწმუნოდ ასოცირებული აღმოჩნდა ანტივირუსული მკურნალობის ისტორიასთან (ცხრილი 1.2.6).

*ცოდნა და დამოკიდებულება აივ/შიდსზე და საკუთარი რისკის შეფასება აივ ინფექციის/შიდსის შესახებ ინფორმირებულობა*

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას გაუგია აივ ინფექციის (n=1738, 86.7%) და შიდსის (n=1941, 96.8%) შესახებ. ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა 43.8%-ს (n=862) აქვს ინფორმაცია აივ ინფიცირებული, შიდსით დაავადებული ან გარდაცვალი ადამიანის შესახებ. მათ შორის, ვისაც აქვს ინფორმაცია ზემოთ აღნიშნულ ადამიანებზე, 35.2%-ს (n=303) ჰყავს ახლო მეგობარი, რომელიც აივ ინფიცირებულია, შიდსით დაავადებულია ან გარდაცვლილი. კვლევაში




მონაწილეთა 38.8% (n=763) ფიქრობს, რომ მათი აივ ინფიცირების რისკი დაბალია (ცხრილი H1).

ნიმ-ების უმრავლესობის აზრით, აივ ინფექციის გადაცემის რისკის შემცირება შესაძლებელია: ერთი არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის ყოლით (n=1733, 88.1%), სქესობრივი კონტაქტისას პრეზერვატივის გამოყენებით (n=1810, 92.0%) და ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარებიდან არაინექციურ მოხმარებაზე გადასვლით (n=1443, 73.4%). რესპონდენტების 76.4%-მა (n=1502) აღნიშნა, რომ ჯანმრთელი გარეგნობის ადამიანს შესაძლებელია ჰქონდეს აივ ინფექცია. ნიმ-ების 16.5% (n=325) ფიქრობს, რომ აივ ინფექცია შესაძლებელია პირს გადაედოს კოლოს კბენის შედეგად. მონაწილეთა 92.8% (n=1826) თვლის, რომ აივ-ით ადამიანი შეიძლება ინფიცირდეს სხვის მიერ გამოყენებული ნემსით/შპრიცით, ხოლო 84.9%-ის (n=1670) აზრით, საზიარო საინექციო მოწყობილობის (ჭურჭელი, კოვზი, ბამბა/ ფილტრი) ან წყლის გამოყენებით, რომელშიც შესაძლოა მოხვედრილიყო სხვის მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი. კვლევაში მონაწილეთა 7.0% (n=137) ფიქრობს, რომ ადამიანის აივ-ით დაინფიცირება შესაძლებელია აივ ინფიცირებულთან საკვების გაზიარებით. ნიმ-ების მხოლოდ 57.2%-ის (n=1126) აზრით, შესაძლებელია აივ ინფიცირებულმა ქალმა თავის შვილს გადასდოს აივ ინფექცია. რესპონდენტების 79.9% (n=1572) ფიქრობს, რომ ადამიანი შესაძლოა ინფიცირდეს, თუ ის გამოიყენებს კონტინერიდან ნარკოტიკის ხსნარს, რომელიც მისი თანდასწრების გარეშე მომზადდა (ცხრილი H1).

კვლევაში მონაწილეებმა აივ/შიდსის შესახებ ინფორმაციის წყაროდ ყველაზე ხშირად დაასახელეს: მეგობრები/ნაცნობები/ნათესავები/კოლეგები (n=1029, 52.3%), არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO-ს) წარმომადგენლები/სოციალური მუშაკები (n=917, 46.6%), ტელევიზია (n=851, 43.3%), ინტერნეტი (n=548, 27.9%), ჯანდაცვის მუშაკები (n=321, 16.3%) და ბუკლეტები/სხვა ნაბეჭდი საინფორმაციო მასალა (n=278, 14.1%) (ცხრილი H1) (დიაგრამა H1).

**დიაგრამა H7. აივ/შიდსის შესახებ ინფორმაციის წყაროები**



### *ცოდნა და დამოკიდებულება აივ-ზე ტესტირების შესახებ*

კვლევაში მონაწილეთა 80.9% (n=1591) ფიქრობს, რომ მათ უბანში (ქალაქში) შესაძლებელია უფასო და კონფიდენციალური ანალიზის გაკეთება აივ ინფექციაზე. ნიმ-ების 94.0%-ს (n=1651) აქვს ინფორმაცია, თუ სად შეიძლება აივ-ზე უფასო ტესტირების ჩატარება. რესპონდენტების 85.8%-ს (n=1687) ცხოვრებაში ერთხელ მაინც აქვს ანალიზი გაკეთებული აივ-ზე. ბოლო ერთი წლის განმავლობაში აივ-ზე ტესტირება ჩატარებული ჰქონდა ნიმ-ების მხოლოდ 44.6%-ს (n=752). რესპონდენტების 91.1%-მა (n=1492) აღნიშნა, რომ საკუთარი ინიციატივით გაიკეთა აივ-ზე ანალიზი, 3.5%-მა (n=57) განაცხადა, რომ სჭირდებოდა საბუთი/ცნობა, ხოლო 1.4%-ს (n=23) ციხეში გაუკეთდა ანალიზი. ნიმ-ების 96.9%-მა (n=1588) გაიგო აივ-ზე გამოკვლევის შედეგი. მათ შორის, ვისაც არ ჰქონდა ჩატარებული აივ ტესტირება, 31.9% (n=362) გამოკვლევას არ თვლიდა საჭიროდ, 29.8%-ს (n=338) არ უფიქრია ამ თემაზე, 4.5%-მა (n=51) არ იცოდა სად ტარდება ტესტირება, ხოლო 4.0%-ს (n=45) ეშინოდა დადებითი პასუხის (ცხრილი H1).

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ აივ-ით ინფიცირების შემთხვევაში შეატყობინებენ მეუღლეს/რეგულარულ სქესობრივ პარტნიორს (n=1804, 89.9%) და იმ პირებს, ვისთან ერთადაც მოიხმარენ ნარკოტიკს (n=1757, 87.6%). რესპონდენტების მხოლოდ 73.3% (n=1470) ფიქრობს, რომ ჩაიტარებს აივ-ზე ტესტირებას, რომელიც იქნება უფასო და ჩატარდება სახელმწიფო/სამთავრობო დაწესებულებაში, დანარჩენ 10.6%-ს (n=213) არ სურს ტესტირების გაკეთება, 11.2%-მა (n=224) არ იცის, ხოლო 4.9%-მა (n=98) არ უპასუხა შეკითხვას. იმ მონაწილეთა 35.2% (n=75), ვისაც არ სურს აივ-ზე უფასო ტესტირების ჩატარება სახელმწიფო/სამთავრობო დაწესებულებაში, არ თვლის საჭიროდ აივ-ზე ტესტირებას, 25.4%-ს (n=54) ეშინია, რომ არ გახმაურდეს ანალიზის შედეგი, 20.2%-მა (n=43) აღნიშნა, რომ სხვა ადამიანები მიხვდებიან, რომ მოიხმარს ნარკოტიკს, ხოლო 3.3%-ს (n=7) ეშინია, რომ ამის შესახებ გაიგებს პოლიცია (ცხრილი H1).


### *ცოდნა და დამოკიდებულება აივ/შიდსზე და საკუთარი რისკის შეფასება ქალაქების მიხედვით*

#### *აივ/შიდსის შესახებ ინფორმირებულობა*

კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა, რომელიც ფიქრობს, რომ აივ ინფექციის (შიდსის გამომწვევი) გადაცემის რისკის შემცირება შესაძლებელია ერთი ერთგული, არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის ყოლის შემთხვევაში, ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: რუსთავი–98.5% (n=265; p<0.001), თელავი–94.0% (n=252; p<0.001), ბათუმი–92.5% (n=246; p<0.001), გორი–92.5% (n=246; p<0.001), ზუგდიდი–90.6% (n=232; p<0.001), ქუთაისი–84.7% (n=227; p<0.001) და თბილისი–70.9% (n=265) (ცხრილი H2.1, H2.2, H2.3).

ყველა ქალაქში (თბილისი: n=318, 85.0% და რუსთავი: n=265, 98.5%; p<0.001), ნიმ-ების უმრავლესობა ფიქრობს, რომ აივ ინფექციის გადაცემის რისკის შემცირება შესაძლებელია ყოველი სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენებით (თბილისი: n=318, 85.0% და რუსთავი: n=265, 98.5%; p<0.001) (დიაგრამა H2).

**დიაგრამა H2. მონაწილეთა გადანაწილება ქალაქების მიხედვით, ვინც ფიქრობს, რომ პრეზერვატივის გამოყენება ამცირებს აივ-ით ინფიცირების რისკს**



ყველა ქალაქის მონაცემის მიხედვით, მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ადამიანი დაინფიცირდეს აივ-ით, თუკი ის გამოიყენებს სხვის მიერ გამოყენებულ ნემსს/შპრიცს. აღნიშნული მაჩვენებელი სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდება ქალაქების მიხედვით და ყველაზე დაბალია ბათუმში (n=175, 65.8%; p<0.001). ნიმ-ების უმრავლესობა ყველა ქალაქში აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ადამიანი დაავადდეს აივ-ინფექციით, თუკი ის გამოიყენებს საზიარო საინექციო მოწყობილობას (ჭურჭელი, კოვზი, ბამბა/ფილტრი), ან წყალს, რომელშიც შესაძლოა მოხვედრილიყო სხვის მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი. აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე დაბალი რაოდენობით დაფიქსირდა ბათუმსა (n=175, 65.8%; p<0.001) და ქუთაისში (n=161, 60.1%; p<0.001).

*ცოდნა და დამოკიდებულება აივ-ზე ტესტირების შესახებ*

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობამ იცის, თუ სად შეიძლება უფასოდ აივ-ზე გამოკვლევის ჩატარება. აღნიშნული მაჩვენებელი ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: რუსთავი-98.9% (n=265; p<0.001), თელავი-98.1% (n=256; p<0.001), ზუგდიდი-97.5% (n=238; p<0.001), ქუთაისი-96.9% (n=187; p<0.001), გორი-96.6% (n=252; p<0.001), ბათუმი-89.0% (n=195; p=0.05) და თბილისი-83.0% (n=258). აივ-ზე ტესტირება ჩატარებული ჰქონდა მონაწილეთა უმრავლესობას ყველა ქალაქში. აღნიშნული მაჩვენებელი სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდება ქალაქების მიხედვით და ყველაზე დაბალია ქუთაისში

(71.3%) და ყველაზე მაღალია ზუგდიდში (97.1%-ს) (OR=2.08, 95% CI:1.34-3.22). ბოლო ერთი წლის განმავლობაში აივ-ზე ტესტირების ჩატარების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო თელავში-63.4% (n=166; p<0.001), შემდეგ ბათუმში-55.2% (n=144; p<0.001), ზუგდიდში-54.2% (n=136; p<0.001), რუსთავში-37.2% (n=99; p<0.001), გორში-29.0% (n=76; p<0.01) და ყველაზე დაბალი-ქუთაისსა (n=61, 25.5%) და თბილისში (n=70, 19.5%). კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობამ გაიგო აივ-ზე ჩატარებული ტესტირების პასუხი, ქალაქების მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი 91.7%-სა (ქუთაისი, n=165; OR=0.25, 95% CI:0.09-0.65) და 100%-ს (თელავი, n=221) შორის მერყეობს. აივ-ინფექციით ინფიცირების შემთხვევაში, ნიმ-ების რაოდენობა, ვინც შეატყობინებს მეუღლეს/რეგულარულ სქესობრივ პარტნიორს აღნიშნულის შესახებ, ქალაქების მიხედვით ყველაზე ნაკლებად დაფიქსირდა ქუთაისში (n=205, 75.9%; OR=0.33, 95% CI:0.21-0.51). კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა, ვინც ჩაიტარებს აივ-ზე ტესტირებას, თუ იგი იქნება უფასო და ჩატარდება სახელმწიფო/სამთავრობო დაწესებულებაში, ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: რუსთავი-96.3% (n=260; p<0.001), ზუგდიდი-89.5% (n=246; p<0.001), თელავი-79.3% (n=214; p<0.001), გორი-73.7% (n=199; p<0.01), ქუთაისი-66.3% (n=179), თბილისი-63.4% (n=241) და ბათუმი-48.5% (n=131; p<0.001).

*ნიმ-ებში აივ/შიდსის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები*

კვლევის შედეგების მიხედვით, აივ/შიდსის შესახებ ინფორმაციის ერთ-ერთ წყაროდ დაფიქსირდა ტელევიზია, რომელიც ყველაზე პოპულარული საინფორმაციო წყაროა ზუგდიდში და ყველაზე ნაკლებად ბათუმში (ცხრილი H2). ხშირად ინფორმაციის მიღების წყაროდ სახელდებოდნენ მეგობრები/ნაცნობები/ნათესავები/კოლეგები, რომლის მაჩვენებელიც ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: რუსთავი-64.7% (n=174; p<0.01), გორი-58.3% (n=155), ზუგდიდი-58.2% (n=149), ბათუმი-55.3% (n=147), თბილისი-51.1% (n=191), თელავი-40.3% (n=108; p<0.01) და ქუთაისი-39.2% (n=105; p<0.01). ინფორმაციის ხშირად დასახელებულ წყაროდ დაფიქსირდა ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) წარმომადგენლები/სოციალური მუშაკები, რომლის მაჩვენებელი 28.5%-სა (ზუგდიდი, n=73) და 77.6%-ს (თელავი, n=208; p<0.001) შორის მერყეობს. ინფორმაციის ხშირად დასახელებულ წყაროდ, ასევე, დაფიქსირდა ინტერნეტი, რომლის მაჩვენებელი 13.9%-სა (ბათუმი, n=37; p=0.04) და 48.5%-ს (ქუთაისი, n=130; p<0.001) შორის ფიქსირდება (ცხრილი H2.4).

**ცხრილი H2.4. აივ/შიდსის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები ქალაქების მიხედვით**

ქალაქები	ტელევიზია	ბუკლეტები /სხვა მასალა	ჯანდაცვის მუშაკები	მეგობრები/ ნათესავები	NGO, სოც. მუშაკები	ინტერნეტი
თბილისი	54.0%	4.8%	5.3%	51.1%	29.9%	20.1%
გორი	27.8%	3.4%	1.1%	64.7%	36.8%	16.9%
რუსთავი	48.3%	16.7%	13.8%	64.7%	48.0%	42.8%
თელავი	48.3%	36.2%	10.8%	40.3%	77.6%	18.7%
ბათუმი	13.2%	13.5%	47.0%	55.3%	65.8%	13.9%
ზუგდიდი	60.5%	12.1%	15.2%	58.2%	28.5%	37.5%
ქუთაისი	53.0%	15.7%	25.4%	39.2%	45.5%	48.5%


*ცოდნა და დამოკიდებულება აივ/შიდსზე და საკუთარი რისკის შეფასება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით*

კვლევის ფარგლებში ჩატარდა მონაცემების ბივარიაციული ანალიზი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. რეფერენს ასაკის ჯგუფად გამოვიყენეთ  $\leq 35$  წელი. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება დაფიქსირდა ქვემოთ განხილულ ცვლადებში. აივ ინფექციის შესახებ გაუგია  $\leq 35$  წლის მონაწილეთა 77.9%-ს, ხოლო  $>35$  წლის მონაწილეთა - 89.1%-ს (OR=2.32, 95% CI:1.76-3.06;  $p<0.001$ ).  $>35$  წლის ნიმ-ების მეტ ნაწილს (45.5%) ჰქონდა ინფორმაცია სხვა ადამიანის შესახებ, ვინც აივ ინფიცირებულია, დაავადებულია, ან გარდაიცვალა შიდსით (OR=1.39,  $p<0.01$ ) ახალგაზრდა ნიმ-ებთან შედარებით.  $>35$  წლის მონაწილეების უფრო მეტმა ნაწილმა ( $n=1197$ , 77.4%) აღნიშნა, რომ შესაძლებელია ჯანმრთელი გარეგნობის ადამიანს ჰქონდეს აივ ინფექცია  $\leq 35$  წლის ( $n=305$ , 72.4%) მონაწილეებთან შედარებით (OR=1.30, 95% CI:1.02-1.67;  $p=0.03$ ). კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ადამიანი შესაძლებელია დაინფიცირდეს აივ-ით, თუკი ის გამოიყენებს საზიარო საინექციო მოწყობილობას (ჭურჭელი, კოვზი, ბამბა/ფილტრი), ან წყალს, რომელშიც შესაძლოა მოხვედრილიყო სხვის მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი, აღნიშნული მაჩვენებელი ასაკის ჯგუფების მიხედვით განსხვავებულია და სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალია 35 წელზე უფროს ნიმებში.  $>35$  წლის ასაკის მონაწილეების 17.5%-მა ( $n=270$ ) და  $\leq 35$  წლის ნიმ-ების 13.1%-მა ( $n=55$ ) აღნიშნა, რომ შესაძლებელია ადამიანს გადაედოს აივ ინფექცია კოლოს კბენის შედეგად (OR=1.41, 95% CI:1.03-1.92;  $p=0.03$ ).  $>35$  წლის ნიმ-ების 81.2%-მა ( $n=1255$ ) და  $\leq 35$  წლის მონაწილეების 75.3%-მა ( $n=317$ ) აღნიშნა, რომ შესაძლებელია პირი დაინფიცირდეს აივ-ით, თუკი ის გამოიყენებს კონტეინერიდან ნარკოტიკის

ხსნარს, რომელიც მისი დასწრების გარეშე მომზადდა (OR=1.41, 95% CI:1.10-1.83; p<0.01) (ცხრილი H3).

>35 წლის მონაწილეების უფრო მეტი ნაწილი (n=1273, 82.3%) ფიქრობს, რომ შესაძლებელია მის უბანში (ქალაქში) უფასო და კონფიდენციალური გამოკვლევის გაკეთება აივ-ინფექციის გამოსავლენად, ≤35 წლის (n=318, 75.5%) მონაწილეებთან შედარებით (OR=1.51, 95% CI:1.17-1.95; p<0.01). >35 წლის ნიმ-ების 90.9%-მა (n=1406) და ≤35 წლის მონაწილეების 83.4%-მა (n=351) იცის სად მიმართოს აივ-ზე გამოკვლევის ჩატარების სურვილის შემთხვევაში (OR=2.00, 95% CI:1.47-2.73; p<0.001). >35 წლის მონაწილეებმა უფრო ხშირად აღნიშნეს, რომ თუ შემთხვევით აივ-ინფიცირებულნი აღმოჩნდებიან, შეატყობინებენ მეუღლეს/რეგულარულ სქესობრივ პარტნიორს (≤35 წლის ნიმ-ები: n=363, 83.4% და >35 წლის ნიმ-ები: n=1441, 91.8%; OR=2.22, 95% CI:1.62-3.02; p<0.001) და ნარკომომხმარებლებს (n=1416, 90.2% და n=341, 78.4%; OR=2.53, 95% CI:1.91-3.36; p<0.001), ≤35 წლის მონაწილეებთან შედარებით (დიაგრამა H3).

**დიაგრამა H3.** მონაწილეები ასაკის ჯგუფების მიხედვით, რომლებიც აივ-ით ინფიცირების შემთხვევაში შეატყობინებენ მეუღლეს ან/და ნარკომომხმარებლებს



კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ჩაიტარებს აივ-ზე ტესტირებას, თუ იგი იქნება უფასო და ჩატარდება სახელმწიფო/სამთავრობო დაწესებულებაში, აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (≤35 წლის ნიმ-ების 68.0% და >35 წლის ნიმ-ების 74.8%, p<0.01).

აივ/შიდსის შესახებ საინფორმაციო წყაროდ ინტერნეტი უფრო ხშირად დასახელდა ≤35 წლის (n=180, 42.8%) მონაწილეებში (>35 წლის მონაწილეები: n=368, 23.8%; OR=2.39, 95% CI:1.91-3.00; p<0.001), ხოლო ტელევიზია — >35 წლის (n=708, 45.8%) მონაწილეებში (≤35 წლის მონაწილეები: n=143, 34.0%; OR=0.61, 95% CI:0.49-0.76; p<0.001) (ცხრილი H3).




ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა ქვემოთ მოცემულ ცვლადებში: აივ-ით ინფიცირების რისკი (დაახლოებით 70% ორივე ჯგუფში), აივ ინფიცირების რისკის შემცირება ერთგული არაინფიცირებული პარტნიორის ყოლით და პრეზერვატივის სისტემატური გამოყენებით (ცხრილი H3). ბოლო ერთი წლის განმავლობაში აივ-ზე გამოკვლევა უფრო მეტად ჩატარებული აქვს >35 წლის მონაწილეებს (n=602, 40.1%), ≤35 წლის (n=150, 37.6%) მონაწილეებთან შედარებით. აივ-ზე გამოკვლევის შედეგი გაიგო მონაწილეთა უმრავლესობამ (≤35 წლის პირების 97.2% (n=308) და >35 წლის პირების 98.2% (n=1280)) (ცხრილი H3).

*ცოდნა და დამოკიდებულება აივ/შიდსზე და საკუთარი რისკის შეფასება ჩანაცვლებითი (მეთადონი/სუბოქსონი) თერაპიის სერვისით სარგებლობის მიხედვით*

ჩატარდა მონაცემების ბივარიაციული ანალიზი ჩანაცვლებითი თერაპიის (მეთადონი/სუბოქსონი) სარგებლობის მიხედვით. რეფერენს ჯგუფად გამოვიყენეთ მონაწილეები, რომლებიც არ სარგებლობენ აღნიშნული თერაპიით. ამ ასოციაციაზე დაკვირვების მიზანი იყო განგვესაზღვრა, ჩანაცვლებით თერაპიაზე ყოფნა იწვევს თუ არა აივ ინფექციის შესახებ უკეთეს ცოდნას/დამოკიდებულებას თერაპიაზე არმყოფებთან შედარებით. ჩანაცვლებაზე მყოფი მონაწილეების უფრო მეტ ნაწილს (n=249, 57.9%) ჰქონდა ინფორმაცია სხვა ადამიანის შესახებ, ვინც აივ ინფიცირებულია, დაავადებულია, ან გარდაიცვალა შიდსით, დანარჩენ მონაწილეებთან (n=613, 39.9%) შედარებით (OR=2.07, 95% CI:1.67-2.58; p<0.001). მათ შორის, ვისაც ჰქონდა ინფორმაცია სხვა ადამიანის შესახებ, ჩანაცვლებაზე მყოფი ნიმ-ების 65.9%-ს (n=164, 65.9%) და დანარჩენი მონაწილეების 56.9%-ს (n=349) ჰყავს ახლო ნათესავი ან ახლო მეგობარი, რომელიც აივ ინფიცირებულია, დაავადებულია შიდსით, ან გარდაიცვალა შიდსით (OR=1.46, 95% CI:1.07-1.98; p=0.01). ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მონაწილეების 84.2% (n=362) და დანარჩენი ნიმ-ების 89.2% (n=1371) ფიქრობდა, რომ აივ ინფექციის (შიდსის გამომწვევი) გადაცემის რისკის შემცირება შესაძლებელია ერთი ერთგული, არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის ყოლის შემთხვევაში (OR=0.65, 95% CI:0.48-0.87; p<0.01). ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი ნიმ-ების უფრო მეტ ნაწილს (n=384, 89.3%) ჰქონდა ოდესმე გაკეთებული აივ-ზე გამოკვლევა, დანარჩენ მონაწილეებთან (n=1303, 84.8%) შედარებით (OR=1.50, 95% CI:1.07-2.10; p=0.02) (დიაგრამა H4) (ცხრილი H4).

**დიაგრამა H4. ნიმ-ების განაწილება ჩანაცვლებითი თერაპიით სარგებლობის მიხედვით, რომელთაც გაკეთებული აქვთ გამოკვლევა აივ-ზე**




ჩანაცვლებითი (მეთადონი/სუბოქსონი) თერაპიით სარგებლობის მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა ქვემოთ მოცემულ ცვლადებში. ნიმ-ებში აივ ინფექციის შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებელი ჩანაცვლებითი თერაპიით სარგებლობის მიხედვით თითქმის თანაბარია (87.8% და 86.4%). ნიმ-ების უმრავლესობამ, ორივე ჯგუფში, იცოდა სად მიემართა აივ-ზე უფასო გამოკვლევისათვის (ჩანაცვლებაზე მყოფი პირები: n=351, 92.6%; დანარჩენი მონაწილეები: n=1300, 94.3%). ორივე ჯგუფში, ნიმ-ების უმრავლესობამ გაიგო აივ-ზე ჩატარებული გამოკვლევების პასუხი (97.0% და 98.3%). ასევე მსგავსია აივ ინფიცირების შემთხვევაში მზადყოფნა, აივ სტატუსი გაუმხილონ ახლობლებს (ცხრილი H4).

ნემსების და შპრიცების პროგრამით მოსარგებლე პირების უფრო მეტმა ნაწილმა (n=1018, 96.7%) აღნიშნა, რომ ოდესმე გაუკეთებია აივ-ზე გამოკვლევა, ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ნიმ-ებთან შედარებით (n=384, 89.3%) (დიაგრამა H5).



**დიაგრამა H5. აივ-ზე გამოკვლევის ჩატარების მაჩვენებლის განაწილება ნემსების და შპრიცების პროგრამით მოსარგებლე ნიმ-ებსა და ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ნიმ-ებს შორის**



**პრევენციული და სამკურნალო პროგრამებით სარგებლობა და სოციალური ზეგავლენა**

*პრევენციული პროგრამებით სარგებლობა*

ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში ინფექციების (აივ-ი, B და C ჰეპატიტი, ტუბერკულოზი, სგგი) გავრცელების პრევენციისა და ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილობის შემცირებისთვის ქვეყანაში მოქმედებს სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც სერვისების განხვავებულ პაკეტს სთავაზობენ მომხმარებლებს. ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამების ფარგლებში ნიმ-ებს შეუძლიათ უფასოდ მიიღონ შემდეგი სახის სერვისები:


- სკრინინგი აივ-ზე, B და C ჰეპატიტიზე, სიფილისზე და ტუბერკულოზზე;
- სტერილური სახარჯი მასალა (სხვადასხვა ზომის შპრიცები, ნემსები, პეპლები, სპირტიანი ტამპონები, ჟგუტები, ნალოქსონი, საინექციო ხსნარი, კონდომები, ლუბრიკანტები);
- საინფორმაციო ბროშურები;
- სამედიცინო სპეციალისტის კონსულტაცია;
- საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა/დასწრება.

*პრევენციული პროგრამებით მოცვა*

საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენდა ნემსების და შპრიცების პროგრამებით მოცვისა და ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ჩართული პაციენტის რაოდენობის გაზრდა. პრევენციული პროგრამებით ნარკოტიკის მომხმარებელთა მოცვის შესაფასებლად, წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორის

თანახმად, რესპონდენტებს დავუსვით ორი კითხვა: 1. „იცით თუ არა სად უნდა მიმართოთ აივ-ზე უფასო ტესტირების ჩასატარებლად?“ 2. „მიგიღიათ თუ არა უფასოდ სტერილური საინექციო მოწყობილობა (შპრიცი/ნემსი/პეპელა) და პრეზერვატივი ბოლო 1 წლის განმავლობაში?“. გამოკითხვის შედეგების თანახმად, პრევენციული პროგრამებით მოცვის მაჩვენებელი ნიმ-ებში შეადგენს 46.4%-ს. ასევე, კვლევის ფარგლებში შეფასებულ იქნა პრევენციული პროგრამებით მინიმალური მოცვის<sup>3</sup> მაჩვენებელი. პრევენციული პროგრამის მინიმალური პაკეტით მოცული იყო ნიმ-ების 29.5% (დიაგრამა I1). პრევენციული პროგრამებით სრული მოცვა<sup>4</sup> შეადგენს 30.4% (n= 609).

**დიაგრამა I1. ნიმ-ების მიერ პრევენციული პროგრამებით სარგებლობა**




კვლევაში მონაწილე ნიმ-ების მნიშვნელოვან ნაწილს უსარგებლია სხვადასხვა უფასო სერვისებით ზიანის შემცირების პროგრამების ფარგლებში ბოლო 1 წლის მანძილზე. კერძოდ, რესპონდენტთა 62.4%-ს (n=1211) მიღებული აქვს უფასო სტერილური საინექციო ინსტრუმენტები პრევენციული პროგრამების ფარგლებში ან/და შპრიცების სადისტრიბუციო აპარატიდან. ასევე, 50.1%-ს (n=971) მიუღია უფასო კონდომი (დიაგრამა I2). საკვლევი სუბიექტების 12.5%-მა (n=242) განაცხადა, რომ ბოლო 1 წლის მანძილზე სხვა სერვისებითაც უსარგებლიათ. მათ შორის, ვისაც სხვა სერვისებით უსარგებლია პროგრამის ფარგლებში, ყველაზე ხშირად უფასოდ მიღებული ჰქონდათ ნალოქსონი (42.1%), სტერილური სპირტიანი ტამპონები/ ჟუტები/საინექციო ხსნარები (31.8%) და ვენების სამკურნალო კრემები (21.1%). ნიმ-ების 62.9%-მა (n=1220) განაცხადა, რომ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე არ მიუღია კვალიფიციური

<sup>3</sup> პროგრამებით მინიმალური მოცვა: იცის სად შეიძლება აივ-ზე ტესტირება და პრევენციული პროგრამის ფარგლებში ბოლო 1 წლის განმავლობაში მიღებული აქვს უფასოდ მინიმუმ ერთი სერვისი: სტერილური საინექციო მოწყობილობები (ნემსი/შპრიცი/პეპელა) ან პრეზერვატივი ან საინფორმაციო მასალა ან კვალიფიციური საგანმანათლებლო ინფორმაცია შიდსის შესახებ).

<sup>4</sup> პროგრამებით სრული მოცვა: იცის, სად შეიძლება აივ ტესტირების ჩატარება და მიღებული აქვს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამული პროდუქტი: სტერილური საინექციო ინსტრუმენტები, კონდომი, ბროშურა/ლიფლეტი/ბუკლეტი და კვალიფიციური ინფორმაცია აივ/შიდსის შესახებ.

საგანმანათლებლო ინფორმაცია შიდას შესახებ და 59.9%-ს (n=1162) არ მიუღია საინფორმაციო ბროშურა/ლიფლეტი/ბუკლეტი შიდას შესახებ.

**დიაგრამა I2. ნიმ-ების მიერ ზიანის შემცირების პროგრამების ფარგლებში ბოლო 1 წლის მანძილზე უფასოდ მიღებული სერვისები**



ის, თუ სად მიმართონ საქართველოში არსებულ „ნემსების და შპრიცების პროგრამას“ საჭიროების შემთხვევაში, იცოდა ნიმ-ების 77.2%-მა (n=1519).

*სოციალური ზეგავლენა*

კვლევის მონაწილეებს სთხოვეს, გაეხსენებინათ ორი პიროვნება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მათ გადაწყვეტილებაზე ნარკოტიკის მოხმარების გაგრძელების თვალსაზრისით. რესპონდენტების უმრავლესობის (n=1749, 87.2%) აზრით, მათზე ზეგავლენის მოხდენა არავის არ შეუძლია. თუმცა, ნიმ-ების იმ მცირე ნაწილმა, ვისზეც ახდენენ გავლენას, ასეთ პიროვნებად დაასახელეს ნემსის პარტნიორები (n=264, 13.2%). აქვე, კვლევის მონაწილეებს დავუსვით შეკითხვა ახლობელთა როლის შესახებ, რომლებსაც ყველაზე მეტი ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ მათზე ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის თვალსაზრისით. 57.5% თვლიდა, რომ ნარკოტიკების შეწყვეტის გადაწყვეტილებაზე გარშემომყოფებს არ შეეძლოთ გავლენის მოხდენა. თუმცა, რესპონდენტთა თანაბარმა რაოდენობამ (26.4%) დაასახელა მეუღლე/სქესობრივი პარტნიორი და მეგობრები ისეთ ადამიანებად, რომელთაც შეეძლოთ მათზე გავლენის მოხდენა ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტის თვალსაზრისით (ცხრილი I1).

*სამკურნალო პროგრამებით სარგებლობა*

ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებლებს დავუსვით რამდენიმე შეკითხვა სამკურნალო პროგრამებით სარგებლობასთან და სამედიცინო დახმარების გარეშე ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტასთან დაკავშირებით. სამედიცინო დახმარების გარეშე ნარკოტიკის შეწყვეტის გამოცდილება ჰქონდა რესპონდენტების 25%-ს (n=501). კვლევაში მონაწილე ნიმ-ების 62.3%-ს (n=1250) არასოდეს ჩაუტარებია მკურნალობა ან მიუღია სპეციფიკური დახმარება ნარკოტიკის პრობლემური მოხმარების გამო. იმ ნიმ-ებს შორის (n=749, 37.4%), რომლებმაც ნარკოტიკის

მოხმარების გამო მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას ან სპეციალიზირებულ ცენტრს მკურნალობის/სპეციფიკური დახმარების მისაღებად, უმეტესობას (72.2%) ზემოაღნიშნული სერვისები მიღებული ჰქონდა ბოლო 12 თვის განმავლობაში. რესპონდენტების უმრავლესობა (n=436, 83.2%), რომლებიც ამჟამად მკურნალობენ ან უმკურნალიათ ბოლო 12 თვის განმავლობაში, არიან მეთადონით/სუბოქსონით ჩანაცვლების პროგრამის მოსარგებლები. ნიმ-ებს მკურნალობა გავლილი აქვთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, თუმცა ნიმ-ების მიერ ყველაზე მაღალი პროცენტით მაინც დედაქალაქში მკურნალობა დასახელდა (32.6%) (ცხრილი I2).

საკვლევ სუბიექტებს დავუსვით შეკითხვა, ჰქონდათ თუ არა სხვა მკურნალობის ან სპეციფიკური დახმარების მიღების სურვილი ბოლო 12 თვის მანძილზე. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა (85.5%, n=438) აღნიშნა, რომ არ სდომებიათ სხვა მკურნალობისა თუ სერვისის მიღება ბოლო ერთი წლის განმავლობაში.


ნიმ-ებს ვუსვამდით შეკითხვას იმ ძირითადი მიზეზის შესახებ, თუ რატომ ვერ ან არ ჩაიტარეს მკურნალობა ან სპეციფიკური დახმარება ბოლო 12 თვის განმავლობაში. სურვილის არ ქონა დასახელდა რესპონდენტების დაახლოებით ნახევარმა (n=888, 44.3%). საკმარისი თანხის უქონლობა ძირითად მიზეზს წარმოადგენდა საკვლევ სუბიექტების 10.8%-ისთვის (n=216). რესპონდენტების მცირე პროცენტის მიერ, მკურნალობის ვერ/არ ჩატარების ბარიერად დასახელდა სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობა, არადაამაკმაყოფილებელი პირობები და არასაკმარისი ადგილები (ცხრილი I1).

*პრევენციული და სამკურნალო პროგრამებით სარგებლობა და მოცვა ქალაქების, ასაკისა და დასაქმების სტატუსის მიხედვით*

პრევენციული პროგრამებით სარგებლობა და მოცვა ქალაქების მიხედვით


ბოლო 1 წლის მანძილზე, ქვეყანაში არსებული პრევენციული პროგრამების ფარგლებში ნიმ-ების მიერ მიღებული სერვისები განსხვავებულია ქალაქების მიხედვით. კერძოდ, გორში მცხოვრები ნიმ-ების 79.2%-ს უფასოდ მიღებული აქვთ სტერილური საინექციო ინსტრუმენტები, რომელიც ყველა სხვა ქალაქში მაცხოვრებელ ნიმ-ებთან შედარებით მაღალია ( $p < 0.001$ ). თელავსა ( $p < 0.001$ ) და ბათუმში ( $p < 0.001$ ) მაცხოვრებელ ნიმ-ებს ყველაზე მეტად აქვთ პროგრამის ფარგლებში მიღებული პრეზერვატივები. საინფორმაციო მასალა რესპონდენტთა საკმაოდ მცირე პროპორციას აქვს მიღებული. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია გორში (9.40%) ( $p < 0.001$ ), სხვა ქალაქებთან შედარებით (ცხრილი I3). შიდსის შესახებ მიღებული კვალიფიციური საგანმანათლებლო ინფორმაციითა და საინფორმაციო მასალით სტატისტიკურად სარწმუნოდ თელავი ლიდერობს (66% და 67.9%, შესაბამისად) (დიაგრამა I3).

**დიაგრამა I3. ნიმ-ების მიერ პრევენციული პროგრამების ფარგლებში მიღებული სერვისები**



პრევენციული პროგრამებით ნარკოტიკის მომხმარებელთა მოცვა შეფასებულ იქნა გლობალური დონის ანგარიშგების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული UNGASS (United Nations General Assembly Special Session on HIV/AIDS) ინდიკატორების მიხედვით [18]. პრევენციული პროგრამებით მოცვა ქალაქების მიხედვით განსხვავებულია. კერძოდ, თელავი ლიდერობს პრევენციული პროგრამებით მოცვის (72.6%, OR 6.26;  $p < 0.001$ ), ხოლო გორი პირველ ადგილზეა მინიმალური მოცვის მაჩვენებლით (71.1%, OR 6.04;  $p < 0.001$ ). პრევენციული პროგრამებით მინიმალური მოცვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღინიშნა რუსთავში (1.5%, OR 0.04,  $p < 0.001$ ) (დიაგრამა I4.).


**დიაგრამა I4. პრევენციული პროგრამებით მოცვა, ქალაქების მიხედვით**



ის, თუ სად მიმართონ საქართველოში არსებულ „ნემსების და შპრიცების პროგრამას“ საჭიროების შემთხვევაში, იცოდა რუსთავში (98.1%) ( $p < 0.001$ ),

ზუგდიდსა (95.3%) ( $p < 0.001$ ) და გორში (89.1%) ( $p < 0.001$ ) მაცხოვრებელი ნიმ-ების უმრავლესობამ (დიაგრამა I5).

**დიაგრამა I5. შპრიცების გაცვლის პროგრამის ცნობადობა ქალაქების მიხედვით**




კვლევაში მონაწილე ნიმ-ებს სთხოვეს დაესახელებინათ ორი პიროვნება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მათ გადაწყვეტილებაზე როგორც ნარკოტიკის მოხმარების გაგრძელების, ასევე შეწყვეტის თვალსაზრისით. ყველა ქალაქში მცხოვრები ნიმ-ების უმრავლესობის აზრით მათზე გავლენის მოხდენა არავის არ შეეძლო. თუმცა, მათ შორის, ვისზეც ახდენენ გავლენას რომ გააგრძელონ ნარკოტიკის მოხმარება, ასეთ პიროვნებად ძირითადად ნემსის პარტნიორები დასახელდნენ ( $n=264$ , 13.2%). აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე დაბალია გორში (3.8%). მეუღლე/სქესობრივი პარტნიორი და მეგობრები ყველაზე ხშირად დასახელდა გორში მცხოვრები ნიმ-ების ( $n=39$ , 60%) მიერ ისეთ ადამიანებად, რომელთაც შეეძლოთ ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა (ცხრილი I3.1/2/3).

**სამკურნალო პროგრამებით სარგებლობა ქალაქების მიხედვით**

სამედიცინო დახმარების გარეშე აღკვეთის სინდრომის მოხსნის ყველაზე დიდი გამოცდილება გააჩნიათ ზუგდიდელ რესპონდენტებს (34.5%), ხოლო სამედიცინო დახმარების გარეშე ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტა ყველაზე ნაკლებად ქუთაისელ ნიმ-ებს (13.0%) უცდიათ. რესპონდენტთა პროპორცია, ვისაც ოდესმე უმკურნალია/მიუღია სპეციფიკური დახმარება ნარკოტიკის მოხმარების გამო, მერყეობს 14.4%-სა ( $n=39$ , რუსთავი) და 54.2%-ს ( $n=206$ , თბილისი) შორის (დიაგრამა I6). სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ნიმ-ების უმეტესობა,




**დიაგრამა I6. წამლდამოკიდებულების მკურნალობა ნარკოლოგიურ დაწესებულებაში**



რომლებმაც ნარკოტიკის მოხმარების გამო მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას ან სპეციალიზირებულ ცენტრს მკურნალობის/სპეციფიკური დახმარების მისაღებად ბოლო ერთი წლის მანძილზე, ამჟამადაც გადის მკურნალობას (დიაგრამა I7). რესპონდენტების უმრავლესობა (თბილისი - 90.6% (n=115); თელავი - 81% (n=77); ბათუმი - 82.2% (n=74), ზუგდიდი - 81.9% (n=77), ქუთაისი - 81.9% (n=68), გორი- 69.8 (n=44) და რუსთავი - 69% (n=20)), რომლებიც ამჟამად მკურნალობენ ან უმკურნალიათ ბოლო 12 თვის განმავლობაში, არიან მეთადონით/სუბოქსონით ჩანაცვლების პროგრამის მოსარგებლები. იმ მიზეზთა შორის, თუ რატომ ვერ ან არ ჩაიტარა მკურნალობა ან სპეციფიკური დახმარება ბოლო 12 თვის მანძილზე, ყველა ქალაქში მცხოვრები

**დიაგრამა I7. მიმართა სამედიცინო დაწესებულებას ბოლო 12 თვის მანძილზე**



ნიმ-ების უმეტესობის მიერ დასახელდა სურვილის არ ქონა. თელავსა (55.9%) და გორში მცხოვრები ნიმ-ების თითქმის ნახევარზე მეტს (55.2%) არ ჰქონდა



მკურნალობის ჩატარების სურვილი. რუსთაველი რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასახელდა სამედიცინო დაწესებულების არახელსაყრელი ადგილმდებარეობა მკურნალობის ვერ/არ ჩატარების მიზეზად ( $p < 0.001$ ) (ცხრილი I4.1/2/3).

პრევენციული პროგრამებით სარგებლობა და მოცვა ასაკის მიხედვით

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, 35 წელზე მეტი ასაკის ნიმ-ების მიერ პრევენციული პროგრამის ფარგლებში ყველა პროგრამული კომპონენტებით სარგებლობის მაჩვენებელი მაღალია ახალგაზრდა ნიმ-ებთან შედარებით. (საინფორმაციო მასალა - 40.6% vs 35.8%; კვალიფიციური საგანმანათლებლო ინფორმაცია - 37.2% vs 34.6%; პროგრამის ფარგლებში აღებული პრევენციული - 50.1% vs 50.0; სტერილური საინექციო მასალა - 63.6% vs 57.9%). სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია მხოლოდ ასაკსა და პროგრამის ფარგლებში მიღებულ სტერილური საინექციო მასალის მიღებას შორის გამოვლინდა ( $p=0.034$ ). საქართველოში არსებული ნემსების და შპრიცების პროგრამის შესახებ ცნობიერება ასევე მაღალია 35 წელზე მეტი ასაკის ნიმ-ებში (OR 1.36;  $p=0.015$ ) (ცხრილი I5.).

პრევენციული პროგრამებით მოცვასა და ასაკს შორის სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია არ გამოვლინდა (ცხრილი I5).

სამკურნალო პროგრამებით სარგებლობა ასაკის მიხედვით

სამედიცინო დახმარების გარეშე ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტის გამოცდილება  $\leq 35$  წლის ნიმ-ებში უფრო მაღალია (28.0%),  $> 35$  წლის ნიმ-ებთან შედარებით (24.1%). თუმცა ეს განსხვავება არ არის სტატისტიკურად სარწმუნო. ორივე ასაკობრივ ჯგუფში თითქმის მსგავსია სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვიანობა (73% და 72.2%). ბოლო ერთი წლის მანძილზე დეტოქსიკაცია მეთადონით/სუბოქსონით ჩატარებული აქვს ახალგაზრდა ნიმების 14.6%-ს, რაც უმნიშვნელოდ მაღალია  $> 35$  წელზე (11.8%) ნიმ-ებთან შედარებით ( $p=0.460$ ). აქვე აღსანიშნავია, რომ ნიმ-ების უმრავლესობას ყველაზე ხშირად მეთადონით/სუბოქსონით ჩანაცვლებითი თერაპია გავლილი აქვს ბოლო 1 წლის მანძილზე. მათ შორის, ვისაც ბოლო 1 წლის მანძილზე უმკურნალია  $> 35$  წელზე ნიმ-ების 83.9% ამჟამად მეთადონით/სუბოქსონით ჩანაცვლების პროგრამის მოსარგებლენი არიან (OR 1.82;  $p=0.028$ ) (ცხრილი I6.).

პრევენციული პროგრამებით სარგებლობა და მოცვა დასაქმების სტატუსის მიხედვით

კვლევაში მონაწილე ნიმ-ების 36.1% ( $n=723$ ) იყო დასაქმებული (ჰქონდათ მუდმივი ან პერიოდული სამუშაო), ხოლო დაუსაქმებელთა

(მოსწავლე/სტუდენტი, პენსიონერი/შშპ პირი და უმუშევარი) პროპორცია შეადგენდა 63.9%-ს (n=1282). დასაქმებულ ნიმ-ებში უფრო მაღალი იყო ბოლო 1 წლის მანძილზე პრევენციული პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პაკეტით სარგებლობა, დაუსაქმებელ ნიმ-ებთან შედარებით (საინფორმაციო მასალა შიდსის შესახებ - 43.0% vs 37.6%; კვალიფიციური საგანმანათლებლო ინფორმაცია - 39.0% vs 35.3%; პროგრამის ფარგლებში აღებული პრეზერვატივი - 53.6% vs 48.0; საინექციო საშუალებები- 66.0% vs 10.4%). გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია ნიმ-ების მიერ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერვისებით სარგებლობასა და დასაქმების სტატუსთან მიმართებაში, გარდა შიდსის შესახებ კვალიფიციური საგანმანათლებლო ინფორმაციის მიღებისა.

დასაქმებულმა ნიმ-ებმა უფრო მეტად იციან, სად უნდა მიმართონ საქართველოში არსებულ „ნემსების და შპრიცების პროგრამას“ (78.6%), დაუსაქმებელ ნიმ-ებთან შედარებით. თუმცა, სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია არ გამოვლინდა (p=0.330). დასაქმებულ ნიმ-ებში უფრო მაღალია პრევენციული პროგრამებით მოცვა (50.5% vs 44.1%, p=0.006). პრევენციული პროგრამებით სრულ ან მინიმალურ მოცვასა და დასაქმების სტატუსს შორის სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია არ გამოვლინდა (ცხრილი I7.).

სამკურნალო პროგრამებით სარგებლობა დასაქმების სტატუსის მიხედვით

სამედიცინო დანიშნულების გარეშე („ლომკის სუბოიზე გადაგდება“) ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტა დასაქმებულ ნიმ-ებში მაღალია (26.1%) (p=0.370).

დაუსაქმებელ ნიმ-ებს უფრო ხშირად უმკურნალიათ/მიუღიათ სპეციფიკური დახმარება ოდესმე ნარკოტიკის მოხმარების გამო (40.6%), დასაქმებულთან შედარებით (31.7%) (p<0.001). თუმცა, მათ შორის, ვისაც ოდესმე

უმკურნალიათ/მიუმართავს სამედიცინო დაწესებულებისთვის, ბოლო 1 წლის განმავლობაში ასეთი შემთხვევა თითქმის თანაბარი სიხშირით დააფიქსირა როგორც დასაქმებულმა, ასევე სამსახურის არ მქონე ნიმ-ებმა (72.5% vs 72.2%) (p=0.945). აქვე აღსანიშნავია, დასაქმებული და დაუსაქმებელი ნიმ-ების









უმრავლესობას, რომელთაც ბოლო 1 წლის მანძილზე მიუმართავთ სამედიცინო დაწესებულებისთვის, კვლევის პროცესშიც მკურნალობდა (76.3% vs 79.7%).

სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია აღმოჩნდა ნიმ-ების დასაქმების სტატუსსა და მკურნალობის ზოგიერთ სახეობას შორის. კერძოდ, მოხმარებლების უმრავლესობა, რომლებიც მკურნალობდნენ კვლევის პროცესში ან უმკურნალიათ ბოლო 12 თვის განმავლობაში, ჩანაცვლებით თერაპიას გადიოდა მეთადონით/სუბოქსონით. დასაქმებული და დაუსაქმებელი ნიმ-ების მიერ მეთადონით/სუბოქსონით ჩანაცვლებითი თერაპიით სარგებლობა ნაწილდება შემდეგნაირად: დაუსაქმებელი 84.8% vs დასაქმებული 76.5% (p=0.022) (ცხრილი


18). დასაქმებულ ნიმ-თა 15.4% გადიოდა დეტოქსიკაციას მეთადონით/სუბოქსონით, 4.3%-ს უცდია დეტოქსიკაცია ნარკოტიკის გარეშე, 1.9% გაუვლია ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ჩაუტარებია კონსულტაცია. თუმცა, სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია არ დაფიქსირდა მკურნალობის არცერთ ზემოთჩამოთვლილ ტიპთან მიმართებაში.

მონაწილეთა განაწილება სარისკო საინექციო პრაქტიკის, აივ და C ჰეპატიტის სტატუსის მიხედვით


ქვემოთ მოცემული სურათები აღწერს კვლევაში მონაწილე „მარცვლებს“ მიერ რეკრუტირებული ნიმ-ების განაწილებას შვიდივე ქალაქის მიხედვით. სურათები შეიქმნა NetDraw-ს პროგრამის გამოყენებით. ფიგურების და ფერების მეშვეობით აღინიშნა ნიმ-ების სარისკო ქცევა და აივ და C ჰეპატიტის სტატუსი. ნიმ-ებისთვის უსაფრთხო ქცევის განსაზღვრა მოხდა რამდენიმე ცვლადის გათვალისწინებით (არ მოუხმარია სხვის მიერ უკვე გამოყენებული საინექციო საშუალება; არ გამოუყენებია თავშეყრის ადგილას სხვის მიერ დატოვებული ნემსი/შპრიცი; არ მოუხმარია სხვის მიერ წინასწარ შევსებული შპრიცი; არ გამოუყენებია საზიარო საინექციო ნივთები (კოვზი, ჭურჭელი და ა.შ.); არ მოუხმარია საზიარო ჭურჭლიდან ნარკოტიკის ხსნარი). მოცემულ სურათებზე დიდი ზომის ფიგურებით აღნიშნულია „მარცვლები“, ხოლო დანარჩენი ფიგურები ასახავს შემდეგ ინფორმაციას:

	HIV და HCV უარყოფითი, უსაფრთხო საინექციო პრაქტიკა
	HIV და HCV უარყოფითი, სარისკო საინექციო პრაქტიკა
	HIV და HCV დადებითი, უსაფრთხო საინექციო პრაქტიკა
	HIV და HCV დადებითი, სარისკო საინექციო პრაქტიკა
	HIV დადებითი, HCV უარყოფითი, უსაფრთხო საინექციო პრაქტიკა
	HIV დადებითი, HCV უარყოფითი, სარისკო საინექციო პრაქტიკა
	HIV უარყოფითი, HCV დადებითი, უსაფრთხო საინექციო პრაქტიკა
	HIV უარყოფითი, HCV დადებითი, სარისკო საინექციო პრაქტიკა


სურათი 1: თბილისში ნიმ-ების განაწილება სარისკო ქცევისა და აივ/ც ჰეპატიტის სტატუსის მიხედვით




სურათი 2: გორში ნიმ-ების განაწილება სარისკო ქცევისა და აივ/ც ჰეპატიტის სტატუსის მიხედვით




სურათი 3: რუსთავეში ნიმ-ების განაწილება სარისკო ქცევისა და აივ/ც ჰეპატიტის სტატუსის მიხედვით




სურათი 4: ბათუმში ნიმ-ების განაწილება სარისკო ქცევისა და აივ/ც ჰეპატიტის სტატუსის მიხედვით




სურათი 5: ზუგდიდში ნიმ-ების განაწილება სარისკო ქცევისა და აივ/ც ჰეპატიტის სტატუსის მიხედვით



სურათი 6: ქუთაისში ნიმ-ების განაწილება სარისკო ქცევისა და აივ/ც ჰეპატიტის სტატუსის მიხედვით



სურათი 7: თელავში ნიმ-ების განაწილება სარისკო ქცევისა და აივ/ც ჰეპატიტის სტატუსის მიხედვით






## 2017 და 2022 წლის კვლევების მონაცემების შედარება

შენიშვნა: ვინაიდან 2017 წლის მონაცემთა ბაზა არ იყო ხელმისაწვდომი, შედარება არ განხორციელებულა სტატისტიკური ტესტირების გამოყენებით. მოხდა აღწერილობითი (პროცენტული) მაჩვენებლების შედარება. შესაბამისად, სტატისტიკურად სარწმუნოა თუ არა ეს განსხვავებები, ამ ანგარიშში არ არის მოცემული.

### ნარკოტიკების მოხმარების ისტორია

განსხვავებები ფიქსირდება აღქმულ წამალდამოკიდებულებაში 2017 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებთან. კერძოდ კი, 2017 წელს 7 ქალაქში ჩატარებული კვლევით მინიმუმ 86.7%-დან რუსთავში, 92.5%- მდე ქუთაისსა და ბათუმში ფიქრობდა, რომ წამალდამოკიდებულა, რაც 2022 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად 42.6%-დან (თელავი) 97.4%-მდე (ბათუმი) მერყეობს (დიაგრამა B7).

**დიაგრამა B7.** ფიქრობს, რომ წამალდამოკიდებულა (%)



2017 წელს ჩატარებული კვლევისგან განსხვავებით, 2022 წელს იკვეთება მეტი რესპონდენტი, რომელიც დღეში რამდენჯერმე ინექციას მიმართავს. 2017 წელს დღეში რამდენჯერმე ინექციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელით გამოირჩეოდნენ თბილისელი და ქუთაისელი რესპონდენტები, რაც 2022 წელს მნიშვნელოვნად მაღალია ყველა ქალაქში, სულ მცირე მაჩვენებლით თელავში (3.3%) იკვეთება და მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება რუსთავში (25.2%).


ბოლო თვეში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხარების არაინექციური მაჩვენებელი არ განსხვავდება 2017 (82.8%) და 2022 წელს (81.6%) ჩატარებულ კვლევებს შორის.

არ არის განსხვავება ბოლო თვეში ინექციურად, ყველაზე მეტად მომხარებულ ნივთიერებებს შორის. ორივე კვლევაში ყველაზე მეტად მოხმარებადი ნარკოტიკებია ბუპრენორფინი და ჰეროინი. თითქმის განახევრებულია რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც წიწვის ვინტის ინექციურ მომხარებას აღნიშნავს - გამოკითხულთა 20% -2017 წელს და 10% -2022 წელს. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირებულია დეზომორფინის (ე.წ. კრაკადილის) მოხმარების მაჩვენებელი - 2017 წელს რესპონდენტთა 17.3% ასახელებს მის მოხმარებას, რასაც 2022 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 1% აღნიშნავს. რუსთავი გამოკვეთილად ლიდერობს ჰეროინის მოხმარებით ორივე კვლევაში. გაზრდილია მეთადონის ინექციური მომხარების მაჩვენებელი 2017 წელს 10.1%-დან 2022 წელს 19%-მდე.

*ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევის შედეგების შედარება 2017 წლის კვლევის მონაცემებთან*

2022 წლის კვლევაში მონაწილეთა 64.7%-მა და 2017 წლის კვლევაში მონაწილეთა 60.3%-მა აღნიშნა, რომ გამოუყენებია უკვე გამოყენებული ნემსი/შპრიცი/სხვა საინექციო საშუალება. ორივე კვლევაში მონაწილეების თანაბარმა რაოდენობამ (2017 - 2.6%; 2022 - 4.0%) აღნიშნა, რომ ბოლოს გაიკეთა ნარკოტიკი სხვის მიერ გამოყენებული საინექციო საშუალებით. 2022 წლის კვლევაში მომატებულია ნარკოტიკის ბოლო გაკეთებისას ნიმ-ების მიერ თავისივე გამოყენებული ნემსით ან შპრიცის მოხმარების მაჩვენებელი (14.8%), 2017 წლის კვლევის შედეგებთან (5.4%) შედარებით (დიაგრამა C8).

**დიაგრამა C8. ნარკოტიკის ბოლო გაკეთებისას ნიმ-ების მიერ თავისივე გამოყენებული ნემსის ან შპრიცის მოხმარების მაჩვენებლის შედარება 2017 წლის კვლევის მონაცემებთან**




2022 წლის კვლევაში მონაწილეთა 2.8%-მა აღნიშნა, რომ ბოლო ერთი თვის მანძილზე ინექციური ნარკოტიკის მოხმარებისას გამოიყენა სხვის მიერ

გამოყენებული საინექციო საშუალება (2017 - 6.3%). ბოლო ერთ თვეში, გამოყენებულ საინექციო საშუალებას ყოველთვის ასუფთავებდნენ 2017 წლის კვლევაში მონაწილე ნიმ-ების 74.9% და 2022 წლის კვლევაში მონაწილეების 64.2%.

2022 წლის კვლევაში მონაწილეთა უფრო მეტმა ნაწილმა (87.1% vs 55.8%) აღნიშნა, რომ ბოლოს გამოყენებული საინექციო საშუალება გადააგდო ნაგვის ყუთში. (დიაგრამა C9).

**დიაგრამა C9. ბოლო ნარკოტიკის მოხმარებისას გამოყენებული საინექციო საშუალების ნაგვის ყუთში გადაგდების მაჩვენებლის შედარება 2017 წლის კვლევის მონაცემებთან**




ორივე კვლევაში მონაწილე ნიმ-ების უმრავლესობას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში იშოვოს ახალი, სტერილური შპრიცები და ნემსები (2022 - 99.7% და 2017 - 96.1%). ორივე კვლევაში (2017 - 93.6%; 2022 - 85.7%), მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ახალ, სტერილურ ნემსს/შპრიცს/სხვა საინექციო საშუალებას ყიდულობს ავთიაქში. 2022 წლის კვლევაში მონაწილეთა უფრო მეტი ნაწილი (57.6% vs 32.9%) ახალ, სტერილურ საინექციო საშუალებას იღებს ნემსების და შპრიცების პროგრამიდან. 4%-ით არის გაზრდილია ზედოზირების შემთხვევების რიცხვი (2022 წლის კვლევაში მონაწილეთა 10.1%-ს და 2017 წლის კვლევაში ჩართული ნიმ-ების 6.1%-ს ჰქონია ზედოზირების შემთხვევა ბოლო წლის განმავლობაში).


*სქესობრივი ქცევა*

გამოკითხული ნიმ-ების 84.7%-მა აღნიშნა, რომ ჰქონდა სექსი საპირისპირო სქესის პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში. 2017 წელს ჩატარებულმა კვლევამ მსგავსი შედეგები აჩვენა - მონაწილეთა უმრავლესობას (89.3%) ჰქონდა სქესობრივი კავშირი საპირისპირო სქესის პარტნიორთან ბოლო 12 თვის მანძილზე (დიაგრამა D1). ნიმ-ებში ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს



პრეზერვატივის გამოყენების მაჩვენებელი კვლავ დაბალია (2022 - 31.4%, 2017 – 36.5%) (დიაგრამა D2).




ჰომოსექსუალური კავშირების მაჩვენებელი არ შეცვლილა (დიაგრამა D3), თუმცა ბოლო ჰომოსექსუალური კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენების მაჩვენებელი 50%-დან 36%-მდე შემცირდა (დიაგრამა D4).



ბოლო 1 წლის განმავლობაში ანალური სექსის პრაქტიკის და ბოლო ანალური სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენების მაჩვენებლები უმნიშვნელოდ გაიზარდა 2017 წლის მონაცემებთან შედარებით (4.6% vs 6.5% და 43.6% vs 46.6%, შესაბამისად) (დიაგრამები D5 და D6).





2017 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მსგავსად, მიმდინარე კვლევის ფარგლებში, გამოკითხულთა უმრავლესობას (74.1%) ჰყავდა რეგულარული სქესობრივი პარტნიორი ბოლო 12 თვის განმავლობაში (დიაგრამა E1).





ბოლო 1 თვის მანძილზე რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივი გამოიყენა გამოკითხული ნიმ-ების მხოლოდ 29.3%-მა (2017 წლის კვლევით ეს მონაცემი იყო 25.8%) (დიაგრამა E2).

2017 წელთან შედარებით, 2022 წელს გაორმაგებულია რეგულარულ სქესობრივ


პარტნიორთან ბოლო 1 წლის განმავლობაში პრეზერვატივის „ყოველთვის გამოყენების“ მაჩვენებელი (6.3% vs 12.8%), თუმცა უცვლელია „არასდროს გამოყენების“ სიხშირე (37.3% vs 38.6%) (დიაგრამა E3).





2017 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში სქესობრივი კონტაქტის ალბათობა. თუ 2017 წელს გამოკითხულთა 43.1% აცხადებდა, რომ ჰქონდა სექსი შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 1 წლის მანძილზე, 2022 წელს რესპონდენტების მხოლოდ 25.8%-მა დაადასტურა აღნიშნული ქცევა (დიაგრამა E4). შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივი გამოიყენა კვლევაში მონაწილე ნიმ-ების 71.9%-მა, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს 2017 წლის კვლევის აღნიშნულ მაჩვენებელს (60%) (დიაგრამა E5).



2017 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით, არ შეცვლილა შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 1 წლის განმავლობაში პრეზერვატივის „ყოველთვის გამოყენების“ ალბათობა (43.8% vs 46.4%), თუმცა მნიშვნელოვნად შემცირდა „არასდროს გამოყენების“ მაჩვენებელი (19.0% vs 8.8%) (დიაგრამა E6).




უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ფასიანი სქესობრივი პარტნიორი ჰყოლია კვლევაში მონაწილე ნიმუშის 12.3%-ს, რაც 2017 წელთან შედარებით (20.4%) დაბალი მაჩვენებელია (დიაგრამა E7). ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივი გამოიყენა გამოკითხულთა 88.7%-მა, რაც 2017 წლის კვლევის მაჩვენებლის მსგავსია, როდესაც რესპონდენტების 86.2%-მა დაადასტურა პრეზერვატივის გამოყენება ბოლო ფასიანი სქესობრივი კონტაქტის დროს (დიაგრამა E8).





2017 წელთან შედარებით, მიმდინარე კვლევამ აჩვენა ფასიან სქესობრივ პარტნიორთან პრეზერვატივის „ყოველთვის გამოყენების“ სიხშირის შემცირება (77.3% vs 58.8%). ასევე, შემცირდა პრეზერვატივის ფასიან პარტნიორთან „არასდროს გამოყენების“ მაჩვენებელი (6.7% vs 4.2%) (დიაგრამა E9).





ქორწინებაში მყოფი ნიმ-ების 18.7%-ს ჰყავდა შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორი და 5.7%-ს ფასიანი სქესობრივი პარტნიორი ბოლო 12 თვის განმავლობაში, რაც მნიშვნელოვნად არის შემცირებული 2017 წლის კვლევის მაჩვენებლებთან შედარებით (35.3% და 29.4%, შესაბამისად) (დიაგრამა E10, დიაგრამა E11).



2017 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით, გამოვლინდა გაუმჯობესება შემდეგ სქესობრივ ქცევასთან დაკავშირებით: გაიზარდა შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივის გამოყენების ალბათობა (71.9% 2022 წელს vs 60% 2017 წელს). შემცირდა ბოლო 1 წლის მანძილზე შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორის ყოლის ალბათობა (2017 წელს 43.1% ჰქონდა სექსი შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან, ხოლო 2022 წელს 25.8%-ს). მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო 1 წლის განმავლობაში შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან პრეზერვატივის „არასდროს გამოყენების“ სიხშირე (19.0% 2017 წელს vs 8.8% 2022 წელს).

2017 წლის შემდეგ უცვლელი დარჩა სქესობრივი ქცევის შემდეგი მაჩვენებლები: ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივის გამოყენების მაჩვენებელი კვლავ დაბალი რჩება (31.4% 2022 წელს vs 36.5% 2017 წელს). უცვლელია


პრეზერვატივის „არასდროს გამოყენების“ მაჩვენებელი რეგულარულ პარტნიორთან ბოლო 1 წლის განმავლობაში (38.6% 2022 წელს vs 37.3% 2017 წელს). არ შეცვლილა ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენების ალბათობა (86.2% 2022 წელს vs 88.7% 2017 წელს). ჰომოსექსუალური კავშირების მაჩვენებელი არ შეცვლილა ნიმ-ებში 2017 წელთან შედარებით. ბოლო ანალური სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენების ალბათობა კვლავ დაბალია და უცვლელია 2017 წლის მონაცემთან შედარებით (43.6% 2022 წელს vs 46.6% 2017 წელს).

2017 წლის კვლევის მონაცემებთან შედარებით, გაუარესდა სქესობრივი ქცევის შემდეგი მაჩვენებლები: ბოლო ჰომოსექსუალური კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენების მაჩვენებელი 50%-დან (2017 წელს) 36%-მდე (2022 წელს) შემცირდა. შემცირდა ფასიან სქესობრივ პარტნიორთან პრეზერვატივის „ყოველთვის გამოყენების“ მაჩვენებელი (58.8% 2022 წელს vs 77.3% 2017 წელს).

#### *HIV, HBV და HCV გავრცელება*

რესპონდენტთაგან ნახევარზე მეტი (58.1% სეროდადებითია C ჰეპატიტზე, ანუ აღმოაჩნდათ HCV ანტისხეულები, რაც 2017 წლის კვლევის მონაცემებზე ოდნავ ნაკლებია (63.2% (დიაგრამა F1). Anti-HCV პრევალენტობის კუთხით პროექტის სამიზნე ქალაქებს შორის ლიდერობს ზუგდიდი 76.7%-ით, შემდეგია გორი, ბათუმი, თბილისი, თელავი, რუსთავი და ქუთაისი 66.7%, 58.1%, 55.5%, 52.2%, 51.5% და 46.3%-ებით, შესაბამისად. აღნიშნული მაჩვენებლები განსხვავდება 2017 წლის კვლევის დროს მიღებული შედეგებისგან, სადაც ბათუმი ლიდერობდა 74.2%-ით, ხოლო შემდეგი იყო თბილისი (74.1%), გორი (66%), ქუთაისი (65.2%), რუსთავი (50.2%), ზუგდიდი (51%) და თელავი (49%).

#### **დიაგრამა F1. Anti-HCV გავრცელება**



მიმდინარე კვლევის ფარგლებში, 2017 წლის კვლევისგან განსხვავებით, ჩატარდა HCV RNA და HBsAg კვლევა, შესაბამისად ქრონიკული HCV ინფექციის, HCV რეინფექციის და HBsAg გავრცელების შედარება ვერ მოხდა.

კვლევაში ჩართული ნიმ-ების 0.9% აივ დადებითია, რაც ორნახევარჯერ ჩამოუვარდება 2017 წლის კვლევის დროს გამოვლენილ შედეგს (2.3%).


#### *ცოდნა და დამოკიდებულება C ჰეპატიტის შესახებ*

ნიმ-ებს შორის ცოდნის დონე 2017 წლის კვლევის დროს ოდნავ უკეთესი იყო მიმდინარე კვლევის შედეგებთან შედარებით. 2017 წლის კვლევის დროს 2022 წლის კვლევასთან შედარებით უფრო მეტი იყო პროცენტული წილი იმ ნიმ-ებისა, ვინც გამოყენებული ნემსის/შპრიცის და პირადი ჰიგიენის ნივთების გაზიარება და სქესობრივი კონტაქტი დაასახელეს როგორც C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემის გზა (98.8% vs 96.4%, 93.1% vs 79.7% და 64.1% vs 52.2%, შესაბამისად). ერთ მეათედს (11.2%) არ სმენია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის შესახებ, განსხვავებით წინა კვლევის მონაწილეთა 1.6%-სა. 2022 წელს ნიმ-ების 88.6%-მა და 2017 წელს - 78.8%-მა იცის სად ჩაიტაროს ტესტირება C ჰეპატიტზე. რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (56.6%) უკანასკნელი 2 წლის მანძილზე ჩატარებული აქვს ანალიზი C ჰეპატიტზე, მსგავსად წინა კვლევისა (57.6%). ასევე მსგავსია პროცენტული წილი იმ ადამიანებისა, ვინც ანალიზის არ ჩატარების მიზეზად დაასახელა „არ ვთვლი საჭიროდ“ და „არ მიფიქრია ამაზე“.

წინა კვლევაში მონაწილეთა 80.5%-ს და მიმდინარე კვლევის მონაწილეთა 56.9%-ს არასოდეს მიუღია მედიკამენტი C ჰეპატიტის სამკურნალოდ (დიაგრამა F2). C ჰეპატიტის მკურნალობაში ჩართული ნიმ-ების 4.2%-მა დასრულებამდე შეწყვიტა მკურნალობა, რაც წინა კვლევის მაჩვენებელზე მცირედით ნაკლებია (6.8%). მკურნალობის დასრულებამდე შეწყვეტის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად როგორც 2022, ისევე 2017 წლის კვლევის დროს დასახელდა გვერდითი მოვლენები (42.4% და 30.0%, შესაბამისად). ვინაიდან C ჰეპატიტზე ამჟამად გამოყენებულ მედიკამენტებზე გვერდითი მოვლენები რეალურად უკიდურესად იშვიათია, მაღალი ალბათობით შეწყვეტის ნამდვილ მიზეზად გვერდითი მოვლენები ნაკლებად სავარაუდოა.

50.1%-ს C ჰეპატიტზე მომსახურების მიღება (ტესტირება, კონფირმაცია, მკურნალობა) ურჩევნია მის ქალაქში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში, 51.4%-ს ზიანის შემცირების ცენტრში მის ქალაქში. აღნიშნული შედეგი განსხვავდება წინა (2017) კვლევის შედეგებისგან, სადაც სამედიცინო დაწესებულება 87.2%-მა დაასახელა სერვისის მიღების სასურველ ადგილად, ხოლო ზიანის შემცირების ცენტრი მხოლოდ 3.2%-მა.


## დიაგრამა F2. HCV მკურნალობა



*აივ/შიდსზე ცოდნისა და დამოკიდებულების და საკუთარი რისკის შეფასების შედარება 2017 წლის კვლევის მონაცემებთან*


ორივე კვლევის შედეგების მიხედვით აივ/შიდსის შესახებ გაუგია (2017 წელი: 99.8%, 2022 წელი: 97.8%) მოანწილეთა თითქმის თანაბარ რაოდენობას. 2017 წელს ნიმ-ების უფრო მეტი ნაწილი თვლიდა აივ ინფექციის გადაცემის რისკის შემცირების გზად: ერთი არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის ყოლას (97.9%), პრეზერვატივის გამოყენებას (96.7%) და ინექციური ნარკოტიკის მოხმარებისგან არაინექციურ ნარკოტიკზე გადასვლას (97.8%), 2022 წლის მონაცემებთან შედარებით (88.1%; 92.0% და 73.4%, შესაბამისად) (დიაგრამა H6).

**დიაგრამა H6. აივ ინფექციის გადაცემის რისკის შემცირების გზების მაჩვენებლები**



2017 წლის კვლევაში მონაწილეთა 94.5% და 2022 წლის კვლევაში მონაწილეთა 76.4% ფიქრობდა, რომ შესაძლებელია ჯანმრთელი გარეგნობის ადამიანს ჰქონდეს აივ ინფექცია, რომელიც იწვევს შიდსს. 2017 წელს ნიმ-ების 99.0% აღნიშნა, რომ სხვის მიერ გამოყენებული ნემსით/შპრიცით შესაძლებელია აივ ინფიცირება, ხოლო 2022 წელს - 92.8%-მა. 2022 წელს ნიმ-ების 80.9% იცის, მის უბანში/ქალაქში სად შეიძლება აივ-ზე კონფიდენციალური ტესტირების ჩატარება (2017 წელს - 74.9%). მიმდინარე კვლევის დროს, წინა კვლევასთან შედარებით მეტ ნიმ-ს ჰქონდა უკანასკნელი 1 წლის მანძილზე აივ-ზე ტესტირება ჩატარებული (44.6% vs 36.1%) (დიაგრამა H7).

**დიაგრამა H7. ბოლო ერთი წლის განმავლობაში აივ ინფექციაზე გამოკვლევის ჩატარების მაჩვენებელი**



ორივე კვლევაში მონაწილეთა თითქმის თანაბარმა რაოდენობამ აღნიშნა, რომ თუ აივ ინფიცირებული აღმოჩნდება, შეატყობინებს მეუღლეს/რეგულარულ სქესობრივ პარტნიორს (2017 - 92.3%; 2022 - 89.9%) და ნარკომომხმარებლებს (2017


- 93.1%; 2022 - 87.6%). 2017 წელთან შედარებით, 2022 წელს უფრო მეტმა მონაწილემ იცოდა სად შეიძლება აივ-ზე გამოკვლევის ჩატარება.

*პრევენციული პროგრამებით სარგებლობა*

2022 წლის კვლევით, მიღებულ სერვისებს შორის ყველაზე მაღალია საინექციო საშუალებების და შემდეგ პრეზერვატივების მიღების მაჩვენებელი. 2017 წელს, ნიმ-ების მიერ მიღებულ სერვისთა შორის სტერილური საინექციო მასალის შემდგომ, რიგით მეორე ადგილზე იყო საინფორმაციო მასალა შიდაზე.


პრევენციული პროგრამებით მინიმალური მოცვის მაჩვენებელი 2022 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად 29.5%-ს შეადგენს, რომელიც წინა წლებში ჩატარებული კვლევების შესაბამის მაჩვენებლებისგან მნიშვნელოვანად არ განსხვავდება (2012 წელს -24%; 2015 წელს - 32.4%; 2017 წელს - 23.3%) (დიაგრამა I8).

**დიაგრამა I8. პრევენციული პროგრამებით მინიმალური მოცვა**




2022 წელს გაუმჯობესდა ნიმ-ებში პრევენციული პროგრამებით მოცვის (46.4%-2022 vs 16.3%-2017) და პრევენციული პროგრამებით სრული მოცვის (30.4%-2022 vs 12.3%-2017) მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით (დიაგრამა I9).

**დიაგრამა I9. პრევენციული პროგრამებით მოცვა**



ასევე 2017 წელთან შედარებით (52.4%), მნიშვნელოვნად გაიზარდა ცოდნა, სად მიმართონ საქართველოში არსებულ „ნემსების და შპრიცების პროგრამას“ საჭიროების შემთხვევაში (77.2%). შპრიცების/ნემსების პროგრამის ცნობადობა პროპორციულად გაიზარდა კვლევის ყველა ქალაქში (დიაგრამა I10).


**დიაგრამა I10. შპრიცების გაცვლის პროგრამის ცნობადობა**



რესპონდენტთა პროპორცია, ვისაც არასოდეს ჩაუტარებია მკურნალობა ნარკოტიკების პრობლემური მოხმარების გამო 2022 წელს, 2017 წლის მონაცემებთან შედარებით თითქმის ყველა ქალაქში შემცირდა თელავის გარდა (დიაგრამა I11).



**დიაგრამა I11. წამალდამოკიდებულების მკურნალობა ნარკოლოგიურ დაწესებულებაში**



ისევე როგორც 2017 წელს, სამკურნალო დაწესებულებები კვლავ რჩება ნიმ-ების დიდი ნაწილისთვის ხელმიუწვდომელი (62.3%). თუმცა, 2017 წელთან შედარებით, სადაც გამოკითხულთა მხოლოდ 6.8%-ს ჰქონდა ჩატარებული რაიმე ტიპის მკურნალობა ან კვლევის პროცესში მკურნალობდა, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. უნდა აღინიშნოს მკურნალობის ტიპის სხვაობა 2017 წელთან შედარებით. 2022 წელს ნიმ-ების ის ნაწილი (84.8%), რომლებსაც ჩატარებული აქვთ მკურნალობა ან გადიან მკურნალობას კვლევის პროცესში, უმეტესობა მეთადონით/სუბოქსონით ჩანაცვლების პროგრამის მოსარგებლები არიან (82.3%). მაშინ როცა 2017 წელს ნიმ-ები უმეტეს შემთხვევაში იტარებდნენ თვითმკურნალობას ან ახლობლების დახმარების იმედად იყვნენ.

ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტა სამედიცინო დახმარების გარეშე ნიმ-ების თითქმის თანაბარმა რაოდენობამ სცადა, როგორც 2017 (2017-22.4%) ასევე 2022 წელს (2022-25%).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. UNAIDS. Global HIV & AIDS statistics. Fact sheet 2022. Available at: <https://www.unaids.org/en/resources/fact-sheet>.
2. WHO. HIV/AIDS Key Facts. 9 November 2022. Available at: <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/hiv-aids>
3. In Danger: UNAIDS Global AIDS Update 2022. Available at: <https://www.unaids.org/en/resources/documents/2022/in-danger-global-aids-update>
4. Frescura L, Godfrey-Faussett P, Feizzadeh A A, El-Sadr W, Syarif O, Ghys PD; on and behalf of the 2025 testing treatment target Working Group. Achieving the 95 95 95 targets for all: A pathway to ending AIDS. PLoS One. 2022 Aug 4;17(8): e0272405. doi: 10.1371/journal.pone.0272405. PMID: 35925943; PMCID: PMC9352102.
5. UNAIDS Data 2021. Available at: [https://www.unaids.org/en/resources/documents/2021/2021\\_unaids\\_data](https://www.unaids.org/en/resources/documents/2021/2021_unaids_data)
6. European Center for Disease Prevention and Control. HIV/AIDS Surveillance Report in Europe 2021. Available at: <https://www.ecdc.europa.eu/en/publications-data/hiv-aids-surveillance-europe-2021-2020-data>.
7. UNAIDS. Country Progress Report – Georgia 2020. Available at: [https://www.unaids.org/sites/default/files/country/documents/GEO\\_2020\\_countryreport.pdf](https://www.unaids.org/sites/default/files/country/documents/GEO_2020_countryreport.pdf)
8. Infectious Diseases, AIDS, and Clinical Immunology Research Center. HIV/AIDS Epidemiology in Georgia. Available at: [https://www.aidscenter.ge/epidsituation\\_eng.html](https://www.aidscenter.ge/epidsituation_eng.html)
9. UNAIDS. Country Factsheets. Georgia 2021. Available at: <https://www.unaids.org/en/regionscountries/countries/georgia>
10. Curatio International Foundation and Bemoni Public Union. HIV risk and prevention behaviors among People Who Inject Drugs in seven cities of Georgia. Integrated Bio-Behavioral Surveillance Survey in seven cities of Georgia. Study Report. November 2017. Available at: <http://curatiofoundation.org/wp-content/uploads/2018/02/PWID-IBBS-Report-2017-ENG.pdf>
11. Nasrullah M, Sergeenko D, Gvinjilia L, Gamkrelidze A, Tsertsvadze T, Butsashvili M, Metreveli D, Sharvadze L, Alkhazashvili M, Shadaker S, Ward JW, Morgan J, Averhoff F. The Role of Screening and Treatment in National Progress Toward Hepatitis C Elimination - Georgia, 2015-2016. MMWR

- Morb Mortal Wkly Rep. 2017 Jul 28;66(29):773-776. doi:  
10.15585/mmwr.mm6629a2. Erratum in: MMWR Morb Mortal Wkly Rep.  
2017 Aug 11;66(31):838. PMID: 28749925; PMCID: PMC5657814.
12. Gvinjilia L, Nasrullah M, Sergeenko D, Tsertsvadze T, Kamkamidze G, Butsashvili M, Gamkrelidze A, Imnadze P, Kvaratskhelia V, Chkhartishvili N, Sharvadze L, Drobeniuc J, Hagan L, Ward JW, Morgan J, Averhoff F. National Progress Toward Hepatitis C Elimination - Georgia, 2015-2016. MMWR Morb Mortal Wkly Rep. 2016 Oct 21;65(41):1132-1135. doi:  
10.15585/mmwr.mm6541a2. PMID: 27764081.
  13. Hitch, A. E., Gause, N. K., & Brown, J. L. (2019). Substance Use Screening in HIV Care Settings: A review and critique of the literature. *Current HIV/AIDS reports*, 16 (1), 7–16. <https://doi.org/10.1007/s11904-019-00434-9>
  14. Wickersham, J. A., Azar, M. M., Cannon, C. M., Altice, F. L., & Springer, S. A. (2015). Validation of a Brief Measure of Opioid Dependence: The Rapid Opioid Dependence Screen (RODS). *Journal of correctional health care: the official journal of the National Commission on Correctional Health Care*, 21(1), 12–26. <https://doi.org/10.1177/1078345814557513>
  15. Selvaraj V, Boopathi K, Paranjape R, Mehendale S. A single weighting approach to analyze respondent-driven sampling data. *Indian J Med Res*. 2016 Sep;144(3):447-459.
  16. Salganik MJ, Heckathorn DD. Sampling and estimation in hidden populations using respondent-driven sampling. *Sociol Methodol* 2004; 34: 193-239.
  17. Volz E, Heckathorn DD. Probability based estimation theory for respondent-driven sampling. *J Off Stat* 2008; 24: 79-97.
  18. UNAIDS. Core Indicators for National AIDS Programs. Guidance and Specifications for Additional Recommended Indicators. Addendum to: UNGASS. Monitoring the Declaration of Commitment on HIV/AIDS. Guidelines on Construction of Core Indicators. 2008 Reporting.

## დანართი 1. ცხრილები

### ცხრილი A1. კვლევის მონაწილეების სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები

მახასიათებლები	N	%
<b>ქალაქი</b>		
თბილისი	380	19.0
გორი	270	13.5
თელავი	270	13.5
ზუგდიდი	275	13.7
ბათუმი	270	13.5
ქუთაისი	270	13.5
რუსთავი	270	13.5
<b>რამდენჯერ მიგიღიათ მსგავს კვლევაში მონაწილეობა?</b>		
ერთხელ	334	16.7
ორჯერ	122	6.1
>2-ჯერ	110	5.5
არცერთხელ	1412	70.4
უარი პასუხზე	27	1.3
<b>ლაით BSS</b>		
კი	80	4.0
Missing	1925	96.0
<b>ასაკი</b>		
18-24 წელი	60	3.0
25-30 წელი	149	7.4
31-40 წელი	529	26.4
>41 წელი	1267	63.2
<b>სქესი</b>		
მამრობითი	1977	98.6
მდედრობითი	28	1.4
<b>ეროვნება</b>		
ქართველი	1826	91.1
სხვა	76	3.8
უარი პასუხზე	103	5.1
<b>განათლება</b>		
არ უვლია სკოლაში	4	0.2
დაწყებითი (1-4 კლასი)	11	0.5
საშუალო (სკოლა, ტექნიკუმი, პროფ. სასწავლებელი)	1212	60.4
არასრული უმაღლესი განათლება	189	9.4
უმაღლესი განათლება	577	28.8
უარი პასუხზე	12	0.6
<b>დასაქმება</b>		
მოსწავლე/სტუდენტი	12	0.6
მაქვს მუდმივი სამუშაო	262	13.1
მაქვს პერიოდული სამუშაო	461	23.0
პენსიონერი/შშპ პირი	65	3.2
უმუშევარი	1177	58.7
უარი პასუხზე	28	1.4
<b>რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი?</b>		
100 და ნაკლები	128	6.4
100-დან 300-მდე	369	18.4

300-დან 500-მდე	337	16.8
500-დან 700-მდე	441	22.0
700-დან 1000-მდე	199	9.9
1000 და მეტი	351	17.5
უარი პასუხზე	180	8.9
<b>როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა?</b>		
დაოჯახებული	985	49.1
განქორწინებული/მეუღლისგან განცალკევებით მცხოვრები	448	22.3
ქვრივი	55	2.7
არასდროს ყოფილა დაქორწინებული	517	25.8
<b>ვისთან ერთად ცხოვრობთ ახლა?</b>		
მეუღლესთან	853	42.5
პარტნიორთან	46	2.3
მარტო	377	18.8
მშობელთან/ნათესაებთან	615	30.7
სხვა	81	4.0
უარი პასუხზე	33	1.6
<b>მოგიხდიათ თუ არა სასჯელი ოდესმე საპატიმროში (ციხე, კოლონია)?</b>		
დიახ	1029	51.3
არა	942	47.0
უარი პასუხზე	34	1.7
<b>მოგიხდიათ თუ არა სასჯელი ოდესმე საპატიმროში (ციხე, კოლონია)?</b>		
ერთხელ	387	19.3
ორჯერ	383	19.1
სამჯერ	123	6.1
>3-ჯერ	136	6.8
არა	942	47.0
უარი პასუხზე	34	1.7
<b>რამდენი წლის იყავით, როდესაც პირველად მოხვდით საპატიმროში?</b>		
<18 წლის	66	6.4
18-30 წლის	539	52.4
>31 წლის	200	19.4
უარი პასუხზე	224	21.8
<b>ბოლოს რამდენი ხნის წინ იყავით საპატიმროში?</b>		
0-6 თვის წინ	24	2.3
7-12 თვის წინ	42	4.1
>1 წელი	735	71.4
უარი პასუხზე	228	22.2
<b>ბოლოს რამდენი ხანი დაყავით საპატიმროში?</b>		
0-3 თვე	44	4.3
3-6 თვე	168	16.3
7-12 თვე	87	8.5
1-2 წელი	209	20.3
>2 წელი	288	28.0
უარი პასუხზე	233	22.6
<b>საპატიმროში ყოფნისას ოდესმე მოგიხმარიათ თუ არა ნარკოტიკი?</b>		

დიახ	232	22.5
არა	346	33.6
უარი პასუხზე	451	43.8
<b>ბოლო 12 თვის განმავლობაში, მიგიღიათ თუ არა ადმინისტრაციული ჯარიმა/სასჯელი ნარკოტიკების მოხმარების გამო?</b>		
დიახ ერთხელ	57	5.5
დიახ ორჯერ	3	0.3
დიახ სამჯერ	1	0.1
არა	716	69.6
უარი პასუხზე	252	24.5
<b>ბოლო 12 თვის განმავლობაში, ყოფილხართ თუ არა წინასწარი დაკავების საკანში ნარკოტიკების მოხმარების გამო?</b>		
დიახ ერთხელ	40	3.9
დიახ ორჯერ	2	0.2
არა	727	70.7
უარი პასუხზე	260	25.3
<b>ბოლო 12 თვის განმავლობაში, მჯდარხართ თუ არა საპატიმროში ნარკოტიკების მოხმარების გამო?</b>		
დიახ ერთხელ	17	1.7
დიახ ორჯერ	1	0.1
არა	748	72.7
უარი პასუხზე	263	25.6
<b>ბოლოს როდესაც გამოხვედით ციხიდან, რამდენ ხანში გაიკეთეთ ნარკოტიკული საშუალება?</b>		
1 დღეში	174	16.9
2-15 დღეში	207	20.1
>15 დღეში	118	11.5
არ მახსოვს	115	11.2
უარი პასუხზე	415	40.3
<b>ბოლო ერთი თვის განმავლობაში რამდენად ხშირად მიგიღიათ ალკოჰოლური სასმელი?</b>		
ყოველდღე	127	6.3
კვირაში რამდენჯერმე	332	16.6
კვირაში ერთხელ	257	12.8
უფრო იშვიათად	692	34.5
არცერთხელ	569	28.4
სხვა	7	0.3
უარი პასუხზე	21	1.0

**ცხრილი 1.3.1. კვლევაში მონაწილეთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები მოდიფიცირებული RDS-MOD მეთოდით**

მახასიათებლები	აღწერილობითი სტატისტიკა		RDS-MOD მეთოდი		
	N	%	%	95% CI	
				დაბალი	მაღალი
<b>რამდენჯერ მიგიღიათ მსგავს კვლევაში მონაწილეობა?</b>					
ერთხელ	334	16.7	17.2	14.8	19.8
ორჯერ	122	6.1	6.5	4.6	8.9
>2-ჯერ	110	5.5	5.6	3.8	8.2
არცერთხელ	1412	70.4	69.5	64.0	74.6
უარი პასუხზე	27	1.3	1.2	0.6	2.4
<b>ლაით BSS</b>					
კი	80	4.0	3.4	2.2	5.1
Missing	1925	96.0	96.5	94.8	97.7
<b>ასაკი</b>					
18-24 წელი	60	3.0	2.5	1.8	3.5
25-30 წელი	149	7.4	7.4	5.6	9.6
31-40 წელი	529	26.4	26.7	22.7	31.1
>41 წელი	1267	63.2	63.5	57.9	68.7
<b>სქესი</b>					
მამრობითი	1977	98.6	98.7	97.9	99.2
მდედრობითი	28	1.4	1.3	0.8	2.1
<b>ეროვნება</b>					
ქართველი	1826	91.1	90.7	87.9	92.9
სხვა	76	3.8	4.0	2.7	6.0
უარი პასუხზე	103	5.1	5.3	3.6	7.7
<b>განათლება</b>					
არ უვლია სკოლაში	4	0.2	0.2	0.1	0.5
დაწყებითი (1-4 კლასი)	11	0.5	0.5	0.3	1.2
საშუალო (სკოლა, ტექნიკუმი, პროფ. სასწავლებელი)	1212	60.4	59.4	52.7	65.9
არასრული უმაღლესი განათლება	189	9.4	10.3	8.3	12.8
უმაღლესი განათლება	577	28.8	28.9	22.7	36.1
უარი პასუხზე	12	0.6	0.6	0.4	1.1
<b>დასაქმება</b>					
მოსწავლე/სტუდენტი	12	0.6	0.6	0.3	1.2
მაქვს მუდმივი სამუშაო	262	13.1	12.9	9.3	17.6
მაქვს პერიოდული სამუშაო	461	23.0	22.4	18.7	26.4
პენსიონერი/შშმ პირი	65	3.2	3.4	2.3	4.9
უმუშევარი	1177	58.7	59.3	53.3	65.1
უარი პასუხზე	28	1.4	1.5	0.8	2.7
<b>რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი?</b>					
100 და ნაკლები	128	6.4	6.2	4.1	9.1
100-დან 300-მდე	369	18.4	18.5	14.2	23.7
300-დან 500-მდე	337	16.8	15.1	11.8	19.2
500-დან 700-მდე	441	22.0	22.8	19.6	26.3
700-დან 1000-მდე	199	9.9	10.1	8.1	12.5
1000 და მეტი	351	17.5	18.4	13.9	23.9
უარი პასუხზე	180	8.9	8.9	5.6	13.9
<b>როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა?</b>					



დაოჯახებული	985	49.1	49.0	46.0	52.0
განქორწინებული/მეუღლისგან განცალკევებით მცხოვრები	448	22.3	23.8	21.0	26.8
ქვრივი	55	2.7	2.7	2.1	3.6
არასდროს ყოფილა დაქორწინებული	517	25.8	24.4	21.9	27.2
<b>ვისთან ერთად ცხოვრობთ ახლა?</b>					
მეუღლესთან	853	42.5	43.0	39.6	46.4
პარტნიორთან	46	2.3	2.7	2.0	3.8
მარტო	377	18.8	18.9	16.6	21.4
მშობელთან/ნათესავებთან	615	30.7	29.9	27.5	32.5
სხვა	81	4.0	3.8	2.6	5.6
უარი პასუხზე	33	1.6	1.6	0.8	3.3
<b>მოგიხდიათ თუ არა სასჯელი ოდესმე საპატიმროში (ციხე, კოლონია)?</b>					
ერთხელ	387	19.3	20.3	17.8	23.0
ორჯერ	383	19.1	19.1	15.2	23.8
სამჯერ	123	6.1	6.7	4.9	9.0
>3-ჯერ	136	6.8	7.7	5.7	10.2
არა	942	47.0	44.9	38.6	51.4
უარი პასუხზე	34	1.7	1.4	0.9	2.3
<b>რამდენი წლის იყავით, როდესაც პირველად მოხვდით საპატიმროში?</b>					
<18 წლის	66	6.4	6.3	4.7	8.3
18-30 წლის	539	52.4	54.2	47.8	60.6
>31 წლის	200	19.4	19.1	13.9	25.7
უარი პასუხზე	224	21.8	20.4	16.2	25.4
<b>ბოლოს რამდენი ხნის წინ იყავით საპატიმროში?</b>					
0-6 თვის წინ	24	2.3	2.4	1.5	3.7
7-12 თვის წინ	42	4.1	4.0	2.8	5.7
>1 წელი	735	71.4	73.0	66.8	78.5
უარი პასუხზე	228	22.2	20.6	15.7	26.6
<b>ბოლოს რამდენი ხანი დაყავით საპატიმროში?</b>					
0-3 თვე	44	4.3	4.2	2.4	7.5
3-6 თვე	168	16.3	17.5	14.4	21.1
7-12 თვე	87	8.5	8.3	5.8	11.7
1-2 წელი	209	20.3	20.0	17.9	22.2
>2 წელი	288	28.0	28.4	24.4	32.6
უარი პასუხზე	233	22.6	21.6	17.1	27.0
<b>საპატიმროში ყოფნისას ოდესმე მოგიხმარიათ თუ არა ნარკოტიკი?</b>					
დიახ	232	22.5	24.5	21.4	27.9
არა	346	33.6	33.0	26.3	40.4
უარი პასუხზე	451	43.8	42.5	34.9	50.5
<b>ბოლო 12 თვის განმავლობაში, მიგიღიათ თუ არა ადმინისტრაციული ჯარიმა/სასჯელი ნარკოტიკების მოხმარების გამო?</b>					
დიახ ერთხელ	57	5.5	6.5	4.9	8.5
დიახ ორჯერ	3	0.3	0.4	0.1	1.9
დიახ სამჯერ	1	0.1	0.0	0.0	0.3
არა	716	69.6	69.8	63.2	75.7
უარი პასუხზე	252	24.5	23.2	17.4	30.3
<b>ბოლო 12 თვის განმავლობაში, ყოფილხართ თუ არა წინასწარი დაკავების საკანში ნარკოტიკების მოხმარების გამო?</b>					
დიახ ერთხელ	40	3.9	4.5	3.0	6.9
დიახ ორჯერ	2	0.2	0.2	0.0	0.8

არა	727	70.7	71.4	65.1	76.9
უარი პასუხზე	260	25.3	23.9	18.0	31.1
<b>ბოლო 12 თვის განმავლობაში, მჯდარხართ თუ არა საპატიმროში ნარკოტიკების მოხმარების გამო?</b>					
დიახ ერთხელ	17	1.7	2.1	1.0	4.5
დიახ ორჯერ	1	0.1	0.1	0.0	0.9
არა	748	72.7	73.6	66.5	79.7
უარი პასუხზე	263	25.6	24.2	18.2	31.3
<b>ბოლოს როდესაც გამოხვედით ციხიდან, რამდენ ხანში გაიკეთეთ ნარკოტიკული საშუალება?</b>					
1 დღეში	174	16.9	17.7	14.2	21.8
2-15 დღეში	207	20.1	20.8	15.8	27.0
>15 დღეში	118	11.5	11.9	9.6	14.7
არ მახსოვს	115	11.2	11.4	8.5	15.1
უარი პასუხზე	415	40.3	38.2	29.7	47.4
<b>ბოლო ერთი თვის განმავლობაში რამდენად ხშირად მიგიღიათ ალკოჰოლური სასმელი?</b>					
ყოველდღე	127	6.3	7.1	4.2	11.8
კვირაში რამდენჯერმე	332	16.6	16.5	13.0	20.8
კვირაში ერთხელ	257	12.8	13.0	10.7	15.6
უფრო იშვიათად	692	34.5	32.8	28.0	38.0
არცერთხელ	569	28.4	29.3	24.8	34.4
სხვა	7	0.3	0.3	0.1	0.9
უარი პასუხზე	21	1.0	1.0	0.6	1.7

**ცხრილი 1.3.2. ნარკოტიკების მომხმარებლის ისტორია RDS-MOD მეთოდის მიხედვით**

მახასიათებლები	აღწერილობითი სტატისტიკა		RDS-MOD მეთოდი		
	N	%	%	95% CI	
				დაბალი	მაღალი
<b>რამდენი წლის იყავით, როცა პირველად მიიღეთ ნარკოტიკი?</b>					
<15 წლის	225	11.2	12.0	9.8	14.7
15-19 წლის	1248	62.2	63.0	59.1	66.8
20-24 წლის	396	19.7	19.1	16.4	22.0
≥25 წლის	136	6.8	5.9	4.7	7.4
<b>რამდენი წლის იყავით, როცა პირველად გაიკეთეთ ნარკოტიკი ნემსით?</b>					
<15 წლის	55	2.7	2.7	1.9	3.9
15-19 წლის	821	40.9	42.9	39.1	46.8
20-24 წლის	749	37.3	37.1	33.6	40.8
≥25 წლის	380	19.0	17.2	14.8	19.9
<b>თვლით თუ არა, რომ დამოკიდებული ხართ ინექციურ ნარკოტიკზე ანუ „შეჯექით წამალზე“?</b>					
დამოკიდებული ვარ	1420	70.8	73.2	67.5	78.3
არ ვთვლი, რომ დამოკიდებული ვარ	516	25.7	23.5	18.9	28.8
უარი პასუხზე	69	3.4	3.3	2.0	5.3
<b>ბოლო 5 წლის განმავლობაში, ხომ არ მიგიღიათ საქართველოში შემდეგი პროდუქცია და/ან ინფორმაცია უფასოდ?</b>					
ბროშურა/ლიფლეტი / ბუკლეტი შიდსის შესახებ	338	41.1	39.6	31.3	48.5
საგანამანათლებლო ინფორმაცია შიდსის შესახებ	308	37.5	36.4	28.4	45.2
პრეზერვატივი	379	46.1	45.0	36.2	54.1
შპრიცი/ნემსი/პეპელა/კოვზი/სპირტიანი ტამპონი	439	53.4	52.5	43.2	61.6
სხვა	59	7.2	6.5	4.3	9.8
<b>(ბოლო 6 თვე) ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე ნარკოტიკების მომხმარებელთან ერთად იკეთებთ ხოლმე?</b>					
დიახ	977	48.7	50.9	44.3	57.6
არა, მარტო ვიკეთებ	518	25.8	23.3	19.5	27.5
არა, სხვადასხვა მომხმარებლებთან ერთად ვიკეთებ	481	24.0	24.4	19.5	29.8
არ ვიცი	5	0.2	0.2	0.1	0.9
უარი პასუხზე	24	1.2	1.1	0.6	1.9
<b>ნარკოტიკების რამდენი მომხმარებელია თქვენს რეგულარულ ჯგუფში?</b>					
1	42	4.5	5.0	3.3	7.4
2	207	22.2	22.5	17.9	27.9
>2	682	73.3	72.5	65.9	78.3

ცნს დეპრესანტები

მოიხმარა ბოლო თვეში	826	41.2	42.9	34.5	51.7
გაიკეთა ბოლო თვეში	51	2.5	2.3	1.4	3.6
<b>ნარკოტიკული ანალგეტიკები</b>					
მოიხმარა ბოლო თვეში	734	36.6	37.7	33.0	42.7
გაიკეთა ბოლო თვეში	1680	83.9	83.5	77.6	88.1
<b>ცნს სტიმულატორები</b>					
მოიხმარა ბოლო თვეში	120	6.0	6.3	4.5	8.8
გაიკეთა ბოლო თვეში	535	26.7	28.3	22.3	35.2
